

ევროკავშირის ახალი სტრატეგიული ხედვა

A3



63-ე ვენეცია

A5



ტოპმიოლერი ქართველებს ახლებურად აათამაშებს

A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 6 სექტემბერი, 2006 წელი. №196 (1348)

ფასი 50 თეთრი

## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.

*მისამართი: თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.*

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

## ამბები

### საზეიმოდ გახსნილი სკოლა ხულოდან კოდორში გადაიტანეს

*გასულ წელს ხულოს რაიონის სოფელ წაბლანაში საზეიმოდ გაიხსნა ახალი სკოლის შენობა. აჭარის ხელისუფლებამ მაშინ თავის ალმშენებლობით ისტორიაში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა. წელს კი წაბლანის ახალაშენებული სკოლა დაშალეს და კოდორში გადაიტანეს. ამ ჰუმანიტარული აქციის გამო აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ პრეზიდენტისაგან მადლობა დაიმსახურა.*

A2

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 6/09 | 7/09 |
|---|---|---|
| თბილისი | 27 | 27 |
| ბათუმი | 23 | 22 |
| სოხუმი | 21 | 21 |
| ქუთაისი | 23 | 23 |
| გორი | 22 | 22 |
| თელავი | 26 | 26 |
| ონი | 16 | 16 |
| ზუგდიდი | 22 | 23 |
| ახმეტა | 26 | 27 |
| სამტრედია | 23 | 23 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7470 |
| ევრო | 2.2407 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3184 |
| რუბლი | 0.0656 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სპორტი | A 8 |


# ეუთო: ვერტმფრენზე თავდასხმა კრიმინალური აქტია

*მდგომარეობა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში იძაბება. მიუხედავად იმისა, რომ ეუთო-მ ქართული ვერტმფრენის დაცხრილვის ფაქტი დაგმო, ოსური მხარე კვლავ საფრენი აპარატების ჩამოგდებით იმუქრება. ცხინვალში კვლავ აცხადებენ, რომ საქართველო ომისთვის ემზადება და შეიარაღების მობილიზებას იწყებენ.*

"კრიმინალური აქტი" - ასე შეაფასა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვერტმფრენზე 3 სექტემბერს მომხდარი თავდასხმა ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ კარელ დე გუჰტმა.

**"ეს ინციდენტი კიდევ ერთხელ მოწმობს, რამდენად სახიფათო სიტუაციაა შექმნილი და საჭიროა, მხარეებმა გამოიჩინონ ზომიერება და პასუხისმგებლობა კონკრეტული შედეგების მისაღწევად მიმართული დიალოგის გააქტიურებისათვის,"** - აცხადებს კარელ დე გუხტი.

მან ასევე აღნიშნა, რომ მხარეების შეთანხმების მიუხედავად, კონფლიქტის ზონაში ფრენებისაგან თავის შეკავების თაობაზე, საერთაშორისო დონეზე საქართველოს შემადგენლობაში შემავალი რეგიონის თავზე ფრენებისთვის რაიმე დახურული ზონა არ დადგენილა.

გუშინვე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი მანჯგალაძე შეხვდა საქართველოში ეუთოს მისიის ხელმძღვანელს, ელჩს როი რივს და მისგან განმარტება ითხოვა ეუთოს მისიის ხელმძღვანელის მიერ რუსული მედიის საშუალებით გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, სადაც საუბარი იყო ქართული მხარის მიერ ვითომდა დაშვებული დარღვევის შესახებ.

როი რივმა აღნიშნა, რომ მისი ინტერვიუ დამახინჯებული და არასწორი სახით გადაიცა. ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელის თქმით, ქართული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში სრულიად ადეკვატურად გამოიხატა მისი პოზიცია, რომელიც, თავის მხრივ, ასახულია მისიის მ.წ. 4 სექტემბრის ანგარიშში.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საუკეთესო შანსი ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის

B

*ამ ბოლო დროს, როგორც მსოფლიო, ისე ქართულ პრესაში მრავალი ექსპერტის წერილი დაიბეჭდა, რომლებიც ენერგოშემცველებს, მათი ექსპლოატაციის დღევანდელ პირობებს და პერსპექტივებს ეხება. ეს გასაგებიცაა. თუ რა ძნელია ამ ნედლეულის გარეშე ეროვნული მეურნეობის განვითარება, დღეს უკვე არა ერთი და ორი ქვეყნის მაგალითზე მტკიცდება. ასეთ წერილებს შორის, ჩვენი აზრით, მაინც გამოირჩევა ამერიკელი ექსპერტის მარტინ ვოლფის წერილი, რომელიც ბოლო დროს დასავლეთის პრესაში დაიბეჭდა. გთავაზობთ მის თარგმანს.*



# 63-ე ვენეცია

კინოფესტივალი ბრაიან დე პალმას ფილმით "შავი ორქიდეით" და "დედოფლით" გაიხსნა

A5



# პარლამენტი საარჩევნო რეჟიმში იმუშავებს

გიორგი ასანიშვილი

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების 5 ოქტომბერს დანიშვნამ, როგორც ხელისუფლების მხარდამჭერი გუნდი, ისე ოპოზიცია ცაიტნოტში ჩააყენა. ახლა მთავარია, არჩევნებამდე დარჩენილ ერთთვიან პერიოდს ვინ უფრო ეფექტურად გამოიყენებს. როგორც ჩანს, საშემოდგომო სესიის დაწყებისთანავე პარლამენტი კანონშემოქმედებაზე მეტად, საარჩევნო საკითხებით დაკავდება. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, პრაქტიკულად, პირველად უწევს მუშაობა საარჩევნო რეჟიმში.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების წინ ხელისუფლება უფრო მომგებიან მდგომარეობაშია, ვიდრე ოპოზიცია. მმართველ გუნდს არანაირი პარტიულ-ორგანიზაციული პრობლემა არ აწუხებს და უკვე იცის, რომელ საარჩევნო ოლქში, რომელ კანდიდატურებს დაუჭერს მხარს. ოპოზიციის ბანაკში კი, ჯერჯერობით, რთული და გაურკვეველი ვითარებაა. ხელისუფლების ოპონენტების ერთიან ძალად ჩამოყალიბება ვერ ხერხდება, რაც ოპოზიციის ისედაც მიზერულ შანსებს კიდევ უფრო ამცირებს.

თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებას 5 ოქტომბერს სრული და უპირობო გამარჯვება გარანტირებული აქვს: ოპოზიციის არსენალში მრავლად მოიძებნება ისეთი თემები, რომლებზე აპელირებითაც ის დღევანდელი მმართველი ძალის დისკრედიტაციას შეეცდება.

ხელისუფლებას განსაკუთრებით სუსტი პოზიციები აქვს სამართლებრივ სფეროში და, ამდენად, სავარაუდოა, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს კვლავ წამოტივტივდება გირგვლიანისა და რობაქიძის გახმაურებული მკვლელობების, აგრეთვე სისხლიანი სპეცოპერაციების თემატიკა, ციხის ბუნტი და სხვა. აქტუალური გახდება სოციალური საკითხებიც: ფასების მატება, ინფლაციის ზრდა...

გაგრძელება A3 გვერდზე

# კობა დავითაშვილი მერობისთვის იბრძოლებს

*"კონსერვატორებისა" და "რესპუბლიკელების" გაერთიანებული ბლოკის კანდიდატი დედაქალაქის მერის პოსტზე კობა დავითაშვილი იქნება. იგი კვლავინდებურად გლდანში იყრის კენჭს.*

გუშინ კობა დავითაშვილმა ოფიციალურად განაცხადა, რომ დეპუტატის მანდატზე უარს ამბობს და ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვებისთვის ემზადება. დავითაშვილის თქმით, მან პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს წერილობით მიმართა. დეპუტატი მოითხოვს რიგგარეშე სხომის მოწვევას და დეპუტატობის უფლებამოსილების მოხსნას.

კობა დავითაშვილმა მედიას თავის ემოციებზეც უამბო. გადაწყვეტილების მიღებამდე, დეპუტატი თურმე მღელვარებას განიცდიდა.

კობა დავითაშვილმა გუშინ გაიხსენა თავისი ბრძოლით აღსავსე ბიოგრაფია. დეპუტატმა შეგვახსენა, რომ იბრძოდა შევარდნაძის იმპიჩმენტისთვის, იბრძოდა ე.წ. ნულოვანი ვარიანტისთვის, რის გამოც თანამდებობასაც შეელია. მებრძოლი ბუნების გამოისობით დავითაშვილი ჯერ მოქკავშირიდან, ხოლო მოგვიანებით ნაციონალური მოძრაობიდან წამოვიდა.

პარალელურად, კობა დავითაშვილმა გიგი უგულავასთვის კბილის გაკვრაც მოახერხა. დეპუტატის თქმით, უგულავა ხალხმა თანამდებობაზე მოსვლის შემდეგ გაიცნო, მისი ბიოგრაფია კი იმით გამოირჩევა, რომ პრინციპებს ყოველთვის ანაცვალებდა თანამდებობას.

დავითაშვილმა გუშინ გლდანელი ამომრჩეველი შეაგულიანა. მისი განმარტებით, იგი უთანასწორო პირობებში ბოლომდე ბრძოლას აპირებს, რათა გამარჯვების შემთხვევაში ამომრჩეველს ის დაპირებები შეუსრულოს, რომელიც დღევანდელმა ხელისუფლებამ დიდი ხანია დაივიწყა.

დავითაშვილის გუშინდელ ბრიფინგს "ნაციონალი" ბესო ჯუღელი გამოეხმაურა. ჯუღელი ყოფილი თანაპარტიელის გადაწყვეტილებას აფასებს, როგორც "ქარის წისქვილებთან ჭიდილს."

*24 საათი*

# პროკურატურა ომბუდსმენის რეკომენდაციებზე რეაგირებს

*სახალხო დამცველის ჩარევის შედეგად, ქუთაისის რაიონულ პროკურატურაში წყალტუბოს შს სამმართველოს მუშაკების მიმართ, სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, გამოძიება დაიწყო. გარდა ამისა, ასევე ომბუდსმენის აპარატის მონდომების საფუძველზე, ქუთაისის რაიონულმა პროკურატურამ წყალტუბოელი პოლიციელების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზეც დაიწყო გამოძიება.*

საქმე ისაა, რომ ორი თვის წინ, სახალხო დამცველის აპარატის ქუთაისის რეგიონულ სამმართველოს განცხადებით მიმართეს წყალტუბოს რაიონის სოფელ ცხუნკურში მცხოვრებმა ძმებმა ლერი და ზურაბ ფირცხალავებმა. როგორც განმცხადებლები აღნიშნავდნენ, 2005 წლის 27 ივლისს, მათ გარდაცვლილი იპოვეს მესამე ძმა, მერაბ ფირცხალავა. მერაბ ფირცხალავას გარდაცვალების ფაქტზე წყალტუბოს შს სამმართველოში დაიწყო გამოძიება, თუმცა საქმის წარმოება მალევე შეწყდა.

იმერეთის სამხარეო პოლიციის მონაცემებით, 2005 წლის 5 აგვისტოს წყალტუბოს შს სამხარეო სამმართველოში მერაბ ფირცხალავას გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო წინასწარი გამოძიება, რომლის დროსაც დადგინდა, რომ მერაბ ფირცხალავამ თავი მოიკლა. გამოძიების ამ ვერსიის შესაბამისად, ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორის ქეთევან თალაკვაძის დადგენილების საფუძველზე, რამდენიმე დღეში, საქმის გამოძიება შეწყდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ცესკო-ს თავმჯდომარე ეუთოს დელეგაციას შეხვდა

*ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი გუშინ ეუთო-ს ოფისის დელეგაციას შეხვდა. სამუშაო შეხვედრა ცესკო-ში დახურულ კარს მიღმა გაიმართა. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ, გურამ ჩალაგაშვილმა აღნიშნა, მან დელეგაციის მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ეტაპზეა 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მზადების პროცესი. ეუთო-ს დელეგაცია ცესკო-ში არსებულ მდგომარეობასაც გაეცნო.*

ნათია მსხილაძე

გურამ ჩალაგაშვილის განცხადებით, არჩევნების ჩასატარებლად ცესკო-ს სრული მზადყოფნა აქვს გამოცხადებული. მისთვის ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენი საერთაშორისო დამკვირვებელი დააკვირდება 5 ოქტომბრის არჩევნებს. **"შეხვედრაზე ჩვენ გამოვთქვით სურვილი, რომ 5 ოქტომბერს საქართველოში, რაც შეიძლება მეტი დამკვირვებელი ჩამობრძანდეს და არჩევნებს სრულიად საქართველოს მასშტაბით დააკვარდეს,"** - აცხადებს ცესკო-ს თავმჯდომარე.

ეუთო-ს დელეგაცია შეხვედრას ოპოზიციის წარმომადგენლებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც გამართავს. ცესკო-ს განმარტებით, ეს შეხვედრა სადამკვირვებლო მისიის გამოგზავნისთვის საჭირო წინასაარჩევნო მდგომარეობის შესაფასებლად იყო აუცილებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებს, კიდევ ერთი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია - "რაციო ლეგი" დააკვირდება. აღნიშნული განკარგულება ცესკო-მ გუშინ გამართულ სხდომაზე მიიღო. ამავე სხდომაზე ცესკო-მ რამდენიმე საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმაც დაამტკიცა. არჩევნებისათვის დამკვირვებლის სტატუსით რეგისტრაციაში გატარებულია ასევე, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) . "სამართლიანი არჩევნები" 2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნების მონიტორინგს 3000 დამკვირვებლის მეშვეობით განახორციელებს.

## აშშ-ს დელეგაციის ვერტმფრენისთვის არ უსვრიათ

ამის შესახებ განცხადება გუშინ საქართველოში აშშ-ს საელჩომ გაავრცელა.

საელჩოს ინფორმაციით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და აშშ-ს ფედერალური გამოძიების ბიუროს სრულყოფილმა გამოძიებამ, არ დაადასტურა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რომელიმე ვერტმფრენს, რომელსაც გადაჰყავდა აშშ-ს სენატის დელეგაცია სენატორ ჯონ მაკკეინის ხელმძღვანელობით ჭურვი ესროლეს.

"როგორც ჩანს ჭურვის სამიზნე სხვა ვერტმფრენი იყო, რომელიც თბილისიდან დასავლეთ საქართველოში მიფრინავდა, რათა სენატორების ვერტმფრენებს შეერთებოდა"-ნათქვამია განცხადებაში. ფედერალური გამოძიების ბიუროს წარმომადგენლები საქართველოს მთავრობასთან აღნიშნული ინციდენტის გამოძიების დაწყებიდანვე თანამშრომლობენ. ამერიკელ სენატორთა დელეგაცია საქართველოში 26-29 აგვისტოს სტუმრობდა.

*ინტერპრესნიუსი*

## მეტროთი მგზავრობა არ გაძვირდება

თამარ დვალი

თბილისის მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობა რამდენიმე დღის წინ გავრცელებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს. მათი თქმით, "ლეიბორისტების" მიერ გაკეთებული განცხადება სიმართლეს არ შეესაბამება და ახლო მომავალში მეტროპოლიტენით მგზავრობის საფასურის გაზრდა არ იგეგმება.

**"არ ვიცი, ოპოზიციას ვინ მიაწოდა ინფორმაცია მგზავრობის გაძვირების შესახებ. ჩვენ მსგავსი გადაწყვეტილების მიღების უფლება არ გვაქვს, ასეთ გადაწყვეტილებას თბილისის საკრებულო იღებს. ამ ეტაპზე ჩვენს სამსახურს საკრებულოსთვის მსგავსი მოთხოვნით არ მიუმართავს,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას თბილისის მეტროპოლიტენის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნანა ცერცვაძემ.

**"მართალია 20 თეთრი საკმაოდ დაბალი ტარიფია და ამით დანახარჯებს ვერ ვფარავთ, თუმცა ვითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ მეტროპოლიტენით საზოგადოების ფართო ფენები სარგებლობენ, რომლებსაც გაზრდილი ტარიფის გადახდის შესაძლებლობა არ აქვთ",** - განაცხადა ცერცვაძემ.

მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობა მგზავრებს საფასურის გაზრდის ნაცვლად, სექტემბრის შუა რიცხვებიდან სასიამოვნო სიახლეებს ჰპირდება.

დედაქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 12 მილიონ 500 ათასი ლარით ვაგონების მოდერნიზება უკვე დაიწყო. 2 მილიონ 500 ათასი ლარი 4 სადგურის რეკონსტრუქციას მოხმარდება. "ისნის" მეტროსადგურის გახსნის შემდეგ, 15 სექტემბრისთვის "ავლაბრის" სადგურის გახსნება, ხოლო მოგვიანებით "წერეთლისა" და "თავისუფლების მოედნის" სადგურების გახსნაც იგეგმება.

დედაქალაქის ხელმძღვანელობა სექტემბრისთვის სიახლეებს ჰპირდება იმ მგზავრებსაც, რომლებიც ავტობუსით გადაადგილდებიან.

15 სექტემბერს დედაქალაქში 57 ახალი ავტობუსი ჩამოვა, რომელთა ნაწილიც უკვე არსებულ ხაზებს დაემატება, დაინიშნება რამდენიმე ახალი ხაზიც. როგორც მერიის სატრანსპორტო სამსახურის უფროსმა დავით ალავიძემ აღნიშნა, მგზავრობის საფასურის გაზრდას არც ისინი გეგმავენ. ქალაქში საგზაო მოძრაობის გაუმჯობესების მიზნით, ოქტომბერში უცხოელ ექსპერტებსაც ელოდებიან.

**"კონტრაქტი უკვე გაფორმებულია და 2 ოქტომბერს უცხოელ კოლეგებს ველოდებით. მათთან ერთან ახალ სქემებსა და სამარშუტო ხაზებს შევიმუშავებთ. დღეს ავტობუსებთან დაკავშირებული პრობლემა ნაწილობრივ მათი სიმცირითაა განპირობებული. კომუნისტების პერიოდში თბილისს 1200 ავტობუსი ემსახურებოდა, დღეს მათი რაოდენობა 400-ს არ აღემეტება,"** - განაცხადა ალავიძემ.

## დანიაში ტერორიზმში ეჭვმიტანილები დააკავეს

დანიაში ტერაქტების ორგანიზებაში ეჭვმიტანილი 9 ადამიანი დააკავეს. სააგენტო "Reuters"-ის ინფორმაციით, დაკავება ქალაქ ოდენსეში განხორციელდა. დაკავებებისთვის საჭირო იურიდიული ბაზა დანიაში 2001 წლის 11 სექტემბერს, აშშ-ში განხორციელებული ტერაქტების შემდეგ შეიმუშავეს.

ცნობილია, რომ ტერორისტებს მოქმედებაში უნდა მოეყვანათ ასაფეთქებელი ნივთიერება, თუმცა, კონკრეტულად სად და რამდენ ადგილას, ამის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

*ინტერპრესნიუსი*

# ფეხბურთის პოლიტიკური გაკვეთილი

ია ანთაძე

საქართველოს მოსახლეობას 2 სექტემბრის საფეხბურთო მატჩისთვის მეტისმეტად დიდხანს ამზადებდნენ: გამარჯვების სულისკვეთებას სხვადასხვა მეთოდით, ხანგრძლივად და მონდომებით უნერგავდნენ.

თუმცა, გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

წაგებული საფეხბურთო მატჩის შემდეგ ძალიან უინტერესოა იმის თქმა, რომ ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანისთვის წინასწარ უნდა ყოფილიყო ცხადი ამ შეხვედრის შედეგი. თანაც, საქმე ასე მარტივად არ არის. დღესაც შეიძლება ითქვას, რომ ბურთი მრგვალია და განახლებულ ეროვნულ სტადიონზე მატჩი საქართველოს ნაკრებისთვის უფრო სასურველი ანგარიშით შეიძლებოდა დასრულებულიყო. ოღონდ, თუ სიმართლეს თვალს გავუსწორებთ, იმაზე უნდა ვისაუბროთ, რომ საფრანგეთის ნაკრებთან წაგება გაცილებით სასარგებლოა ჩვენი გუნდისთვის და საზოგადოებისთვის, ვიდრე ნებისმიერი სხვა შედეგი იქნებოდა.

2 სექტემბრის შეხვედრის მთავარი გაკვეთილი სპორტის სფეროს ძალიან შორს სცილდება. ამ დღეს წერტილი დაესვა დიდ ტყუილს, რომელსაც ხელისუფლება საინფორმაციო არხების მეშვეობით ენერგიულად უნერგავდა საქართველოს მოსახლეობას: თითქოს, ჩვენს ქვეყანაში გამარჯვებების ხანა დგას და, თითქოს, საქართველოს საფეხბურთო ნაკრებიც მზად არის დიდი გამარჯვებისთვის. მართლაც, ყველა და ყველაფერი მზად იყო საფრანგეთის ნაკრების დასამარცხებლად: პრეზიდენტიც, მერიც, გულშემატკივარიც, სტადიონიც, კომენტატორებიც. ოღონდ, მთელი ამ აჟიოტაჟის განმავლობაში არავის გახსენებია და არავის მოუკითხავს ფეხბურთელები - იყვნენ კი ისინი მზად მძიმე ბრძოლის მოსაგებად?

ტელეკომპანია "იმედის" მაყურებელს მრავალჯერ მოასმენინეს რიხიანი ანონსი: "უკან დაიხიეთ, მამლებო, ჯვაროსნები გიტევენ! თქვენი დრო წავიდა!" რამდენადაც ახლა, შეხვედრის შემდეგ, სასაცილო და არასერიოზულია ეს ფრაზები, ზუსტად იმდენადვე შეუსაბამოა რეალობასთან სხვა რიხიანი საუბრებიც, მათ შორის, ჩვენი სახელმწიფოს ძლიერებაზე. ლოზუნგი "ჩვენ ერთი გუნდი ვართ!" მიმზიდველად ჟღერს, ოღონდ, ერთ გუნდად გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ სიმართლით და არამც და არამც - ტყუილით. 2 სექტემბერს კი დანაპირები და რეალობა მეტისმეტად ასცდა ერთმანეთს. გვთავაზობდნენ, დავმტკბარიყავით აშენებულით, მაშინ, როცა, თურმე, ჯერ შენებაც არ დაგვიწყია; შთაგვაგონებდნენ, რომ ძლიერები და გამარჯვებულები ვართ მაშინ, როცა სინამდვილეში სუსტები და ბრძოლისთვის მოუმზადებლები აღმოვჩნდით. იმაზეც თვალი დავხუჭეთ, რომ თამაშს, ვითომ, გულშემატკივრობა იგებს და არა გუნდი.

საქართველოს ნაკრები ზუსტი სახეა ჩვენი ამჟამინდელი მდგომარეობისა. და თუ საფეხბურთო მატჩმა ტყუილსა და მართალს საკუთარი ადგილი 90 წუთში მიუჩინა, არავინ იცის, საზოგადოებას რამდენი დრო დასჭირდება თავისი რეალური სახის შესაფასებლად.

მატჩის წინა პერიოდის არსებითი შეცდომა, ალბათ, არასწორი საზოგადოებრივი დაკვეთა იყო, რაც, თავის მხრივ, არასწორი სახელისუფლო პოლიტიკით საზრდოობდა. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ხელახლა ვიწყებთ სახელმწიფოს მშენებლობას და წარმატებები გვჭირდება; იმის გათვალისწინებით, რომ გვინდა, ქვეყანაში აღმშენებლობის სულისკვეთებამ დაისადგუროს; იმის გათვალისწინებითაც, რომ გული, სული და სახსრები არ დაგვიშურებია ჩვენი გუნდის გასამხნევებლად, ფეხბურთელებისგან უნდა მოგვეთხოვა არა გამარჯვება საფრანგეთის ნაკრებთან, არამედ - გულწრფელი მონდომება და თავდადება; არა შედეგი, არამედ - კარგი თამაში; არა ბაქი-ბუქის აყოლა, არამედ - რუტინა. ამ შემთხვევაში, გაცილებით რეალური შანსი გვექნებოდა, მიგველო ის, რასაც ვითხოვდით.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს პირადად მე საფრანგეთში, ბევრი ფრანგის გარემოცვაში ვადევნებდი თვალყურს. საოცარი იყო ის ზომიერება, რითიც ფრანგები საკუთარ გუნდს გულშემატკივრობდნენ. იმ გადმოსახედიდან მეტისმეტად ხელოვნური და გულდასაწყვეტი ჩანდა თბილისურ-ფანკლუბური აჟიოტაჟი; ჩანდა, როგორ ადვილად ვექცევით სხვისი იდეების ტყვეობაში, რადგან ჯერ კიდევ გვიზიდავს და გვეადვილება კარნახით ცხოვრება. ფრანგები კი თავისუფალი ნების ხალხია, რაც სრულად იცავს მათ ტვინებს მასობრივი ამღვრევისაგან.

როგორც საქართველოს ნაკრები დამარცხდა საფრანგეთის ნაკრებთან, ასევე დავმარცხდებით უფრო დიდ ომებშიც, ვიდრე ილუზიისგან და ტყუილებისგან არ გავთავისუფლდებით. თავისუფალი ნების დამკვიდრებას და სიმართლისკენ სწრაფვას ერთი მწარე საფეხბურთო გაკვეთილი არ ეყოფა, მაგრამ წინ კიდევ ბევრი ძნელი ბრძოლა და ნაღდი დამარცხება გველის.

*მასალა გამოქვეყნებულია "რადიო თავისუფლების" ეთერით.*

# საზეიმოდ გახსნილი სკოლა ხულოდან კოდორში გადაიტანეს

*გასულ წელს ხულოს რაიონის სოფელ წაბლანაში საზეიმოდ გაიხსნა ახალი სკოლის შენობა. აჭარის ხელისუფლებამ მაშინ თავის აღმშენებლობით ისტორიაში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა. წელს კი წაბლანის ახალაშენებული სკოლა დაშალეს და კოდორში გადაიტანეს. ამ ჰუმანიტარული აქციის გამო აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ პრეზიდენტისაგან მადლობა დაიმსახურა.*

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

პრეზიდენტმა სააკაშვილმა რამდენიმე დღის წინ ლევან ვარშალომიძის შექების ფონზე დანარჩენი რეგიონების ხელმძღვანელები გააკრიტიკა: **"როცა დანარჩენებს ყურზე გეძინათ, ლევან ვარშალომიძემ კოდორში ახალი კოტეჯები ააშენა. აი, მისგან უნდა აიღოთ მაგალითი."**

ხულოს რაიონის სოფელ წაბლანაში ახალაშენებული სკოლა იმ მიზეზის გამო ვერ გაიხსნა, რომ იგი ეროზირებულ ტერიტორიაზე ააგეს და ამის გამო საფრთხე არსებობდა. სოფლის მოსახლეობა თავიდანვე ახალი სკოლის შერჩეულ ადგილზე აშენების წინააღმდეგი იყო. მოგვიანებით კი გადაწყვიტეს, რომ უკვე აშენებული ნაგებობა მეზობელი საკრებულოსთვის - ფუშრუკაულისთვის (სადაც სკოლა ავარიულ მდგომარეობაშია) მიეცათ. წაბლანელებმა სკოლისთვის ძველი ინტერნატის შენობის გარემონტება მოითხოვეს და აღნიშნულის შესახებ შესაბამის ორგანოებს წერილობით აცნობეს. როგორც ჩანს, წაბლანელების იდეა აჭარის მთავრობაში მოიწონეს და გადაწყვიტეს სკოლის შენობა მართლაც გადაეტანათ, ოღონდ, ამჯერად კოდორის ხეობაში. მთავრობამ თავისი ნაბიჯი ქველმოქმედებით გაამართლა.

**"ვიდრე კოდორის საკითხი წამოიჭრებოდა, ამ სკოლის ფუშრუკაულში გადატანა გვქონდა გადაწყვეტილი. იქ მართლაც ძველი, ავარიული სკოლაა, მაგრამ არც ისეა საქმე, რომ ბავშვები მთლად ქუჩაში იყვნენ. ისინი მოითმენენ, როგორმე ამ ზამთარსაც გადაიტანენ. მომავალ წელს კი, იქაც იქნება ახალი სკოლა. წაბლანაში კი ინტერნატის ძველ შენობას ვარემონტებთ. სკოლა აჭარის განათლების სამინისტროსა და მთავრობის ერთობლივი გადაწყვეტილებით გადაიტანეს. პრეზიდენტის პროგრამა იყო და ჩვენს რეგიონსაც რაღაც წვლილი უნდა შეეტანა. ვფიქრობ, ეს არის ძალიან დიდი საქმე,"** - აცხადებს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ავთო ბოლქვაძე.

როგორც ხულოს რაიონის რესურსცენტრში ამბობენ, წაბლანაში აღნიშნული სამუშაოები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დასრულდება (აჭარაში სასწავლო წელი 26 სექტემბერს იწყება).

წაბლანიდან წაღებული შენობის დადგმა კოდორში, სოფელ აჟარაში იგეგმებოდა, მაგრამ, როგორც სკოლის ამჟამინდელმა მშენებელმა, შპს "ფონის" დირექტორმა ანზორ ბოლქვაძემ სატელეფონო საუბარში განაცხადა, **"აჟარაში აქვთ სკოლა, რომელსაც ამჟამად რემონტი უტარდება. გადაწყვეტილება შეიცვალა - სკოლას იქ ავაშენებთ, სადაც არ არის, სოფელ გეწვიშში. მშენებლობა უკვე დავიწყეთ და თვის ბოლოს დასრულდება"**.

მშენებელმა მუშახელიც ხულოდან წაიყვანა. ამასთან, ამბობს, რომ კოდორში მშვიდი სიტუაციაა და საფრთხე არ ემუქრებათ.




### მოკლედ

#### ხანძრის შედეგად 15 ჰექტარი ვენახი დაიწვა

გუშინ სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროში 15 ჰექტარ ვენახს ხანძარი გაუჩნდა. მართალია, ცეცხლის ლიკვიდაციას გურჯაანის, საგარეჯოს და სიღნაღის სახანძრო სამსახურები რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდნენ, მაგრამ უკვე დასაკრეფად გამზადებული 35 ტონა ყურძენი მთლაიანად განადგურდა. ჯერჯერობით დაუდგენელია ხანძრის გამომწვევი მიზეზები. სიღნაღის რაიონის გამგებლის ზაზა ზედელაშვილის განცახდებით, ამჟამად მიზეზების დასადგენად სპეციალური კომისია მუშაობს. ჯერჯერობიოთ უცნობია, დაეხმარება თუ არა სახელმწიფო დაზარალებულ მევენახეებს. **24 საათი**

#### ოხოტის ზღვაში დაკავებული ტრაულერი ქართული დროშით მოძრაობდა

რუსული საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის ეკონომიკურ ზონაში, ოხოტის ზღვაში ტრაულერი "რუსნო" დააკევს.

სახალინის სანაპიროს დაცვის სასაზღვრო სამმართველოს პრეს-სამსახურის ინფორმაციით, ტრაულერი ქართული დროშით მოძრაობდა. გემი ბათუმის პორტზეა მიწერილი, თუმცა მისი ეკიპაჟს რუსები შეადგენდნენ.

"რუსნოს" ბორტზე ზღვის პროდუქტები არ აღმოუჩენიათ, თუმცა აღმოჩნდა, რომ დოკუმენტები არ იყო წესრიგში.

ვითარების გასარკვევად გემი სამხრეთ-კურილსკის პორტშია გადაყვანილი. **ინტერპრესნიუსი**

#### რესპუბლიკური საავადმყოფო 10 დღით დაიხურა

ყიფშიძის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალურ კლინიკა (ე.წ რესპუბლიკური საავადმყოფო) გეგმიური სანიტარული დასუფთავების გამო 10 დღით დაიხურა.

საავადმყოფოს დირექტორის მოადგილის გოჩა ინგოროყვას განცხადებით, სამედიცინო დაწესებულბა გეგმიური ავადმყოფებისათვის დროებით დაიხურა. თუმცა კლინიკაში მუშაობს რეანიმაცია, მიმღები და საჭიროების შემთხვევაში, გადაუდებელ საოპერაციო პაციენტებსაც მიიღებენ. ინგოროყვას თქმით, 15 სექტემბრიდან კლინიკა ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას. გარდა ამისა, "რესპუბლიკურ საავადმყოფოში" სარეაბილიტაციო სამუშაოებიც მიმდინარეობს, თუმცა ეს კლინიკაში სამკურნალო პროცესს არ აფერხებს.

საავადმყოფო წელიწადნახევარში თანამედროვე სტადარტების შესაბამისი სათავო დაწესებულება იქნება. **ინტერპრესნიუსი**

#### "სოს ლენდი" სოციალურად დაუცველ მოზარდებს ეხმარება

გუშინ დილით საქველმოქმედო ფონდ "სოს ლენდის" რუსთავის კომპიუტერულ ცენტრში ფონდის თავმჯდომარემ მომღერალმა თემურ წიკლაურმა და რუსთავის მერის მოვალეობის შესრულებელმა დავით ნადაშვილმა სოციალურად დაუცველი მოსწავლეების მეორე ნაკადს უმასპინძლეს და ცენტრში სწავლების დაწყება მიულოცეს. საქველმოქმედო ფონდის "სოს ლენდის" პროგრამის ფარგლებში, ერთი წლის განმავლობაში, 150 სოციალურად დაუცველი მოზარდი კომპიუტერს შეისწავლის. მათ უფასოდ ასადილებენ და ყოველდღიური მგზავრობის თანხას გადაუხდიან. "სოს ლენდი" ცენტრის ბავშვებს დაბადების დღეებს აუღნიშნავს. 3-თვიანი კურსის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს სწავლის დამადასტურებელ ე. წ. ოქროსა და ვერცხლის დიპლომებს დაურიგებენ. **ინტერპრესნიუსი**

#### იზმირში ერდოგანის პარტიის ოფისთან აფეთქება მოხდა

აფეთქება თურქეთის მმართველი პარტიის - სამართლიანობისა და განვითარების პარტიის - იზმირის ოფისთან მოხდა. პარტიას ქვეყნის პრემიერ-მინისტრი რეჯეპ ტაიიპ ერდოგანი უდგას სათავეში. თურქული მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ასაფეთქებელი ნივთიერება პარტიის ოფისთან ახლოს განთავსებულ სანაგვე ყუთში იყო ჩადებული. ინფორმაცია დაღუპულთა და დაშავებულთა შესახებ არ ვრცელდება. **ინტერპრესნიუსი**

#### საქართველოდან რუსული ტექნიკა გააქვთ

გუშინ წალკის ტერიტორია რუსული ტექნიკით დატვირთულმა კიდევ ერთმა ეშელონმა დატოვა.

როგორც თავდაცვის სამინისტროში განმარტავენ, ეშელონი 12 ვაგონისგან შედგება, რომელიც რუსეთში სამხედრო ტექნიკას აზერბაიჯანის გავლით გადაზიდავს. მათ შორისაა: ავტომანქანა ზილ 131-ის ბაზაზე დამონტაჟებული სპეციალური კავშირგაბმულობის მოწყობილობა (5 ერთეული) ასევე, სპეციალურ ავტომანქანა ურალ 377-ის ბაზაზე დამონტაჟებული რადიოსადგური (1 ერთეული) კამაზის მარკის (კ-4310) ავტომანქანა (6 ერთეული) და 1056 ცალი 122მმ-იანი რეაქტიული ჭურვი.

სამხედრო ტექნიკა ერთი კვირის განმავლობაში ახალქალაქის რუსული სამხედრო ბაზიდან გამოჰქონდათ. მორიგი, რიგით უკვე 18-ე ეშელონი წალკიდან იმავე რეისის გავლით 12 სექტემბერს გავა. **ინტერპრესნიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ეუთო: ვერტმფრენზე თავდასხმა კრიმინალური აქტია

პირველი გვერდიდან

კერძოდ, შერეული საკონტროლო კომისიის მიერ მიღებულ არც ერთ დოკუმენტში არ არის განსაზღვრული რაში მდგომარეობს "არასანქცირებული" ფრენა და რომელი ორგანო ახდენს სამშვიდობო ძალების პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი ტერიტორიის თავზე ფრენებზე ნებართვების გაცემას.

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი კი დარწმუნებულია, რომ ვერტმფრენის დაცხრილვის ფაქტს ქართული მხარე სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დაწყებისათვის გამოიყენებს. **"3-4 სექტემბრის ღამეს ქართულმა მხარემ სამხრეთ ოსეთის საზღვრებისკენ სამხედრო კოლონა დაძრა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გაისმა განცხადებები სამხრეთ ოსეთის პრობლემის მხოლოდ ძალისმიერი გზით გადაწყვეტის თაობაზე, სავსებით ნათელია, რომ ვერტმფრენის დაცხრილვის ფაქტი აქ არაფერ შუაშია,"** - განაცხადა მინძაევმა.


თავდაცვის მინისტრის ვერტმფრენი 15 წუთის განმავლობაში ვარდნის რეჟიმში ახორციელებდა ფრენას.

მან კომენტარი გააკეთა ქართული მხარის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე საქართველოს პრეზიდენტისა და ამერიკელი სენატორების თანმხლებ ვერტმფრენზე თავდასხმის შესახებ. **"ჩვენ არ ვართ ვალდებულნი ვიცოდეთ, ვინ იმყოფება ვერტმფრენში, რომელმაც სუვერენული სახელმწიფოს საჰაერო სივრცე დაარღვია,"** - განაცხადა მინძაევმა.

"პროვოკაცია" უწოდა ქართულ ვერტმფრენთან დაკავშირებულ ინციდენტს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ. მისი თქმით, ირაკლი ოქრუაშვილის მოქმედება სიტუაციის დარეგულირებას ხელს არ შეუწყობს. ასევე პროვოკაციული უწოდა მან ქართული მხარის განცხადებებს იმის შესახებ, რომ რუსეთი კონფლიქტის ზონაში საომარი მოქმედებების პროვოცირებას ცდილობს. **"რუსეთი იყო და იქნება კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი,"** - განაცხადა კოკოითიმ.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ქართველი, რუსი, ოსი სამხედრო დამკვირვებლებით და ეუთო-ს წარმომადგენლებით დაკომპლექტებულმა მონიტორინგის ჯგუფმა გუშინ უკანონო შეიარაღება აღმოაჩინა. D-30 ტიპის 122 მილიმეტრიანი საარტილერიო ქვემეხი "ბელორუსის" მარკის ტრაქტორზე იყო ჩაბმული. მონიტორინგის ჯგუფმა საარტილერიო ქვემეხი ყორნისის რაიონულ ცენტრში, მილიციის საგუშაგოსთან ახლოს შენიშნა. აკრძალული ტექნიკა ზნაურის დასახლებული პუნქტიდან სოფელ ისაკჰაუს მიმართულებით გადაჰქონდათ.

ამ ფაქტის გამო მონიტორინგის ჯგუფმა კატეგორიულად მოითხოვა 3 პირობის დაკმაყოფილება: გაეჩერებინათ აღნიშნული ტექნიკა, რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენელი დაკავშირებოდა თავის შტაბს და გაერკვიათ, თუ ვის ეკუთვნოდა საარტილერიო ქვემეხი. როგორც საქართველოს თავდაცვის უწყებაში აცხადებენ, მიუხედავად ამისა, რუსეთის სამშვიდობო ძალების შტაბმა გასცა მითითება, არ შეეჩერებინათ ტექნიკის გადაადგილება და გაეგრძელებინათ მისი წინასწარ მითითებული მარშრუტით მოძრაობა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ეს ფაქტი, **"ათეულობით სხვა ადრეულ დარღვევასთან ერთად, ცალსახად მოწმობს, რომ ე.წ. რუსი სამშვიდობოები პირდაპირ არიან ჩართულნი ოსური ბანდ-ფორმირების შეიარაღებისა და მათი უკანონო ქმედებების დაფარვაში"**.

*24 საათი*

# ბელა ბეჟუაშვილი არჩევნების საკითხებში ეუთო-ს ექსპერტს შეხვდა

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი შეხვდა ეუთო-ს ექსპერტს არჩევნების საკითხებში, ელჩს გერტ ჰინრიხ არენს და საქართველოში ეუთო-ს მისიის წარმომადგენელს მარი კაერინ ვონ გუმპენბერგს.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოში 5 ოქტომბერს დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებული საკითხები.

ეუთო-ს წარმომადგენლებმა გამოთქვეს მზადყოფნა, რომ ორგანიზება გაუკეთონ დამკვირვებელთა ჯგუფის ჩამოყვანას აღნიშნულ არჩევნებზე, რაშიც საქართველოს მხარე ყოველმხრივ დახმარებასა და მხარდაჭერას დაპირდა.

შეხვედრაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა საერთაშორისო საზოგადოების როლს საქართველოში მომავალი არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარების საკითხში და მადლობა გადაუხადა ეუთო-ს წარმომადგენლებს არჩევნებთან დაკავშირებით გაწეული სამუშაოსთვის.

*მედიანიუსი*

# ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში სერიოზული ცვლილება შედის

მომავალ სასესიო კვირას საქართველოს პარლამენტი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ცვლილებას შეიტანს. გუშინ ამის შესახებ განცხადება პარლამენტის ბიუროზე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნიკა რურუამ გააკეთა.

ნიკა რურუას განცხადებით, საქართველოში შექმნილი რთული სიტუაციის გამო, საქართველოს პრეზიდენტი და თავდაცვის მინისტრი მიიღებენ გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, რომ ეროვნულ უსაფრთხოების კონცეფციაში ცვლილება შევიდეს და საქართველო ტერიტორიული თავდაცვის პრინციპიდან ტოტალური თავდაცვის პრინციპზე გადავიდეს.

კონცეფციაში შესატანი ცვლილების პროექტთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ. მისი თქმით, დეფინიციის დონეზე ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში სერიოზული ცვლილება შედის და ყველგან, სადაც წერია "გარე აგრესიის შეჩერება", დაიწერება "ტოტალური თავდაცვა".

როგორც დეპუტატი ბაქრაძე აღნიშნავს, ეს იმას ნიშნავს, რომ გარე აგრესიის შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებას არ აქვს ვალდებულება, შემოიფარგლოს 20-30 ათასი ჯარისკაცით, არამედ ასეთ შემთხვევაში საუბარი იქნება უფრო სერიოზულ ნაბიჯებზე, რომლებსაც სწორედ ეს კონცეფცია განსაზღვრავს.

კონცეფციას შეიმუშავებს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სადაც კონკრეტულად, სერიოზულად იქნება გაწერილი საყოველთაო მობილიზაციის დეტალური გეგმა და სწორედ ამ კონცეფციას დაამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. საბოლოო გადაწყვეტილებას კი საქართველოს პარლამენტი მიიღებს.

*ინტერპრესნიუსი*

# პარლამენტი საარჩევნო რეჟიმში იმუშავებს

პირველი გვერდიდან

დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ ისიც, რომ ხელისუფლება არ დაუშვებს, სოციალური თემატიკა ოპოზიციამ "ჩაიგდოს ხელში" და, თავის მხრივ, "დააპიარებს" უმუშევრების დასაქმებას და მათთვის 450-ლარიანი "შემწეობის" გაცემას. არჩევნების წინ სახელისუფლებო გუნდი, ალბათ, კოდორის ხეობაში განხორციელებულ ანტიკრიმინალურ ოპერაციასაც გაიხსენებს და შეეცდება, 5 ოქტომბრამდე კოდორში აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების "დესანტირება" მოასწროს.

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის მტკიცებით, უახლოეს პერიოდში ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების სამართლიანად და ობიექტურად ჩატარება იქნება. მისივე თქმით, 5 ოქტომბრისთვის საქართველოში უამრავი საერთაშორისო დამკვირვებელი ჩამოვა და მათ მიერ, შეძლებისდაგვარად, საარჩევნო უბნების რაც შეიძლება მეტი ნაწილი "დაიფარება".

**"არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება ჩვენი ხელისუფლების და პირადად ჩემი ღირსების საქმეა,"** - აღნიშნა პარლამენტის სპიკერმა ბიუროს გუშინდელ სხდომაზე, რომელზეც პარლამენტის საშემოდგომო სესია ოფიციალურად გაიხსნა. ბურჯანაძის თქმით, 7 სექტემბერს მოწვეული იქნება რიგგარეშე სხდომა, რომელზეც კობა დავითაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება მოეხსნება და ამით ოპოზიციონერ დეპუტატს საშუალება მიეცემა, თბილისის ხელისუფლების სათავეში მოსვლისათვის იბრძოლოს. რიგგარეშე სხდომაზე გატანამდე, კობა დავითაშვილის საკითხს დღეს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი განიხილავს.


პარლამენტის საშემოდგომო სესიაზე მთავარი თემა თვითმმართველობის არჩევნები იქნება.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს ძალიან აღიზიანებთ ის, რომ კონსერვატორების ლიდერის საკითხმა წინა პლანზე გადმოიწია და მისი გულისთვის საგანგებო სესიაც კი ტარდება. ამიტომ, სახელისუფლებო ფრაქციის წარმომადგენლები გულმოდგინედ ცდილობენ აქცენტების შეცვლასა და ყურადღების სხვა საკითხებზე გადატანას: ბიუროს გუშინდელ სხდომაზე საკმაოდ დიდი დრო დაეთმო ოსი სეპარატისტების მიერ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვერტმფრენის დაცხრილვის ფაქტის ირგვლივ მსჯელობას.

ნინო ბურჯანაძე მომხდარს "უპრეცედენტოს" უწოდებს და აცხადებს, რომ მსგავსი ქმედებები უპასუხოდ არ დარჩება. **"ამის მოთმენა უკვე შეუძლებელია. საქართველოს საჰაერო სივრცე დაცული უნდა იყოს,"** - მოითხოვს პარლამენტის თავმჯდომარე. იგი ავალებს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს, რომ სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტები და საელჩოები მომხდარის შესახებ საქმის კურსში ჩააყენოს.

ერთობ საგულისხმო განცხადებას აკეთებს გივი თარგამაძეც. **"თუ რამდენიმე თვის განმავლობაში სამშვიდობო გეგმის შესრულება არ მოხერხდება, საქართველოს შეარაღებულმა ძალებმა საფრთხეების აღმოფხვრაზე უნდა იზრუნონ,"** - აღნიშნავს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე...

რაც შეეხება პარლამენტის საშემოდგომი სესიის პლენარულ სხდომებს, ისინი 12 სექტემბრიდან დაიწყება. **"ეს სესია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტის ისტორიაში, რადგან ძალიან სერიოზული საკითხები გვაქვს გადასაწყვეტი როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში,"** - აცხადებს სტარტის აღებამდე ერთი კვირით ადრე პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.

# კოფი ანანმა ისრაელს ლიბანის ბლოკადის მოსახსნელად 48 საათი მისცა

ეგვიპტეში მყოფმა გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა ისრაელს ლიბანის ბლოკადის მოსახსნელად 48 საათი მისცა და განაცხადა, რომ ისრაელისგან "დადებით პასუხს" ელოდება.

კოფი ანანი ეგვიპტეში საკუთარი ახლო აღმოსავლეთური ტურნეს ფარგლებში იმყოფება, რომელიც უკვე ერთი კვირაა გრძელდება.

ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ ისრაელმა საჰაერო ბლოკადა ლიბანზე უკვე მოხსნა; მუშაობა დაიწყო ბეირუთის აეროპორტმა.

ლიბანის ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ისრაელის მიერ განხორციელებული ბლოკადის შედეგად ქვეყანა ყოველდღიურად 40 მილიონი დოლარის ზარალს ნახულობდა.

*ინტერპრესნიუსი*

# ებრაელი ჯარისკაცების გათავისუფლების პროცესში გაეროს სპეციალური წარმომადგენელი ჩაერთვება

გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის განცხადებით, ისრაელმა და ლიბანურმა რადიკალურმა მოძრაობა "ჰამასმა" მიიღეს მისი წინადადება გატაცებული ორი ებრაელი ჯარისკაცის გათავისუფლების პროცესში გაერო-ს მონაწილეობის შესახებ.

საუდის არაბეთში მყოფმა კოფი ანანმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებების საწარმოებლად სპეციალურ წარმომადგენელს დანიშნავს. ივლისში სწორედ ებრაელი ჯარისკაცების გატაცება გახდა ისრაელსა და "ჰესბოლას" შორის კონფლიქტის დაწყების მიზეზი, რომელიც თითქმის ორ თვეს გრძელდებოდა.

"ჰესბოლა" ისრაელისგან ლიბანელი პატიმრების გათავისუფლებას მოითხოვს. ისრაელი კი საკუთარი ჯარისკაცების გათავისუფლებას ყოველგვარი პირობის გარეშე ითხოვს.

კოფი ანანი ისრაელსა და "ჰესბოლას" შორის შუამავლის ვინაობას ჯერჯერობით არ ახმაურებს. ერთ-ერთ სავარაუდო კანდიდატად ამერიკელი პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწე ჯესი ჯექსონი სახელდება.

*ინტერპრესნიუსი*

# ევროკავშირის ახალი სტრატეგიული ხედვა

## ევროპა რუსეთისა და თურქეთის პრობლემაზე ფიქრობს

ხათუნა გაბიევი

ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, რომელიც გასულ უქმეებზე გაიმართა ფინეთში, საგარეო უწყებების მეთაურებმა ახალი სტრატეგიული ხედვა შეიმუშავეს რუსეთთან დაკავშირებით. მათ ასევე ისაუბრეს ევროკავშირში თურქეთის ინტეგრაციის პერსპექტივაზეც, რომელიც უახლოეს მომავალში სულ უფრო სათუო ხდება.

როგორც აღმოჩნდა, ევროკავშირი იმედოვნებს, რომ შეძლებს რუსეთთან ახალი სტრატეგიული ურთიერთობების განვითარებას, თანაც ეს უახლოეს პერიოდში, კერძოდ კი, ნოემბერში დაგეგმილი ორმხრივი სამიტის დასრულების შემდეგ უნდა მოხდეს. უმრავლესობის ოპტიმისტური დამოკიდებულების მიუხედავად, ევროკავშირის ახალი წევრი სახელმწიფოები მაინც სკეპტიკურად განწყობილნი რჩებიან ბლოკის აღმოსავლეთით მყოფი გიგანტური მეზობლის მიმართ და მოითხოვენ რუსეთის მიმართ მკაცრი პოლიტიკის გატარებას. ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კირილ სვობოდას თქმით, "მანდატე" მეტ-ნაკლებად მისაღებია, მაგრამ საჭიროა მტკიცე და ხისტი პოზიციის შენარჩუნება ოფიციალური მოსკოვის მიმართ.

ევროკავშირის ენერგომომარაგების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმაც წარმოადგინა.

**"ენერგოუსაფრთხოება პოლონეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ დამოკიდებული ვართ ენერგომომარაგების მხოლოდ ერთ წყაროზე,"** - განაცხადა ანა ფოტიგამ.

თუმცა, ამის მიუხედავად, უმრავლესობის, თანაც "ძველი გვარდიის" ხედვამ მაინც გაიმარჯვა და დასკვნაც ოპტიმისტური გამოდგა, რასაც ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვებიც მოწმობს.

**"ნათელია, რომ ჩვენ შეგვიძლია მოსკოვთან ამჟამად არსებული შეთანხმების განახლების მანდატზე შეთანხმება - აქ ჩვენ მნიშვნელოვან წინააღმდეგობას არც წავწყდომივართ. მოლაპარაკებები, რასაკვირველია, დიდხანს გაგრძელდება სამიტის შემდეგ, მაგრამ ევროკავშირის საერთო თვალთახედვიდან გამომდინარე, ჩვენ კარგად გვესმის, რისი მიღწევაც გვინდა,"** - აღნიშნა ერკი ტუომიოიამ.

ამჟამად ევროკავშირთან რუსეთის ურთიერთობა ე.წ. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებშია მოქცეული, მაგრამ 10 წლის წინ მიღწეული შეთანხმების ვადა, რომელიც პოლიტიკურ დიალოგთან ერთად ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობებსაც არეგულირებდა, ამ ორ აქტორს შორის, 2007 წელს იწურება.

როგორც ევროპელმა დიპლომატებმა აღნიშნეს, ფინურ "მინისტერიალზე" "პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება" რუსეთთან თავის დროზე ამ ქვეყანასთან ბლოკის ენერგოდამოკიდებულების პირობებიდან დაიდო მაშინ, როცა ევროკავშირს ნაკლები ბერკეტები აქვს ალიანსის ფარგლებში სამართლისა და შიდა საქმეების კუთხით, თანაც იმ დროს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე რუსეთს ოცნებაც კი არ შეეძლო. მართალია, რუსეთი ევროკავშირის მთლიანი ენერგომოთხოვნების 25 პროცენტს აკმაყოფილებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც "გაზპრომ"-ის გავლენის სფერო გაფართოვდა, ვითარებაც შეიცვალა. გარდა ამისა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მსოფლიო ასპარეზზე რუსეთის როლის ზრდაც აშინებს, კერძოდ, ირანთან დამოკიდებულებაში. ამდენად, ოფიციალური მოსკოვის მიმართ ევროპული სივრცე ორ ბანაკად დაიყო, ერთნი, რომლებიც ფიქრობენ, რომ ევროკავშირისა და რუსეთის კავშირები გეოსტრატეგიული მნიშვნელობით აიხსნება და მეორენი უბრალოდ რუსეთის მეზობელი ქვეყნების ბანაკში მოექცნენ.

ევროპელი დიპლომატების დამოკიდებულებას ევროკავშირის საგარეო ურთიერთობების კომისრის ბენიტა ფერერო-ვალდნერის სიტყვებიც კარგად ასახავს.

**"რუსეთი სტრატეგიული პარტნიორია. რუსეთი ძალიან მნიშვნელოვანი მეზობელია, რომელიც ხანდახან მოკავშირის როლშიც გვევლინება, მაგრამ იგი უფრო და უფრო აგრესიული მოთამაშე ხდება მსოფლიო სცენაზე, ამიტომ ჩვენ ურთიერთობების ფორმა კარგად უნდა შევარჩიოთ,"** - თქვა ბენიტა ფერერო-ვალდნერმა.

რაც შეეხება ევროკავშირისთვის მეორე არანაკლებ მტკივნეულ და ფრთხილ თემას - თურქეთის გაწევრიანებას, აქ საქმე არანაკლებ რთულადაა. იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი გააგრძელებს თავისი პორტებისა და აეროპორტების ჩაკეტვას კვიპროსისთვის, მისი გაწევრიანების პერსპექტივა კიდევ დიდი ვადით გადაიწევა.

ევროკავშირმა თურქეთის გაწევრიანებასთან მოლაპარაკებები გასული წლის ოქტომბერში განაახლა, მაგრამ ეს მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც თურქეთმა ე.წ. ანკარის პროტოკოლს მოაწერა ხელი, რომელიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის ნებისმიერი სავაჭრო სირთულეების მოხსნას ითვალისწინებს, მათ შორის - კვიპროსისთვისაც.

**"შექმნილი რთული მდგომარეობის მიუხედავად, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ავიცილებთ თავიდან ჩვენი ურთიერთობების კრიზისულ ფაზაში შესვლას. ეს აუცილებლად უნდა მოხდეს,"** - აღნიშნა ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

თურქეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები 35 საკითხს მოიცავს, მათ შორისაა ზოგიერთი მნიშვნელოვანი თემა ევროკავშირის შიდა ბაზართან დაკავშირებით. ერთი სიტყვით, ევროკავშირი მზადაა, თურქეთის გაწევრიანების საკითხი "გაყინოს", ყოველ შემთხვევაში ამაზე მეტყველებს ვაჭრობასა და დაპირისპირების პოლიტიკაზე გაკეთებული აქცენტები.

# კონდოპოგაში არეულობები გრძელდება

კარელიის ქალაქ კონდოპოგაში არეულობები გრძელდება. გუშინწინ ღამით კვლავ შეეცადნენ სავაჭრო ცენტრისთვის ცეცხლი წაეკიდებინათ.

არეულობები კონდოპოგაში გასულ კვირას ერთ-ერთ რესტორანთან მომხდარი ჩხუბის შედეგად დაიწყო. ჩხუბის დროს კავკასიური წარმოშობის ახალგაზრდებმა ორი ადგილობრივი მკვიდრი მოკლეს. მალე დაპირისპირებამ ანტიკავკასიური ხასიათი მიიღო.

კონდოპოგის რამდენიმე რაიონში კავკასიელების წინააღმდეგ გამოსვლები მოეწყო; ქალაქის მოსახლეობამ მიტინგიც მოაწყო, სადაც ხელისუფლებისგან ქალაქიდან კავკასიელების გაძევება მოითხოვა.

*ინტერპრესნიუსი*

# ფართომასშტაბიანი წვრთნები თვითაღიარებულ რესპუბლიკაში

24-27 სექტემბრის ჩათვლით, აფხაზეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნების ჩატარება იგეგმება. გავრცელებული ინფორმაციით, წვრთნების გარკვეული ნაწილი, კერძოდ, წვრთნა საბრძოლო სროლაში, 27 სექტემბერს კოდორის ხეობის ქვედა ზონაში გაიმართება. წვრთნებში თითქმის ყველა საჯარისო დანაყოფი და რეზერვისტთა ბრიგადა მიიღებს მონაწილეობას.

*ინტერპრესნიუსი*

## თბილისის შერიფის სავარძელი ირყევა?

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ამჟამინდელი უფროსის მერაბ ბაღათურიას თანამდებობიდან გადადგომის შესახებ ოფიციალურად ინფორმაცია ჯერაც არ გავრცელებულა. სამაგიეროდ, შს სამინისტროს კულუარებში უკვე საუბრობენ დედაქალაქის შერიფობის ახალ კანდიდატურაზე.

გავრცელებული ინფორმაციით, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელად შსს კრიმინალური პოლიციის უფროსის ირაკლი ქადაგიძის კანდიდატურა განიხილება.

შს სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი შოთა ხიზანიშვილი ჯერჯერობით თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ხემლძღვანელის მერაბ ბაღათურიას თანამდებობიდან გათავისუფლებას არ ადასტურებს და შესაბამისად კომენტარს არც ახალ კანდიდატურასთან დაკავშირებით აკეთებს.

როგორც ცნობილია, შინაგან საქმეთა სამინისტროში საკადრო ცვლილებები რამდენიმე დღის წინ განხორციელდა. პირველად სწორედ მაშინ გაიჟღერა ინფორმაციამ მერაბ ბაღათურიას თანამდებობიდან წასვლის შესახებ. ამას ემატებოდა თბილისის მერის გიგი უგულავას უკმაყოფილება დედაქალაქში არსებულ მძიმე კრიმინოგენულ ვითარებასთან დაკავშირებით. აღნიშნული განცხადების შემდეგ, თანამდებობები მართლაც დატოვეს მთაწმინდა-კრწანისის, გლდანი-ნაძალადევისა და დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს უფროსებმა. მიზეზად ზაფხულის პერიოდში გაუხსნელი საქმეები დასახელდა. აღნიშნული საკადრო წმენდის შემდეგ მერაბ ბაღათურიამ თანამდებობა შეინარჩუნა, თუმცა რამდენი ხნით, ამას თავად ამჟამინდელი შერიფიც ვერ აკონკრეტებს. არ არის გამორიცხული, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის ბედი ადგილობრივი არჩევნების შედეგებით გადაწყდეს.

დღეისთვის კი თანამდებობაზე რჩებიან ორი რაიონის პოლიციის - ვაკე-საბურთალოსა და ისანი-სამგორის შს სამმართველოების უფროსები.

*24 საათი*

## პატრულის მუშაობით უკმაყოფილო ყვარელი

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*ყვარლის რაიონის მოსახლეობა საპატრულო პოლიციის მუშაობით უკმაყოფილოა. "საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ჩვენ მიერ მიწოდებული ოპერატიული ინფორმაციების გადასამოწმებლად, შემთხვევის ადგილზე არ ცხადდებიან. ასეთმა ფაქტებმა, ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით იმატა", - აცხადებენ ყვარლის რაიონში.*

ამ დღეებში ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში პატრული გამოიძახეს, თუმცა, დაპირების მიუხედავად, საპატრულო სამსახური დანიშნულების ადგილზე არ მივიდა.

როგორც სოფელ შილდის მკვიდრი ლია აღნიაშვილი ჰყვება, პატრული მას შემდეგ გამოიძახა, რაც მისმა შვილმა სახლში საოჯახო ნივთები დალეწა და დედას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

**"მივიღე გადაწყვეტილება, რომ პოლიცია გამომეძახებინა. შემეშინდა - შვილს არ მოვეკალი. მაშინვე ის სარეკლამო რგოლები გამახსენდა, ტელევიზიით ხშირად რომ უჩვენებენ და საჭიროების შემთხვევაში, მოსახლეობას 022-ზე დარეკვას ურჩევენ. მეც დავრეკე. ოპერატორმა, მიუხედავად იმისა, რომ აღელვებული ვსაუბრობდი, ბოლომდე ყურადღებით მომისმინა. მეც ყველაფერი, მათ შორის, მისამართიც დაწვრილებით ავუხსენი, მაგრამ არავინ მოვიდა და ჩემი მდგომარეობით არავინ დაინტერესდა. მართალი გითხრათ, აქამდე პოლიცია არასოდეს დამჭირვებია და სატელევიზიო გადაცემების შემხედვარეს, მეგონა, მართლაც ყველაფერი შეიცვალა. ახლა კი, მას შემდეგ, რაც ის ღამე ჯოჯოხეთურად გავატარე, დავრწმუნდი, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერი მხოლოდ ხალხის მოსატყუებლად შექმნილი ფარსია,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ლია აღნიაშვილმა.

ამავე სოფელში მცხოვრები ლელა ჭუნაშვილი ამბობს, რომ რამდენიმე დღის წინ, ანალოგიურ შემთხვევას თავადაც შეესწრო და პოლიციაში რამდენჯერმე დარეკვის მიუხედავად, შემთხვევის ადგილზე არავინ მისულა.

**"ამ ქალბატონის ძალიან კარგად მესმის, ვინაიდან ამავე სოფელში, რამდენიმე დღის წინ, ადგილი ჰქონდა მამაკაცებს შორის სერიოზულ ჩხუბს, რომელსაც, შესაძლოა, მძიმე შედეგი მოჰყოლოდა. პატრულს არაერთხელ დავურეკეთ, მაგრამ ამაოდ. დაზარალებული კი, რამდენიმე ადამიანი აღმოჩნდა, მათ შორის სრულიად უდანაშაულოებიც - ისინი, რომლებიც კონფლიქტის განმუხტვას ცდილობდნენ,"** - იხსენებს ლელა ჭუნაშვილი.

## ეჭვი პატიმრის თვითმკვლელობაზე

სახალხო დამცველის აპარატი 4 სექტემბერს N1 საპყრობილეში 31 წლის პატიმრის ზვიად იაკობიძის თვითმკვლელობის ფაქტს იძიებს. სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსის გიგა გიორგაძის ინფორმაციით, ციხის ადმინისტრაცია პატიმრის თვითმკვლელობის შესახებ აცხადებს, რომ იგი ფსიქიკურად გაუწონასწორებელი პიროვნება იყო, კონფლიქტი მოუვიდა თანამესაკნესთან და შეურაცხყოფა მიაყენა ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. აღნიშნულის გამო იგი კარცერში გადაიყვანეს. გიორგაძის თქმით, კარცერში გადაყვანამდე პატიმარმა ვენები გადაიჭრა. ოფიციალური ინფორმაციით, იაკობიძემ ცალკე საკანში გადაყვანის შემდეგ თავი საკუთარი მაისურით ჩამოიხრჩო. გიორგაძის განცხადებით, სახალხო დამცველის აპარატი შეეცდება, მოიძიოს პატიმარზე სამედიცინო ჩანაწერი. თუ პატიმარი ნამდვილად ფსიქიკურად გაუწონასწორებელი იყო და კონფლიქტურ სიტუაციებს ქმნიდა, მისი ქცევის ნორმალურობაში ეჭვი ექიმს და ციხის მომსახურე პერსონალს უნდა შეეპარვოდა. ამ მიზეზით იაკობიძე უნდა გადაეყვანათ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც მას შესაბამისი დახმარება გაეწეოდა, რაც არ გაკეთდა. გიორგაძის თქმით, საქმის მასალების მოძიების შემდეგ, თუ პატიმრის თვითმკვლელობის მიზეზად მართლაც ფსიქიკური აშლილობა დადასტურდა, პასუხისმგებლობა მომხდარზე ციხის ექიმს და ადმინისტრაციულ პერსონალს დაეკისრება. შეგახსენებთ, მსჯავრდებული იაკობიძე ავტომანქანის გატაცების ბრალდებით იყო გასამართლებული და მას 2006 წლის 1 იანვარს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

*ინტერპრესნიუსი*

## გარდაიცვალა კიდევ ერთი პატიმარი

მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში პატიმარი გარდაიცვალა. როგორც იუსტიციის სამინისტროში განაცხადეს, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გუშინ ნეიროინფექციის ფონზე განვითარებული ტვინის შეშუპებით მსჯავრდებული, თურქეთის მოქალაქე ოზბეი თევფიქი გარდაიცვალა.

ოზბეი თევფიქი თბილისის №5 საპყრობილედან სამკურნალო დაწესებულებაში 2006 წლის 3 სექტემბერს ნეიროინფექციისა და ჰიპოსტატიური პნევმონიის დიაგნოზით, ღრმა კომატოზურ მდგომარეობაში გადაიყვანეს. 57 წლის ოზბეი თევფიქი თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ იარაღის უკანონო ტარებისა და განზრახ მკვლელობის ბრალდებით იყო გასამართლებული და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ოზბეი თევფიქი მეხუთე პატიმარია, რომელიც ამ თვეში ციხეში ავადმყოფობის საფუძველზე გარდაიცვალა. ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებების ეროვნულ ცენტრში 1 სექტემბერს პატიმარი, 34 წლის პაატა ლაშქარაშვილი გარდაიცვალა. იმავე დღეს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში პატიმარი, 57 წლის რეზო ნანეიშვილი მოკვდა. ცოტა ხნის წინ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში 40 წლის მსჯავრდებული გელა ნოზაძე გარდაიცვალა. 3 სექტემბერს კი, 31 წლის ზვიად იაკობიძე №1 საპყრობილის ერთ-ერთ საკანში საკუთარი მაისურით ჩამომხრჩვალი იპოვეს.

*ინტერპრესნიუსი*

## "პლეხანოვის ახალგაზრდული ჯგუფის" ლიდერები სოდ-ში

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ე.წ "პლეხანოვის ახალგაზრდული ჯგუფის" ლიდერები დააკავეს. როგორც შს სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერები 22 წლის ნიკოლოზ აგიაშვილი და 23 წლის კოტე ჩანტლაძე დააკავეს. აღნიშნული პირები თბილისის ცენტრალურ რაიონში განთავსებულ ერთ-ერთ კომერციულ მაღაზიაზე შეიარაღებულ, ყაჩაღურ თავდასხმას გეგმავდნენ. პოლიციის ინფორმაციით, დაკავებისას ნიკოლოზ აგიაშვილს და კოტე ჩანტლაძეს '"აკს"-ის" სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა აღმოაჩნდათ. ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

*ინტერპრესნიუსი*

## პროკურატურა ომბუდსმენის რეკომენდაციებზე რეაგირებს

პირველი გვერდიდან

როგორც გარდაცვლილის ერთ-ერთი ძმა, ზურაბ ფირცხალავა აცხადებს, გარდაცვალების ფაქტზე წარმოებული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა წყალტუბოელი პოლიციელების მუქარის გავლენით, თავადვე მოითხოვა. მისივე განმარტებით, მერაბ ფირცხალავას გარდაცვალების მიზეზად თვითმკვლელობა დადგინდა, თუმცა გარდაცვლილის ოჯახის წევრებს არ მიეცათ საქმის მასალების (მათ შორის ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის) გაცნობის შესაძლებლობა.

გარდაცვლილის ძმები ირწმუნებიან, რომ სიკვდილამდე მერაბ ფირცხალავას მიმართ ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სახის მუქარას, რაც მის თვითმკვლელობას საეჭვოს ხდის.

მერაბ ფირცხალავას გარდაცვალების გარემოებების შესახებ ლერი და ზურაბ ფირცხალავებმა ახსნა-განმარტებები მისცეს სახალხო დამცველის აპარატის ქუთაისის რეგიონულ სამმართველოს. სწორედ ამ ახსნა-განმარტებების საფუძველზე მომზადდა მიმართვები, რომლებიც გაეგზავნა იმერეთის საოლქო პროკურორს მიხეილ ჩოგოვაძეს და იმერეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსს ლევან კახიანს. სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურამ ქუთაისის რაიონული პროკურორისგან გამოძიების განახლება და წყალტუბოს შს სამმართველოს მუშაკების მიმართ გამოძიების დაწყება მოითხოვა.

რაც შეეხება ომბუდსმენის აპარატის მიერ შესწავლილ მეორე ფაქტს, რომლის საფუძველზეც ქუთაისის რაიონულმა პროკურატურამ წყალტუბოს შს სამმართველოს მუშაკების მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე დაიწყო გამოძიება. როგორც გავარკვიეთ, სახალხო დამცველის აპარატის ქუთაისის რეგიონულ სამმართველოს წერილობითი განცხადებით მიმართეს წყალტუბოს რაიონის სოფელ მუხიანში მცხოვრებმა მოქალაქეებმა. განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში სოფელ მუხიანში გახშირდა ყაჩაღობის ფაქტები. გარდა ამისა, მუხიანის მცხოვრებთა მიმართ ადგილი აქვს სხვადასხვა ფორმით განხორციელებულ მუქარას.

განცხადებაში მითითებული ფაქტების დაზუსტებისა და დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, ომბუდსმენის წარმომადგენლები შეხვდნენ და ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს სოფელ მუხიანში მცხოვრებ მოქალაქეებს, რომელთა ინფორმაციითაც, 2002 წლის ზაფხულში, ერთდროულად, რამდენიმე ოჯახს ყაჩაღურად დაესხნენ თავს. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით პოლიცია მხოლოდ დაზარალებულების ზეპირი გამოკითხვით დაკმაყოფილდა და საქმეზე წინასწარი გამოძიება არ დაწყებულა. შესაბამისად, არც დამნაშავეები გამოვლენილან და დასჯილან. როგორც ერთ-ერთი დაზარალებული იხსენებს, ბოროტმოქმედებს შემთხვევის ადგილზე დარჩათ ტყვია-წამლით სავსე ჩანთა, რომელიც პოლიციის თანამშრომლების დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე, სამართალდამცველებს გადასცა კანონით გათვალისწინებული ყოველგვარი პროცედურის დაცვის გარეშე.

**"მოსახლეობის განსაკუთრებული შიში გამოიწვია 2006 წლის ივნისის თვეში განხორციელებულმა მუქარის ზარებმა. ერთ-ერთი განმცხადებლის თქმით, უცნობი ადამიანები მის შვილს ფულს სძალავდნენ - კონკრეტულად კი მობილურ ტელეფონზე თანხის გადარიცხვას მოითხოვდნენ. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, სიცოცხლის მოსპობითა და ქონების განადგურებით ემუქრებოდნენ. მსგავსი მუქარის ზარები სოფელ მუხიანში მცხოვრები სხვა პირების მიმართაც განხორციელდა",** - აცხადებენ ომბუდსმენის აპარატში.

ერთი სიტყვით, წყალტუბოს რაიონის სოფელ მუხიანის მოსახლეობა უკმაყოფილოა სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობით. ომბუდსმენის აპარატში აცხადებენ, რომ სოფლის მცხოვრებლებმა ორი თვის წინათაც მიმართეს დახმარებისათვის წყალტუბოს შს სამმართველოს, მაგრამ სამმართველოს წარმომადგენლებმა განცხადების ჩაბარებაზე უარი განაცხადეს. უფრო მეტიც, არ მოუსმინეს მოქალაქეებს და სასწრაფოდ შენობის დატოვება უბრძანეს.

სახალხო დამცველის აპარატმა მოქალაქეთა განცხადებისა და ახსნა-განმარტებების შესწავლის საფუძველზე მომზადებული მიმართვები იმერეთის სამხარეო შს მთავარ სამმართველოსა და იმერეთის საოლქო პროკურატურაში გაგზავნა.

საოლქო პროკურატურიდან მიღებული პასუხის თანახმად, 2000 წლის 6 აგვისტოს წყალტუბოს სოფელ მუხიანში მცხოვრები მოქალაქის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება 6 წლის შემდეგ, ანუ 2006 წლის 10 აგვისტოს დაიწყო. დაგვიანების მიზეზი უცნობია. ჯერაც გაურკვეველია, დაიწყო თუ არა გამოძიება 2002 წლის მანძილზე სოფელ მუხიანში მომხდარი ყაჩაღობების ფაქტებზე.

პროკურატურა ყურადღებას ამახვილებს პოლიციის მუშაკების მიერ შემთხვევის ადგილას ტყვია-წამლით სავსე ჩანთის საპროცესო კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ ამოღებაზე. ომბუდსმენის აპარატისთვის პროკურატურის მიერ მიწოდებული ინფორმაციით, 2006 წლის ივნისში განხორციელებული სატელეფონო მუქარის ფაქტებიდან გამოძიება მხოლოდ ერთზეა დაწყებული.

**"ჩვენთან საუბრისას სოფლის მცხოვრებლები ეჭვს გამოთქვამდნენ, რომ პოლიციის უმოქმედობა პოლიციისვე პირადი დაინტერესებით იყო გამოწვეული. პროკურატურის მიერ საქმის 332-ე მუხლით აღძვრა, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს, განმცხადებელთა ეჭვს ადასტურებს. მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, - ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე",** - აცხადებენ ომბუდსმენის აპარატში.

*24 საათი*

## საკონკურსო განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანმდებობის დასაკავებლად:

1. ნიადაგმცოდნეობისა და მელიორაციის განყოფილება
ა) მთავარი მეციერთანამშრომელი (1,0 განაკვეთი - 1 ადგილი)
ბ) უფროსი მეცნიერთანამშრომელი (1,0 განაკვეთი - 4 ადგილი)
გ) მეცნიერთანამშრომელი (1,0 განაკვეთი - 2 ადგილი;
0,5 განაკვეთი - 2 ადგილი)

2. მცენარეთა კვების დიაგნოსტიკისა და აგროეკოლოგიური ტექნოლოგიების განყოფილება
ა) მთავარი მეცნიერთანამშრომელი (1,0 განაკვეთი - 1 ადგილი)
ბ) უფროსი მეცნიერთანამშრომელი (1, 0 განაკვეთი - 3 ადგილი)
გ) მეცნიერთანამშრომელი (1,0 განაკვეთი - 2 ადგილი;
0,5 განაკვეთი - 2 ადგილი)

მთავარი მეცნიერთანამშრომლის თანამდებობს დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

უფროსი მეცნიერთანამშრომლის თანამდებობს დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი (ასპირანტი) ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

მეცნიერთანამსრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, Tუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

საბუთების მიღება იწარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან ერთი დღის განმავლობაში.

მისამართი: თბილისი, 0165 ფონიჭალა (რუსთავის გზატკეცილი).

ტელეფონი: 72 24 07
72 17 36

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ უკვე ხსენებულ მისამართზე.

პასუხისმგებელი პირი: თინათინ ჩიტაშვილი

## განცხადება

გაზეთ "24 საათის" მიმდინარე წლის 1 სექტემბრის N193-ში გამოქვეყნდა შ.პ.ს. "საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრის" განცხადება საზოგადოების ბალანსზე რიცხული გამოუყენებელი არასაცხოვრებელი ფართის იჯარის ფორმით გაცემის შესახებ კომერციული კონკურსის გამოცხადების თაობაზე.

ფართების ნუსხაში გაიპარა უზუსტობა, კერძოდ, მასში არ იქნა მითითებული შემდეგი:

ფართის ოდენობა - 30 კვ.მ.

ფართის განთავსების ადგილი - VIII სართული;

ფართის დანიშნულება - სამეწარმეო საქმიანობა;

ქირის ოდენობა - საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი - 600

აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში ყოველთვიურად (დღგ-ს

ჩათვლით).

კონკურსის ჩატარების წესი და პირობები იგივე.

**საკონკურსო კომისია**

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**..............................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..............................

**საკონტაქტო ტელეფონი** ..............................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისის მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "სარაჯიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფლიბანკის" შენობის ხლო სარითალი გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნონ აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.72 იურიდიული ოფისი "გაპი".

# 63-ე ვენეცია

## კინოფესტივალი ბრაიან დე პალმას ფილმით "შავი ორქიდეით" და "დედოფლით" გაიხსნა

ზაფხულის სეზონის დასრულების შემდეგ ვენეციამ პირველმა მიიპყრო მსოფლიო კინომოყვარულთა ყურადღება. თუმცა ფესტივალით დაინტერესებულთა გარდა გონდოლიერთა ქალაქი უბრალო ცნობისმოყვარეებსაც იზიდავს, რადგან აქ უკვე შეიკრიბნენ მსოფლიო კინოს ყველაზე ბრწყინვალე და ყველაზე ლამაზი ვარსკვლავები.

ვენეციის 63-ე საერთაშორისო კინოფესტივალი რეჟისორ ბრაიან დე პალმას უკანასკნელმა ნამუშევარმა "შავმა ორქიდეამ" გახსნა. ფილმი გასული საუკუნის ჰოლივუდის ვარსკვლავის ელიზაბეტ ენის ცხოვრების შესახებაა, რომლის მკვლელობა მაშინდელი ამერიკის ყველაზე გახმაურებულ კრიმინალურ შემთხვევად აღიარეს. ფილმი ბელგიაში გადაიღეს, რომლის ერთ-ერთ კინოსტუდიაში თითქმის 100 წლის წინანდელი ლოს ანჯელესი თითქმის მთლიანად აღადგინეს. ფილმს უკვე უწინასწარმეტყველებენ წარმატებას, რადგან ბრაიან დე პალმას რეჟისორობის გარდა მასში უკანასკნელი პერიოდის ყველაზე კაშკაშა ვარსკლვლავები სკარლეტ იოჰანსონი და ჰილარი სუონკი თამაშობენ.

"შავი ორქიდეას" გარდა ვენეციის კინოფესტივალის მთავარი პრიზის მისაღებად 21 ფილმი იბრძოლებს. ოთხი ფილმი ამერიკულია, ხუთი ფილმი აზიის კონტინენტმა წარმოადგინა. მათ შორისაა ერთი იაპონური ანიმაციური ფილმი. დანარჩენი ფილმები კი ევროპული წარმოებისაა.

ერთ-ერთია ბრიტანელი რეჟისორის სტივენ ფრირზის "დედოფალი", რომლის ნახვის საშუალება უკვე ჰქონდა ფესტივალის ჟიურის. ფილმის ცენტრალური ფიგურა დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II-ეა, რომელსაც



კატრინ დენევი.

პრინცესა დაიანას გარდაცვალების დღეებში მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღება უწევს. დედოფლის როლს ინგლისელი მსახიობი ჰელენ მირენი თამაშობს, რომელმაც ხოტა ხნის წინ ელისაბედ I-ის როლის შესრულებისთვის პრემია "ემი" მიიღო. მასვე უწინასწარმეტყველებენ ვენეციის ფესტივალის პრიზს ქალის როლის შესრულებისთვის. როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ მირენის გმირი ძველმოდური ქალია, რომელსაც ქედმაღლობისა და იუმორის გარდა არაფერი გააჩნია" - ეს კი ჟიურის ძალიან მოეწონა.

ფილმის სცენარის ავტორი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერის გარემოცვის ინფორმაციასაც დაეყრდნო. როგორც ირკვევა, ბლერი თითქმის ერთი კვირა ცდილობდა დედოფლის დარწმუნებას, რომ პრინცესა დაიანასთვის სამოქალაქო პანაშვიდები გადაეხადა და ისე დაეკრძალათ, როგორც პრინცესას ეკადრებოდა. ჯერჯერობით ბრიტანეთის სამეფო კარს ამ ფილმთან დაკავშირებით განცხადება არ გაუკეთებია, მით უმეტეს, რომ ჰელენ მირენმა დედოფალი ძველ სავარძელს შეადარა, რომელიც პერიოდულად გვავიწყდება ხოლმე.

ასევე ფესტივალის ფავორიტ ფილმებს შორისაა ალფონსო კუარონის "ადამიანის შვილები" და ფრანგული კინოს 85 წლის კლასიკოსის ალენ რენეს Coeurs. ორივე ფილმი მაყურებელმა ბრავოს შეძახილებით მიიღო - ეს კი ჟიურისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია.

სწორედ ამ ფილმებს შორის მოუწევს არჩევანის გაკეთება ფესტივალის ჟიურის, რომლის თავმჯდომარე წელს ლეგენდარული კატრინ დენევია. ამ უკანასკნელმა ფესტივალი იტალიის კულტურის მინისტრ ფრანჩესკო რუტელისთან და სხვა სტუმრებთან ერთად გახსნა.

საკონკურსო ფილმების გარდა ფესტივალზე არასაკონკურსო ნამუშევრებიცაა წარმოდგენილი: მანუელ დე ოლივეირას "მარადიული ლამაზმანი", ოლივერ სტოუნის "მსოფლიო სავაჭრო ცენტრი" და დევიდ ლინჩის "შინაგანი სამყარო". ამ რეჟისორს წელს სპეციალურ პრიზსაც მიაკუთვნებენ - მას "ოქროს ლომს" მთლიანი კარიერისთვის გადასცემენ. ასევე არასაკონკურსო პროგრამით აჩვენებენ რუსი რეჟისორის პაველ ლუნგინის "კუნძულს", თუმცა ამ ფილმის ნახვის საშუალება ვენეციის სტუმრებს მხოლოდ ფესტივალის დასრულების შემდეგ შეეძლებათ. .

წლევანდელი ვენეციის ფესტიველისთვის სპეციალურად მოამზადეს პროგრამა სახელწოდებით "რუსული კინოს საიდუმლო ისტორია". პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება 1934-1974 წლებში გადაღებული 18 ფილმი: გრიგორი ალექსანდროვის "მხიარული ახალგაზრდებიდან" ანდრეი კონჩალოვსკის ფილმის "რომანსი შეყვარებულებისთვის" ჩათვლით.

ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალი მსოფლიოს ყველაზე ძველი კინოფორუმია. იგი 1932 წელს დაარსდა. ფილმების ჩვენება კუნძულ ლიდოზე მიმდინარეობს, რომელიც ვენეციიდან მოშორებით მდებარეობს. ფესტივალზე მოხვედრა მხოლოდ სპეციალური მოსაწვევებითაა შესაძლებელი, რომელთა მოპოვება საკმაოდ ძნელია. თუმცა უბრალო კინომოყვარულებისთვის ფილმების ჩვენება მაინც იმართება ვენეციაში მდებარე მოედანზე კამპო-სან-პოლოზე განთავსებულ ღია კინოდარბაზში. ამავე დარბაზში გაიმართება რობერტო როსელინისა და ლუკინო ვისკონტის ნამუშევრების რეტროსპექტივაც.

ვენეციის კინოფესტივალი 9 სექტემბერს დასრულდება, ხოლო ორი თვის შემდეგ რომში ახალი ფესტივალი გაიმართება, რომელსაც ვენეციის ფესტივალზე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. რომში მხოლოდ იმ ფილმებს აჩვენებენ, რომლებიც ვერც ვენეციაში მოხვდნენ და ვერც კანში.

# ცხოვრების სტილის ავტორები

## კომპოზიციები თამაშისა და მუშაობის შემდეგ

სოფო კილასონია



შესაძლოა ვცდები, მაგრამ მაინც მგონია, რომ მოდა ყველაზე მეტ აქტუალობას ჩვენთან თბილ სეზონებში იძენს, შესაძლოა მოდური ფორმები და ფერები ამ დროს უბრალოდ მეტად ცხადი და "შიშველი" ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფენომენზე საუბარი მომაბეზრებლად და გაცვეთილად არ მეჩვენება, ჩემს დღევანდელ მასპინძელს იმისთვის ნამდვილად არ ვესტუმრე, რომ ქალბატონებისთვის მუდამ ინტერესისმომგვრელი კითხვა დამესვა, "მაინც რა არის ამ ზაფხულში მოდური?" ეკა ჩხუტიშვილი დიდი ხანია დიზაინის სამყაროსთან ასოცირდება, თუმცა მოდა მისთვის არ არის მხოლოდ სიყვარული, საქმიანობის სფერო, შემოქმედება, ის მისთვის უკვე მეცნიერებაა, რომლის კვლევა და სწავლებაც უწევს, თუმცა ამით მისი შემოქმედებითი ხედვა სულაც არ მცირდება, პირიქით...

ანდრო გიორგაძის შესახებ მისი მეუღლისგან განსხვავებით დიდი ხანია მსმენია, თუმცა უკვე არაერთი წელია, რაც ამ ორი ხელოვანის სახელები ჩემთვისაც ერთად მოიაზრება. ჯერ კიდევ მაშინ, როცა თანამედროვე ქართული მინანქარი სასტარტო პოზიციებს იკავებდა, გერმანიაში, ქალაქ კიოლნში, ანდრო გიორგაძის მინანქრის "სურათებს" დიდი რაოდენობის დამთვალიერებელი და მყიდველი გამოუჩნდა. მისი გამოფენები კიდევ არაერთ ევროპულ ქალაქშია გამართული, შეიძლება ითქვას, რომ მის ნამუშევრებს ყველაზე იშვიათად ქართველი დამთვალიერებელი ნახულობს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათში სხვა ქართველი ოსტატების ნამუშევრებთან შედარებით განსხვავებული ბევრი ნიშანია. სულ მარტივი: ნამუშევართა ფორმატიდან დაწყებული, მათი ჩანაფიქრის მრავალფეროვნებითა და ამოცანათა მასშტაბურობით დასრულებული.

ხელოვანთა ეს წყვილი დღეს სწორედ იქ მოღვაწეობს, სადაც ისინი პირველად მოიაზრეს როგორც წყვილი - თბილისის სამხატვრო აკადემიაში. ბატონი ანდრო მინანქრის ხელოვნებას აცნობს ახალგაზრდებს, ქალბატონი ეკა კი მოდელირების კათედრის ერთ-ერთ მიმართულებას ხელმძღვანელობს, თუმცა არა, წინ პროფესურის არჩევნებია და ლექტორთა სტატუსი და საერთოდ, სპეციალობათა დასახელებები ხელახალ სახელდებას ელიან.

ჯერ იყო მოდელების სახლი, შემდეგ კი არაერთი სამოდელო სტუდია, ერთ-ერთ მათგანში ეკა ჩხუტიშვილი დღემდე მუშაობს და მომავალი სეზონიდან ახალი სტანდარტებითა და მოთხოვნებით სასწავლო კოლეჯს სათავეში მოგვევლინება. თუმცა ამ ეტაპზე, ისე როგორც უკვე არაერთი წელია, მისი შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა, დამოუკიდებელი მუშაობის გარდა, ახალგაზრდა მოდელიორებთან ერთად მუშაობაში ვლინდება. ამბობს, რომ "მოდა არა მხოლოდ წრეზე, არამედ სპირალისებურად ბრუნავს, რაშიც თავისთავად ისიც იგულისხმება, რომ "ყველაფერი ახალი, კარგად დავიწყებული ძველია", თუმცა ამით როდი შემოიფარგლება მოდა..." და შემდეგ მეც მერგო სულ პატარა ნაწილი იმ მონოლოგისა, რომელსაც მისი სტუდენტები ხშირად ისმენენ. მაგრამ ამ მონოლოგს თან ახლდა მცირეოდენი განმარტებები იმის თაობაზე, თუ ამჟამად რეფორმირებადი დიზაინის მიმართულება რა ფორმისა და რა მიზნების იქნება. სად გადის საზღვარი ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის და მაინც რას წარმოადგენს მოდის დიზაინი, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დარგი, როგორც სასწავლო-საგანმანათლებლო სფერო და არა მხოლოდ როგორც მარტივი გზა უბრალოდ პოდიუმამდე:

- მოდის დიზაინის დეპარტამენტი განიხილავს მოდას, ამ სიტყვის, აზრისა და მნიშვნელობის ფართო გაგებით, როგორც ჩვენი დროის ემოციების გამომსახველობით ფორმას. კოსტუმი აირეკლავს საზოგადოებას ან ეწინააღმდეგება მას. ჩემი აზრით, მოდა ხელოვნების განსაკუთრებული სფეროა, რომელშიც პირობითად გაერთიანებულია: თეატრი, კინო, მუსიკა, ბალეტი, სპორტი, ისტორიული წარსული და რეალობა, ეს ყველაფერი კი ფერწერას, გრაფიკას, ქანდაკებას, ქორეოგრაფიასა და პლასტიკას აერთიანებს. ყოველდღიური ცხოვრებისეული სიმძიმეები, ინტიმი, სიყვარული, სინატიფე და აგრესია, ეთიკა და ესთეტიკა, სოციოლოგია და ფსიქოლოგია, თანამედროვე ციფრული და კომპიუტერული ტექნოლოგიები, ბიზნესი.

მოდაში გაბატონებულია გამოსახველობითი თავისუფლება, რომელიც წამში შეიძლება იყოს შოკისმომგვრელი, მომაჯადოებელი. მოდის დიზაინის სივრცე ძალიან დიდია: შემოქმედებითი ინტერესების გაღვივება, ახალი ჰორიზონტების აღმოჩენა, მსოფლმხვედველლობა და შემეცნება, კონცეპტუალური აზროვნების განვითარება, სიახლის სტიმულირება, შემოქმედებითობა - ეს არის ჩვენი ამოცანა. მიდგომა დამყარებულია ექსპერიმენტებზე, იმპროვიზაციებსა და ფორმალურ სიახლეებზე, ძიებასა და კვლევაზე, რა თქმა უნდა, პროფესიული ოსტატობის ბაზაზე. ყოველი დიზაინერი უნდა იმყოფებოდეს ამ რიტმის გავლენის ქვეშ, მათი პიროვნული ხედვისა თუ აზროვნების მრავალსახეობაზეა დამყარებული მოდის განვითარება, სწორედ ამიტომ ინარჩუნებს მომხიბვლელობას და სიცოცხლეს.

**- რა არის საჭირო იმისთვის, რომ მოდის დიზაინერის ხელოვნება გახდეს ადეკვატურიც და ამავდროულად ახალი და საინტერესო?**

- მოდის დიზაინერის შემოქმედებითობა მუდმივად უნდა იკვებებოდეს, უნდა იყოს მუდმივ კონტაქტში სამუშაო რეალობასთან, საბაზრო სიძნელეებთან, პროდუქციის მოთხოვნილებებთან მომხმარებლის მოლოდინთან, ბრენდის იმიჯთან, როგორც თანამედროვე, ასევე მომავალ პერსპექტიულ მიმართულებებთან.

**- თუმცა ჩვენ არ ვსაუბრობთ მხოლოდ ტანსაცმლის დიზაინზე, მოდით უფრო გავშალოთ თემა.**

- დიახ, დიზაინერები არა მარტო ტანსაცმელს ქმნიან, არამედ ცხოვრების სტილს. იმისათვის რომ წარმატებული იყოს, მოდის დიზაინერს უფრო მეტი სჭირდება, ვიდრე იდეა ან ჩანახატის შესრულებაა ქაღალდზე, მას უნდა შეეძლოს კონცეპტუალური და კულტურული აზროვნება, აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ქართული და მსოფლიო ხელოვნების ამ სფეროში (მოდის დიზაინში) ინტეგრირებისათვის გარდაუვალი და აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობა უცხოეთის შესაბამისი დარგის დაწესებულებებთან, გამოცდილების გაზიარება, ბიზნესთან მჭიდრო ურთიერთობა. რაც მთავარია, გვჭირდება თანადგომა, რათა ხელი შევუწყოთ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ბაზარზე, ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდას და ქართული სტილის დამკვიდრებას, რასაც საფუძვლად უნდა ედოს მომავალი სპეციალისტების პროფესიონალური აღზრდა და განვითარება.

■ ■ ■

ანდრო გიორგაძეს, რომელიც ჩვენს საუბარს ესწრებოდა და უშუალოდ გვმასპინძლობდა, თითქმის არაფერი უთქვამს. შესაძლოა იმიტომ, რომ სათქმელი არაფერი იყო, ყველაზე მთავარი, რაც მასთან დაკავშირებით გვაინტერესებდა საოჯახო საგამოფენო სივრცის კედლებზე იყო გამოფენილი. ხშირად უთქვამთ, რომ დღეს მინანქარი მოდურია და ამიტომაც მისი ოსტატები, ნაირფეროვან სამკაულთა ავტორები ქალაქის ძველ უბნებსა და სალონებში განსაკუთრებულად მომრავლდნენ. მართლაც ასეა, თუმცა ანდრო გიორგაძის საქმიანობა ჩვენთვის ამ კუთხით სულაც არ გამხდარა საინტერესო. სამკაულების გარდა მას ეკუთვნის ათეულობით საინტერესო მინანქრის სურათები, რომლებიც ტიხრული და ფერწერული მინანქრის ტექნიკაშია შესრულებული და როგორც ფერწერული შესაძლებლობებით, ისე ხაზის სინატიფით, არაერთ საინტერესო ფერწერულ ტილოს გაეპაექრებოდა. ანდრო გიორგაძის ნამუშევრები კომპოზიციური გადაწყვეტის და თემატიკის შერჩევის თვალსაზრისით, მრავალფეროვნებას ავლენს. მხატვარი თითქოს თამაშობს და მინანქარში ხან იმპრესიონისტულ პეიზაჟებს გვაგონებს და ხანაც რუოსა და გოგენის სახეებს. თუმცა ეს მაშინ, როცა თამაშობს. სერიოზულ სამუშაო პრეცესს კი ხშირად სრულიად მისეული კომპოზიციები მოსდევს და ეს ყველაფერი ერთობლიობაში იმ გამოძიებას გავს, რომლის დროსაც არა დასასრულს ელი, არამედ პროცესის გახანგძლივებაზე ფიქრობ.

ეკა ჩხუტიშვილი იშვიათად წარმოგვიდგენს საკუთარ ქმნილებებს, როგორც დამოუკიდებელი დიზაინერი, თუმცა მისი დიზაინით არაერთი ექსკლუზიური სამოსი იკერება. რაც შეეხება მის კონცეპტუალურ იდეებს, ისინი ყველაზე ხშირად სტუდენტური პროექტების ფარგლებში იჩენს თავს. ერთობლივ გამოფენაზე უფიქრიათ, თუმცა მის პერსპექტივას ჯერ კონკრეტიკა არ შეუძენია, ისე კი ქალბატონი ეკა არა სტანდართულ ექსპოზე ოცნებობს, არამედ სახელოსნოს მსგავს გარემოზე, რომელსაც საგამოფენო სივრცეში შექმნიდა და, სადაც მიმდინარე პროცესში დამთვალიერებელიც მიიღებდა მონაწილეობას.

# გალაკტიონ ტაბიძის 25-ტომეული

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობამ დაიწყო გალაკტიონ ტაბიძის 25-ტომეულის გამოცემა. უკვე დაბეჭდილია 13 ტომი, რომლის პრეზენტაცია სექტემბრის ბოლოსთვის იგეგმება. ამის შესახებ განაცხადა მუზეუმის დირექტორის მოადგილემ თეა თვალავაძემ.

"პირველიდან მერვე ტომის ჩათვლით, წიგნში შესულია გალაკტიონის ლექსები, რომლებიც დალაგებულია ქრონოლოგიის მიხედვით. მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 ტომებში შევიდა პოემები, ხოლო მე-13 ტომში - გამოუქვეყნებელი მასალები, რომლებიც მუზეუმის არქივშია დაცული", - განაცხადა თვალავაძემ. მისივე თქმით, ამჟამად გაიმართება მე-13 ტომის პრეზენტაცია, ხოლო შემდეგ დაიბეჭდება მე-12 ტომი, რომელშიც ასევე გამოუქვეყნებელი მასალები შევა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ფრანგული პერიოდი

20 სექტემბერს გალერეა "ჩაგელაში" გაიმართება მხატვარ გოგი ჩაგელიშვილის ფოტოალბომის პრეზენტაცია. ფოტოალბომში შესულია მხატვრის 220 ნამუშევარი. როგორც გალერეის ხელმძღვანელმა ლეილა კიკნაველიძემ განაცხადა, ფოტოალბომს თან დაერთვის ხელოვნებათმცოდნეების დათო ანდრიაძისა და ქეთი კინწურაშვილის მიმოხილვა.

"ფოტოალბომის გამოშვება ყველა მხატვრისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მასში შესულია მისთვის ყველაზე ძვირფასი ნამუშევრები", - განაცხადა კიკნაველიძემ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ქართული კინემატოგრაფიული მემკვიდრეობის ფილმსაცავის -"ქართული სინემათეკის" დაფუძნებაზე მუშაობს. როგორც ინიციატივის ავტორები აცხადებენ, ამჟამად მუშავდება მონაცემთა ბაზა, რაც აუცილებელია იმის დასადგენად, თუ რა მდგომარეობაშია მოქმედ არქივებში დაცული სააღრიცხვო ერთეულები. პარალელურად დაწყებულია მოლაპარაკება რამდენიმე ქართული მხატვრული ფილმის აღსადგენად.

"საქართველოში, სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებების საცავებში გაბნეული ქართული კინემატოგრაფიული მემკვიდრეობის ამსახველი ფირები, სამწუხაროდ, არასაიმედოდაა დაცული. ფილმსაცავების უმრავლესობაში, როგორც წესი, არაა დაცული ფირებისთვის აუცილებელი ტემპერატურული თუ ნესტიანობის პირობები, რის გამოც ფირები გამოუსწორებლად ზიანდება. კინოსტუდია "ქართული ფილმის" ფილმსაცავი აშკარად წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა, იგი ვერ აკმაყოფილებს კინოფირების დაცვის დღევანდელ მოთხოვნებს. დადგა დრო ჩვენში დღევანდელი საერთაშორისო მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი, ქართული კინემატოგრაფიული მემკვიდრეობის შესაფერისი ფილმების საცავის აგებისა", - ნათქვამია კინოცენტრის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

როგორც სპეციალისტები განმარტავენ, "ქართული სინემათეკის" დაფუძნებით საქართველოში დაკმაყოფილდება, როგორც ახალი, ისე საარქივო (ძველი წარმოების) კინოფირების დაცვის პირობები. ახლადაგებულ საცავში კი შესაძლებელი იქნება, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე (თბილისსა და სხვა ქალაქებში), ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ საქართველოს შესახებ გადაღებული კინოფირების დემონსტრირება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# უძველესი ქართული ციხეები

200-მდე ქართველი ახალგაზრდა ქართული კულტურული მემკვიდრეობის 4 ძეგლზე წინასარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებაში სპეციალისტებს დაეხმარება.

აღნიშნული სამუშაოები ახალი პროგრამის "რაინდის" ფარგლებში განხორციელდება, რომელსაც საქართველოს სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აფინანსებს. პროგრამას ეროვნული კულტურული მიმკვიდრეობის გადარჩენის კლუბი "ტაძარი" ახორციელებს.

როგორც კლუბის დირექტორმა ლალი ქარიმანიშვილმა აღნიშნა, სარეაბილიტაციო სამუშაოები საგარეჯოში მდებარე მანავის ციხეზე, მცხეთის ბებრის ციხეზე, ხობის რაიონში არსებულ ქორქოძეების ციხესა და ზესტაფონში, შორაპნის ციხეზე ჩატარდება.

მისივე თქმით, წინასარეაბილიტაციო სამუშაოების პარალელურად უძველესი ციხეების მიმდებარე ტერიტორიებზე არქეოლოგიური გათხრებიც იწარმოებს, რომელშიც ახალგაზრდები პროფესიონალი არქეოლოგების მეთვალყურეობის ქვეშ ჩაერთვებიან.

ახალგაზრდებისთვის ძეგლების სიახლოვეს 4 საველე ბანაკი მოეწყობა.

ახალგაზრდებს შორის იქნებიან როგორც სტუდენტები, ასევე ადგილობრივი მცხოვრებნიც.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# მინანქრის საერთაშორისო კონკურსი

თბილისში ჩატარდება მინანქრის საერთაშორისო კონკურსი "ახალი ტალღა". გამოფენა-კონკურსი, რომლის ორგანიზატორია თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარებისა პოპულარიზაციის ცენტრი გალერეა "შარდენი", 7 ოქტომბერს გაიხსნება და 10 დღეს გაგრძელდება.

როგორც ცნობილი გახდა, კონკურსის მონაწილეები მინანქრისგან დამზადებულ ორ და სამგანზომილებიან ნამუშევრებს წარადგენენ, რომლებიც 2004 წლის შემდეგ შექმნეს.

ჟიურის წევრები იქნებიან ექვსი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის, ირინა არსენიშვილი (საქართველო), ჯუდი სთოუნი (აშშ), ბარბარა ლიპი (გერმანია), იოკო იოშიმურა (იაპონია), ნურია ლოპეს-რიბალტა (ესპანეთი), კაკო თოფურია (საფრანგეთი).

რაც შეეხება საპრიზო ფონდს, გრან-პრისთვის 1500 დოლარი, ეროვნული პრიზისთვის კი 1000 დოლარია განსაზღვრული. პრიზი სამგანზომილებიანი ნამუშევრისთვის (ლითონის ან მინისგან დამზადებული ხელოვნების ნიმუშისთვის, რომელიც მინანქრით იქნება მოჭიქული) 800 დოლარია. იგივე თანხაა გათვალისწინებული კედელზე დასაკიდ ნივთებზეც.

საინტერესო დიზაინით შექმნილი სამკაულის კონკურსში გამარჯვებული 700 დოლარს მიიღებს, ხოლო აქსესუარების ავტორი - 500 დოლარს. 300 დოლარით დაჯილდოვდება გამოკითხულთა სიმპათია.

პრიზი გათვალისწინებულია ახალბედა ხელოვანთათვისაც. გოგა კუპრაძის სახელობის პრიზი (200 დოლარი) თვით გალერეამ დააწესა. დაჯილდოების ცერემონიალი 7 ოქტომბერს "შარდენში" გაიმართება, თუმცა, კონკურსში მონაწილეთა მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშები გალერეაში 10 დღის განმავლობაში იქნება გამოფენილი.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ხოსე კარერასი მოსკოვში

მსოფლიოში ცნობილი ტენორი ხოსე კარერასი დღეს მოსკოვში სვეტლანოვის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში სოლო კონერტს გამართავს. კარერასის კონცერტი ერთგვარი დასკვნითი ნაწილი იქნება უდიდესი ტენორების საკონცერტო სერიისა, რომელიც მოსკოვში მიმდინარე სეზონზე მოეწყო. კარერასი თავისი კოლეგების, ლუჩანო პავაროტის, პლასიდო დომინგოს, სეზარია ევორას, ლარი ფაბიანის და სხვათაგან განსხვავებით, მოსკოვში ნამდვილ სოლო კონცერტს მართავს. იგი სცენაზე ერთადერთ პარტნიორთან - რუსეთის ეროვნული ფილარმონიის ორკესტრთან ერთად წარდგება. კონცერტზე ორკესტრს ესპანელი მაესტრო დევიდ ხიმენესი უდირიჟორებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი

**ბრძანება N 10**

**ქ. თბილისი**
**05.09.06.**

**ეროვნული კვლევის ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა და სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე**

"მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ", "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონებისა და "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის შექმნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 12 დეკემბრის N1038 ბრძანებულების, აგრეთვე, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 17.08. N3/295 ბრძანების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ეროვნული კვლევის ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა და სამეცნიერო თანამდებობათა დაკავების წესი (დანართი N1).
2. ამ წესის საფუძველზე გამოცხადდეს ღია კონკურსები ეროვნული კვლევის ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა და სამეცნიერო თანამდებობათა დასაკავებლად.
3. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს: ყოველდღიურ პრესაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას ცენტრის ტერიტორიაზე.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს (უჩა ბლუაშვილი).

ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
თეიმურაზ ლეჟავა

**დანართი N1**

**ეროვნული კვლევის ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა და სამეცნიერო თანამდებობათა დაკავების წესი**

**1.** ეროვნული კვლევის ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა და სამეცნიერო თანამდებობათა დასაკავებლად ცხადდება ღია კონკურსები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

**2.** კონკურსი ცხადდება ეროვნული კვლევის ცენტრის სტრუქტურული ერთეულების - ძველი ქართული ხელოვნებისა და თანამედროვე ხელოვნების განყოფილებათა გამგეების (2 საშტატო ერთეული, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი) თანამდებობების დასაკავებლად (ზღვრული ზედა ასაკობრივი ზღვარი - 65 წელი)

**3.** კონკურსი ცხადდება ეროვნული კვლევის ცენტრის სამეცნიერო თანამდებობათა - უფროს მეცნიერ თანამშრომლის (3 საშტატო ერთეული ძველი ქართული ხელოვნების განყოფილებაში და 2 საშტატო ერთეული თანამედროვე ხელოვნების განყოფილებაში), მეცნიერ თანამშრომლის (16 საშტატო ერთეული ძველი ქართული ხელოვნების განყოფილებაში და 8 საშტატო ერთეული თანამედროვე ხელოვნების განყოფილებაში) - დასაკავებლად.

**4.** ეროვნული კვლევის ცენტრის სტრუქტურული ერთეულების გამგეების თანამდებობების დასაკავებლად, საკონკურსო განაცხადების მიღება მოხდება ღია კონკურსის გამოცხადებიდან ოთხი კვირის ვადაში, ხოლო სამეცნიერო თანამდებობათა დასაკავებლად - ხუთი კვირის ვადაში.

**5.** კანდიდატთა შერჩევა:

■ განაცხადების მიღების ვადის დასრულებიდან სამ დღეში კომისია ამტკიცებს:

a. პირთა ნუსხას, რომელთა საკონკურსო დოკუმენტაცია სრულყოფილად არის წარმოდგენილი და შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

b. პირთა ნუსხას, რომელთა საკონკურსო დოკუმენტაცია სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი და არ შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

■ კომისია ატარებს გასაუბრებას კანდიდატებთან, რაც ფორმდება ოქმით

■ კომისიის დასკვნის საფუძველზე ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არა უმეტეს 3 წლის ვადით

■ კომისია, სამეცნიერო თანამდებობის დაკავების მსურველ კანდიდატთან გასაუბრების შემდეგ, ისმენს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის აზრს კანდიდატურასთან დაკავშირებით

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

**I.** ეროვნული კვლევის ცენტრის სტრუქტურული ერთეულების - ძველი ქართული ხელოვნებისა და თანამედროვე ხელოვნების განყოფილებათა გამგეების თანამდებობათა დასაკავებლად:

■ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი

**II.** ეროვნული კვლევის ცენტრის სამეცნიერო თანამდებობათა - უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, მეცნიერ თანამშრომლის - დასაკავებლად:

■ უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - დოქტორანტი (ასპირანტი) ან დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი

■ მეცნიერ თანამშრომელი - მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:**

1. პირადობის მოწმობის ასლი
2. სამეცნიერო ხარისხის დიპლომის ასლი
3. Curriculum Vitae (CV)
4. გამოქვეყნებული შრომების ნუსხა - 1996-2006
5. მონაწილეობა სიმპოზიუმებში
6. მონაწილეობა კვლევით პროექტებში/გრანტები
7. დისერტაციების ხემძღვანელობა/ოპონირება
8. მონაწილეობა ინსტიტუტის ცხოვრებაში
9. საკუთარი მონაწილეობის ხედვა ცენტრის საქმიანობის უმთავრეს სფეროებში:

ა. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევა და პოპულარიზაცია

ბ. კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შეგროვება

გ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მეთოდოლოგიის კვლევა და პრაქტიკაში დანერგვა

დ. კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ობიექტების ფიქსაცია

ე. კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სპეციალისტთა მომზადებაში მონაწილეობის მიღება

10. სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა:
- საკვლევი პრობლემები სტრუქტურული ერთეულის
- მოსალოდნელი შედეგები ხელმძღვანელი
- საჭირო რესურსები

11. ცენტრის სამოქმედო გეზის ხედვა:
- უახლესი 3-5 წლის განმავლობაში უფროსი მეცნიერ
- დასახული მიზნების მიღწევის თანამშრომელი
შესაძლო გზები

**პირებმა, რომელნიც ამჟამად აპირებენ მუშაობის დაწყებას ეროვნული კვლევის ცენტრში, დამატებით უნდა წარმოადგინონ:**

1. ერთი სტატიის ასლი, რომელიც, მათი აზრით, საუკეთესოდ წარმოაჩენს ავტორის კვლევით დიაპაზონს
2. კვლევის უმთავრესი სფერო და კვლევითი მუშაობის გეგმები
3. ცენტრის საქმიანობის უმთავრეს სფეროში საკუთარი მონაწილეობის ხედვა
4. მოტივაცია - რატომ სურთ ცენტრში მოღვაწეობა და მათი აზრით, როგორ დაეხმარება მათი გამოცდილება ცენტრის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას
5. შესაბამისი დარგის სამი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება მათ რეკომენდაცია გაუწიონ:
- სახელი, გვარი
- ტელეფონი
- ფაქსი
- ელექტრონული ფოსტა

**საკონსურსო განაცხადების მიღება:**

საკონსურსო განაცხადები მიიღება ეროვნული კვლევის ცენტრის კანცელარიაში ყოველდღე - შაბათ-კვირის გარდა - 12.00 - 17.00 სთ.

მისამართი: რუსთაველის გამზირი 52ა
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობა
V სართული, ოთახი 510
ტელ.: 99 05 88

საკონკურსო ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:
http://www.mes.gov.ge

# განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ინსტიტუტ ტექინფორმის სამეცნიერო თანამდებობებზე კანდიდატურების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების თაობაზე

**ტექინფორმი** აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:

ა) ანალიზისა და საინფორმაციო რესურსების დეპარტამენტი
■ მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
■ უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული
■ მეცნიერი თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული

ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების დეპარტამენტი
■ მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
■ უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
■ მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული

■ მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

■ უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი (ასპირანტი) ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

■ მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საკონკურსო განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ:

■ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
■ კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
■ დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი დოქტორის აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
■ გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი;
■ ერთი სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით ყველაზე უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს;
■ შესაბამისი დარგის სამი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელ-ფოსტა, მისამართი);
■ სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი, რომელშიც მიუღიათ ან ღებულობენ მონაწილეობას;
■ პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).

საბუთების მიღება იწარმოებს ტექინფორმში, მისამართზე:
0179 თბილისი, კოსტავას 47, მე-6 სართული, ოთახი 18.

საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა ერთი თვე გამოქვეყნების შემდეგ.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
ტელ.: 334021, 335315
ფაქსი: 987618
ელ. ფოსტა: tech@caucasus.net
http://www.tech.org.ge
პასუხისმგებელი პირი: მეგი თათარაშვილი

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს კომერციულ კონკურსს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით სარგებლობის უფლებით მართვის (გადაცემის) წესის შესაბამისად

1, ს.ს.ი.პ "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტზე" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გაცემული ვაკე-საბურთალოს რაიონში- მ,კოსტავას ქ, N 68-ში მდებარე პირველი სასწავლო კორპუსის ზედა ეზოში არსებული ავტოსადგომი - ფარდული (ბოქსები) 272-83 კვ,მ, კვ,მეტრი არასაცხოვრებელი ფართობით და 2370 კვ,მ, მი"წის ნაკვეთი გაიცემა იჯარის უფლებით- საიჯარო ქირის წლიური ოდენობა შეადგენს 3500 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში (მ,შ, წილობრივი მიწის წლიური საიჯარო ქირაა 1506-42 აშშ დოლარი)- იჯარის ვადაა 10 წელი,

"ბე"-ს სიდიდე განისაზღვრება მინიმუმ 875 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში- რომელიც ჩაითვლება ობიექტის იჯარის ვადის ბოლო წლის ბოლო სამი თვის გადასახადში,

საკონკურსო პირობებად განისაზღვროს

ა) იჯარის უფლებით გასაცემ ფართობზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება.

ბ) იჯარის უფლებით გასაცემ ობიექტში კომერციული საქმიანობის ჩატარება.

გ) ინფორმაციის წარმოდგენა "მეიჯარესთან" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს,

კონკურსში მონაწილეობისათვის საკონკურსო კომისიას წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი- რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე და კონკრეტული თანხა- რომელიც არ შეიძლება იყოს გამოცხადებულ საწყის წლიურ თანხაზე ნაკლები (კონვერტს ლუქავს განმცხადებელი).

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

გ) ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

დ) იურიდიული პირები- დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციასა და წესდების ასლს,

საკუთრების უფლების გაცემის სანოტარო დამოწმების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და აუცილებელი საბუთების წარმოდგენის ხარჯებს იხდის მყიდველი,

"ბე"-ს გადახდა ხდება: ბანკი "რესპუბლიკა"- სკ 211349192- ა/ანგარიში 345537- ბანკის კოდი 220101757- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

კონკურსი ჩატარდება 2006 წლის 9 ოქტომბერს 11 საათზე,

კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს კონკურსის ჩატარების თარიღამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში, განაცხადები მიიღება ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 10 საათიდან 15 საათამდე- მისამართზე: თბილისი- მ,კოსტავას ქ, N 77- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი- ადმინისტრაციული კორპუსი- მე-3 სართული სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური (ტელ: 36,53,90),

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მთავარ კრიტერიუმად განისაზღვროს კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული მაქსიმალური საიჯარო ქირა,

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართედ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი- ადმინისტრაციული კორპუსი- მე-3 სართული სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი" მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის I შესახვევი N6 საფოსტო ინდექსი 380079; აცხადებს უძრავი ქონების კერძოდ, მზა ფართის შესყიდვაზე ღია ტენდერს, შესასყიდი საქონლის მოკლე აღწერილობა: ფართი მინიმუმ 250კვმ მაქსიმუმ 300კვ.მ; მდებარეობა შემსყიდველის ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც ტექნიკურად და ფუნქციონალურად (ენერგო მომარაგება, საკომუნიკაციო და დაცვის სისტემები და სხვა) შეიძლება დაუკავშირდეს ძირითად ოფისს; მდგომარეობა - მზა ფართში უნდა არსებობდეს: 1) ფუნქციონირებადი წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის საერთო დგარები, სავენტილაციო არხები;

შესასყიდი საქონელი სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს, ასევე უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო და წარმოდგენილ უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

2. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სატენდერო მოსაკრებელის 200 ლარის ოდენობის გადახდის შემდეგ, ბანკში "რესპუბლიკა" ანგარიშის N700198; კოდი 220101757; განცხადების გამოქვეყნებიდან 2006 წ. 28 სექტემბერს 15 სთ-მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის I შესახვევი N6, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის "საქპატენტი"-ის ოფისში, სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ეკონომისტთან ბატონ შ. ქაჯაიასთან.

3. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების მიღების ვადაა 29.09.2006 10-სთ-დან 03.10.2006 15-სთ-მდე. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის I შესახვევი N6 საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი", სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ეკონომისტთან ბატონ შ. ქაჯაიასთან:

4. პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**
- რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- სახელმწიფო ორგანოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ და წესდება;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ფართის საკუთრების დამადასტურებელი და მასზე ყადაღის არ არსებობის შესახებ ამონაწერი, ასევე ორგანიზაციაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ დოკუმენტაცია.

**ფიზიკური პირისათვის:**
- რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი);
- პირადობის მოწმობის ასლი ნოტარიულად დამოწმებული;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ფართის საკუთრების შესახებ ამონაწერი
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ყადაღის არ არსებობის შესახებ ამონაწერი

5. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს სატენდერო ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლის სახით, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის სახით.

6. საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად პრეტენდენტებად არ დაიშვებიან ის ფიზიკური და იურიდიული პირები, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს.

7. სატენდერო წინადადებების გახსნა, რომლებიც წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე მოხდება 2006 წლის 3 ოქტომბერს დღის 15.00 სთ-ზე, პრეტენდენტი პირების თანდასწრებით.

დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და პაკეტის გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

პრეტენდენტებს შეუძლიათ წარმოადგინონ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

8. აღნიშნულ ღია ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

*ყველა სახის ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს ბ-ნ შალვა ქაჯაიას მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი" ი. ჭავჭავაძის I შესახვევი N6 ტელეფონი: 24 10 31 ; 24 მობ. 8 99 94 67 97.*




## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)

- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ
მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06
893 65 38 39

## 56-ე საჯარო სკოლაში იხსნება ქართული კლასები.

მისამართი: ფალიაშვილი N34

ტელ: 23-58-12
22-35-85

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

2005 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებისათვის, საქართველოში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობისა და საოლქო საარჩევნო კომისიებში ამომრჩეველთა რაოდენობის ნახვა შეგიძლიათ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.cec.gov.ge

## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6) აცხადებს ტენდერს საჯარო სკოლებისათვის ინდივიდუალური სასკოლო მერხებისა და სკამების შეძენის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად :**

ლოტი N1 I, II კლასის მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასკოლო მერხებისა და სკამების შეძენა, მერხის სიმაღლე 580 მმ., სკამის სიმაღლე 340 მმ., მაგიდის ზედაპირი სიგრძე 65სმ, სიგანე 43 სმ, რაოდენობა 243 ცალი;

ლოტი N2 III, IV კლასის მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასკოლო მერხებისა და სკამების შეძენა, მერხის სიმაღლე 640 მმ, სკამის სიმაღლე 380 მმ., მაგიდის ზედაპირი სიგრძე 65სმ, სიგანე 43 სმ, რაოდენობა 255 ცალი;

ლოტი N3 V, VIII კლასის მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასკოლო მერხებისა და სკამები, მერხის სიმაღლე 700 მმ., სკამის სიმაღლე 420 მმ., მაგიდის ზედაპირი სიგრძე 70 სმ, სიგანე 50 სმ, რაოდენობა 535 ცალი;

ლოტი N4 IX, XII კლასის მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასკოლო მერხებისა და სკამები ზომით: მერხის სიმაღლე 760 მმ., სკამის სიმაღლე 450 მმ., მაგიდის ზედაპირი სიგრძე 70 სმ, სიგანე 50 სმ, რაოდენობა 532 ცალი;

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 20 ნოემბრამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 25 სექტემბრიდან 2006 წლის 26 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6. (აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის შესახებ.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

გ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ) შესაბამისი დოკუმენტის დართვით;

დ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 25 სექტემბრის 18 საათამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (აჭარის ა. რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიში N000142101, ბანკის კოდი 220501102, საიდენტიფიკაციო კოდი N245444844 დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6 (აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო).

6. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება..

7. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით

**8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - ინგა დავითაძე ტ. 7-16-50, მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო..

**სატენდერო კომისია**

# საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების ხელმძღვანელის/მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად.

2. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს ინსტიტუტის საკონკურსო კომისია, რომელიც იქმნება კანონმდებლობით დადგენილი წესით, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის დროებითი წესდებით.

4. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული (მეცნიერებათა კანდიდატის, დოქტორის) ხარისხი.

5. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც, განმცხადებლის აზრით, უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

ვ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ.);

ზ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);

თ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);

ი) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).

6. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირადი მონაცემების შეფასებას ახორციელებს საკონკურსო კომისია. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად,

7. საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 დღისა საკონკურსო კომისია ამტკიცებს:

ა) იმ პირთა ნუსხას, რომელთა საკონკურსო დოკუმენტაცია სრულყოფილად არის წარდგენილი და შეესაბამება ინსტიტუტის წესდებითა და ამ ბრძანებით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ბ) იმ პირთა ნუსხას, რომელთა საკონკურსო დოკუმენტაცია სრულყოფილად არ არის წარდგენილი ან/და არ შეესაბამება ინსტიტუტის წესდებითა და ამ ბრძანებით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

8. საკონკურსო კომისია ატარებს გასაუბრებას იმ კონკურსანტებთან, რომელთა საკონკურსო დოკუმენტაცია სრულყოფილად არის წარმოდგენილი და შეესაბამება ინსტიტუტის წესდებითა და ამ ბრძანებით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც ფორმდება ოქმით.

9. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაში),

ბ) პატენტები,

გ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში,

დ) მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის, საერთაშორისო თემატიკაში.

ე) სტრუქტურული ერთეულის განვითარების სტრატეგიური ხედვა;

ვ) კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების ორგანიზების გამოცდილება.

10. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 3 წლის ვადით.

11. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 05 ოქტომბერი.

12. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 12 ოქტომბერს.

13. საბუთები სასურველია იყოს წარმოდგენილი ელექტრონული ფორმით.

14. საბუთების მიღება იწარმოებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში: ქ. თბილისი, ინგოროყვას N8, ოთახი N307. საბუთების ელექტრონული ვერსია უნდა იქნეს მოწოდებული დისკით ან გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: E-mail:ike@gv.acnet.ge.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ:

www.mes.gov.ge; www.acnet.ge/I

პასუხისმგებელი პირი: ნაირა მიქუტიშვილი (ტელ: 93 46 78; 93 29 21).

## მოკლედ

### ფერდინანდი დაბრუნდა

ინგლისის ნაკრების მცველმა რიო ფერდინანდმა ტრავმის შემდეგ ვარჯიში განაახლა. "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელი, რომელმაც ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში ანდორასთან მატჩი გამოტოვა, მაკედონიის წინააღმდეგ ითამაშებს. ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მეორე მატჩს მაკედონიასთან სკოპიეში 6 სექტემბერს გამართავს.

### "ლივერპულს" ახალი სტადიონი ექნება

ბრიტანული პრესის ცნობით, 2009 წლის შემოდგომით "ლივერპული" ახალ სტადიონზე ითამაშებს. მერსისაიდული კლუბის ხელმძღვანელობამ ქალაქის მთავრობასთან გააფორმა კონტრაქტი, რომლის თანახმად "ლივერპულს" სტენლი პარკის რაიონში ახალი სტადიონის ასაგებად მიწის ნაკვეთი გამოეყო. ხელშეკრულების თანახმად, "ლივერპული" ყოველწლიურად 300 ათას ფუნტს გადაიხდის იჯარის სანაცვლოდ. გავრცელებული ინფორმაციით, ახალი სტადიონი, რომელიც "ენფილდ როუდის" სახელს შეინარჩუნებს, 60 ათას მაყურებელს დაიტევს.

### პესოტო საავადმყოფოდან გამოწერეს

ტურინის "იუვენტუსის" მენეჯერი ჯანლუკა პესოტო გუშინ, თვითმკვლელობის მცდელობიდან ორი თვის შემდეგ, მოლინეტეს კლინიკიდან გაწერეს. აპენინური პრესის ცნობით, პესოტო რეაბილიტაციის კურსს კერძო კლინიკაში განაგრძობს. ექიმთა განცხადებით, "იუვეს" მენეჯერი წლის ბოლოსთვის სრულად გამოჯანმრთელდება.

### მატერაცი ზიდანის ბოდიშს ელის

"სკუადრა აძურას" ნახევარმცველმა მარკო მატერაციმ, რომელსაც ნაკრებში ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს, "გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში კიდევ ერთხელ გაიხსენა ზინედინ ზიდანის თავური. "ზიდანმა არ მომიბოდიშა. ამიტომ არც მე ვაპირებ ბოდიშის მოხდას. ფრანგის პროვოცირება აზრადაც არ მომსვლია, მე მხოლოდ მის რეპლიკას გამოვეხმაურე. მართალია, მისი დის შეურაცხყოფა არ მინდოდა, მაგრამ, გარწმუნებთ, ზიდანმა უარესები მითხრა", - განაცხადა იტალიელმა ფეხბურთელმა.

### პირლო ხელფასის გაზრდას მოითხოვს

"მილანის" ნახევარმცველის ანდრეა პირლოს განცხადებით, მსოფლიო ჩემპიონატზე "სკუადრა აძურას" შემადგენლობაში ბრწყინვალე ასპარეზობის გამო "შავ-წითელთა" ხელმძღვანელობა ვალდებულია ფეხბურთელს ხელფასი მოუმატოს. კლუბთან კონტრაქტი ანდრეა პირლოს ორი წლის შემდეგ ეწურება. ფეხბურთელი იმედოვნებს, რომ ხელშეკრულების გახანგრძლივებასთან ერთად ანაზღაურებაც გაეზრდება.

### იბრაჰიმოვიჩი შვედეთის ნაკრებიდან მოკვეთეს

მილანის "ინტერის" თავდამსხმელი ზლატან იბრაჰიმოვიჩი, "ასტონ ვილას" მცველი ოლოფ მელბერგი და "ნანტის" ნახევარმცველი კრისტიან ვილჰელმსონი შვედეთის ნაკრებიდან მოკვეთეს. ასე რომ, ვერც ერთი მათგანი ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში ლიხტენშტაინის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. "გუნდს დასვენების დღე ჰქონდა, მაგრამ ფეხბურთელები ვალდებული იყვნენ სასტუმროში 11 საათისთვის დაბრუნებულიყვნენ. დათქმულ დროს ამ სამი ფეხბურთელის გარდა, ყველა დაბრუნდა. იბრაჰიმოვიჩი, მელბერგი და ვილჰელმსონი ღამის პირველი საათის შემდეგ მოვიდნენ, რის გამოც მკაცრად დაისაჯნენ", - ნათქვამია შვედეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ განცხადებაში.

### აფრიკის თასს ანგოლა უმასპინძლებს

"როიტერის" ინფორმაციით, 2010 წლის აფრიკის თასის გათამაშება ანგოლაში გაიმართება. რიგით 27-ე თასის ფინალს ანგოლა პირველად უმასპინძლებს. თამაშები დედაქალაქ ლუანდასა და ქალაქებში: ბენგელში, კაბინდაში და უილში გაიმართება. 2008 წელს აფრიკის თასის ფინალა განა უმასპინძლებს.

### კალაძე - 2011 წლამდე "მილანში"

"მილანის" ქართველმა მცველმა კახა კალაძემ იტალიურ კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე გაახანგრძლივა. "მილანიდან წასვლა არ მინდოდა და ბედნიერი ვარ, რომ "სან სიროზე" კიდევ რამდენიმე წელიწადს ვითამაშებ", - განაცხადა ქართველმა ფეხბურთელმა. კახა კალაძე "მილანში" კიევის "დინამოდან" 2000 წელს გადავიდა და "შავ-წითლებთან" ერთად 2003 წელს ჩემპიონთა ლიგა, 2004 წელს კი იტალიის ჩემპიონატი მოიგო.

### ჰიდინკი რუსეთიდან ორ წელიწადში წავა

რუსეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის გუუს ჰიდინკის განცხადებით, ის ნაკრებს 2008 წელს დატოვებს. ჰოლანდიელ სპეციალისტს რუსებთან კონტრაქტი 2+2 სქემით აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ორი წლის შემდეგ მას ხელშეკრულების გახანგრძლივება შეუძლია. თუმცა, ჰიდინკის თქმით, ის რუსეთში დარჩენას არ აპირებს. 60 წლის ჰოლანდიელი სპეციალისტი პრემიერლიგის რომელიმე კლუბის გაწვრთნაზე ოცნებობს, რადგან ყოველთვის ინგლისურ ფეხბურთს ანიჭებდა უპირატესობას. თუმცა, ჰიდინკმა უარყო პრესაში გავრცელებული ხმები, თითქოს რომან აბრამოვიჩმა მას "ჩელსის" გაწვრთნა შესთავაზა.

### "ბოლტონი" და "ნიუკასლი" ტრისტანისთვის იბრძვიან

ინგლისური "ბოლტონის" ხელმძღვანელობა მოლპარაკებას მართავს "დეპორტივოს" ყოფილ თავდამსხმელ დიეგო ტრისტანთან. ესპანელი ფორვარდი გალისური კლუბიდან სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე დღით ადრე გაუშვეს, რის გამოც ტრისტანმა ახალი კლუბის შერჩევა ვეღარ მოასწრო. ბრიტანული პრესის ცნობით, დიეგო ტრისტანით პრემიერლიგის კიდევ ერთი კლუბი - "ნიუკასლ იუნაიტედია" დაინტერესებული.

### ძოლას ბრიტანეთის მუზეუმში შეიყვანენ

ცნობილ იტალიელ ფეხბურთელს ჯანფრანკო ძოლას ბრიტანეთის ფეხბურთის ეროვნული მუზეუმის "დიდების დარბაზში" შეიყვანენ. იტალიელ თავდამსხმელს ეს პატივი "ჩელსიში" დამსახურებული თამაშის გამო ერგო. "არისტოკრატთა" ღირსებას ჯანფრანკო ძოლა 1996 წლიდან 2003 წლამდე იცავდა და 312 მატჩში 80 გოლი გაიტანა. "ჩელსის" გულშემატკივრებმა იტალიელი კლუბის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. დაჯილდოების ცერემონია ლივერპულის სასტუმრო "პლაზაში" 19 ოქტომბერს გაიმართება. ბრიტანეთის ფეხბურთის ეროვნული მუზეუმი 2002 წელს ქალაქ პრესტონში გაიხსნა.

### მერტერსაკერმა ვარჯიში განაახლა

გერმანიის ნაკრებისა და ბრემენის "ვერდერის" მცველმა პერ მერტერსაკერმა გრძელვადიანი პაუზის შემდეგ ვარჯიში განაახლა და სულ მალე ახალი კლუბის შემადგენლობაში პირველ მატჩს გამართავს. მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე, სადაც მერტერსაკერი ბუნდესნაკრების დაცვის უპირობო ლიდერი იყო, "ბრემენელმა მუსიკოსებმა" ფეხბურთელის სანაცვლოდ "ჰანოვერს" 4,7 მილიონი ევრო გადაუხადეს.

### უეფამ მაკედონია გააფრთხილა

ევროპის 2008 წლის შესარჩევ ციკლში ინგლისის ნაკრები მაკედონიას შეხვდება. უეფა მაკედონიის ნაკრებს დაემუქრა, თუ სკოპიეში სამი წლის წინ მომხდარი ინციდენტი გამეორდება, მაკედონიის ნაკრები დაისჯება: მარცხი 0:3. შეგახსენებთ, რომ ევრო 2004-ის შესარჩევში მაკედონიაში სტუმრად ჩასული ინგლისის ნაკრების შავკანიანი ფეხბურთელები რასისტული გამოხდომის მსხვერპლი გახდნენ, რაც მაკედონიელმა გულშემატკივრებმა სტადიონის ტრიბუნებზე ინგლისის დროშის დაწვით გამოხატეს.

### ერთად ვუქომაგოთ საქართველოს ნაკრებს!

დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მესამე მატჩს გამართავს - კიევში უკრაინის ნაკრებს დაუპირისპირდება. მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს ტელეკომპანია "რუსთავი 2" 20 საათიდან შემოგვთავაზებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალური ფან-კლუბი ჩვენი ფეხბურთელების საქომაგოდ თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, ხოლო ბათუმში, ბულვარზე გიწვევთ - ერთად დავუჭიროთ მხარი ჩვენს ფეხბურთელებს ღია ცის ქვეშ! ახლა მათ განსაკუთრებით სჭირდებათ მხარდაჭერა!

*სფფ-ის პრესცენტრი*

# უკრაინა - საქართველო: სააეროპორტო ამბები

## არველაძე რეცეპტს არ ამხელს

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ეროვნული ნაკრები ბორისპოლის აეროპორტში თბილისი-კიევის ჩარტერული რეისით 4 სექტემბერს, საღამოს 8 საათისთვის ჩაფრინდა, თუმცა, მოსაცდელ დარბაზში ფეხბურთელები და დელეგაციის წევრები მხოლოდ საათნახევრის დაგვიანებით გამოჩნდნენ: ქართველებმა საათზე მეტი მოანდომეს დეკლარაციების შევსებას, რაც აუცილებელი პროცედურაა კავკასიის რეგიონიდან ჩასულთათვის. ერთსაათიანი შეყოვნების შემდეგ გაირკვა: უკრაინელი მებაჟეები რომ არა, ქართველ ფეხბურთელებს შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ ეს ფორმალობები.

უკრაინული მედიის წარმომადგენლებთან ერთად ჩვენი დალაგაციის გამოსვლას ელოდა მთავარი მწვრთნელის კლაუს ტოპმიოლერის ძმა - ჰაინცი, რომელიც საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბის წევრია. ის ნაკრების ადმინისტრატორთან ერთად წინა დღეს ჩავიდა კიევში. "გერმანიაში ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა. პირველ რიგში, გვაინტერესებდა იმ მოედნის საფარის ხარისხი, რომელზეც მატჩი უნდა გაიმართოს. ასევე აუცილებელი იყო ჩვენი დელეგაციის ჩამოსვლასთან დაკავშირებული ფორმალობების მოგვარება", - განუცხადა "სპორტ ექსპრესს" ჰაინც ტოპმიოლერმა.

მან მედიას ასევე ამცნო, რომ უკრაინის დედაქალაქში საქართველოს ნაკრები 21 ფეხბურთელით ჩაფრინდა.

"დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ ტრავმის გამო ვერ ითამაშებენ კახა კალაძე, ლაშა ჯაკობია და გიორგი ქინქლაძე", - განაცხადა ჰაინც ტოპმიოლერმა.

აქვე აღვნიშნავ, რომ დასავლურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია "ჩელსისა" და უკრაინის ნაკრების თავდამსხმელის ანდრეი შევჩენკოს ტრავმის თაობაზე ბოლომდე სიმართლეს არ შეეფერება. მართალია, "ჩელსის" ვარჯიშზე ლამპარდთან ორთაბრძოლაში "შევამ" მიკროტრავმა მიიღო, მაგრამ დაზიანება იმდენად სერიოზული არ არის, რომ ეს მნიშვნელოვანი მატჩი გამოტოვოს. მილევსკი და კუჩერა კი, უკრაინის ნაკრების ძირითადი შემადგენლობის წევრები, ტრავმის გამო მართლაც ვერ შეძლებენ მოედანზე გამოსვლას.



ფრანგებთან დაპირისპირებამდე ნაკრები ასე გამოიყურებოდა. დღეს "ხუთჯვაროსნები" სახეცვლილი წარსდგებიან უკრაინის წინააღმდეგ.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

უკრაინული მედიის წინაშე პირველი დონეცკის "მეტალურგის" ქართველი თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე წარდგა. მან ფრანგებთან მატჩში რამდენიმე აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა.

"რა უნდა ვთქვა: უძნელესი საქმეა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებთან თამაში. ამ მარცხის მიუხედავად, სულით არ ვეცემით. ვეცდებით, უკრაინასთან წარმატებით ვითამაშოთ. გარწმუნებთ, ოთხშაბათს საქართველოს ნაკრები მოსაგებად გამოვა მოედანზე. კიევში სამი ქულისთვის ჩამოვედით", - განუცხადა ადგილობრივ ჟურნალისტებს დემეტრაძემ.

შეტევის ხაზში დემეტრაძის პარტნიორი შოთა არველაძე ასე მაქსიმალისტურად განწყობილი არ ყოფილა.

- გასულ შაბათს ფრანგებმა გვიჩვენეს, თუ როგორ უნდა ითამაშო ფეხბურთი. საწყენია, რომ საჭირო დონეზე ვერ განვეწყვეთ და განახლებულ სტადიონზე მოსულ 60 ათას გულშემატკივარს ზეიმი ჩავუშალეთ. ახლა ჩვენთვის მთავარია ფსიქოლოგიური წნეხიდან გამოვიდეთ და რაც შეიძლება კარგად ვითამაშოთ უკრაინასთან. წაგებული თამაშის შემდეგ ყოველთვის ძნელია მოედანზე გამოსვლა. მით უმეტეს, თუ ეს მარცხიდან რამდენიმე დღეში ხდება. ამის მიუხედავად, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საკუთარი გულშემატკივრის თვალში რეაბილიტაცია მოვახდინოთ.

**- როგორი შედეგი დაგაკმაყოფილებთ?**

- დადებითი.

**- რას გულისხმობთ დადებით შედეგში?**

- მთავარია, სწორი და კარგი ფეხბურთი ვითამაშოთ. თუ ასე იქნება, შედეგი არსად წაგვივა.

**- ვინ მიგაჩნიათ ჯგუფის ფავორიტად?**

- საფრანგეთი, იტალია და უკრაინა. უკრაინის ნაკრებთან კიევში თამაში ყოველთვის ძნელია. ჩვენ აქ ჯერ არ მოგვიგია.

**- იცით თუ არა, რის ხარჯზე შეგიძლიათ კიევში დადებითი შედეგის მიღწევა?**

- ვიცი, მაგრამ თქვენ არ გეტყვით.

**- როგორი რეაქცია გქონდათ იტალია-ლიტვის მატჩის შედეგზე?**

- ძალიან განმაცვიფრა. ყოჩაღ! ლიტველებმა მსოფლიო ჩემპიონის წინააღმდეგ ბრწყინვალედ ითამაშეს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ფეხბურთი არაპროგნოზირებადია.

მოსაცდელ დარბაზში ერთ-ერთი უკანასკნელი კლაუს ტოპმიოლერი გამოჩნდა.

**- რა არ გამოგივიდათ ფრანგებთან მატჩში?**

- საფრანგეთის ნაკრები მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია და ამიტომ განცდილ მარცხს სამარცხვინოდ არ ვთვლი. სამწუხაროდ, ფრანგებს ვერაფერი დავუპირისპირეთ.

**- კიევში რა შედეგი დაგაკმაყოფილებთ?**

- უკრაინასთან მატჩი საქართველოს ნაკრებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, კარგი თამაშის ფონზე თუ ფრედ ვითამაშებთ, კმაყოფილი დავრჩებით.

**- მსოფლიო ჩემპიონატზე უკრაინის ნაკრებმა თქვენზე როგორი შთაბეჭდილება დატოვა?**

- საუკეთესო. სასტარტო მატჩში ესპანეთის ნაკრებთან განცდილი მარცხის მიუხედავად, ბლოხინის შეგირდები მეოთხედფინალში გავიდნენ და მხოლოდ მომავალ მსოფლიო ჩემპიონთან დამარცხდნენ. უკრაინის ნაკრებში მაღალი კლასის ბევრი ფეხბურთელია, რომელთას შორის გამოვარჩევ შევჩენკოს, კალინიჩენკოს, რებროვს, ტიმოშჩუკს.

საქართველოს ნაკრები კიევის ხუთვარსკვლავიან სასტუმრო "პრემიერ პალასში" განთავსდა. გუშინ ჩვენმა ნაკრებმა კიევის "ოლიმპიური" სტადიონის გაზონი მოსინჯა, სადაც წინასამატჩო ვარჯიში ჩაატარა.

# ტოპმიოლერი ქართველებს ახლებურად აათამაშებს

უკრაინა-საქართველოს მატჩამდე ერთი დღით ადრე უკრაინელთა ერთ-ერთი ლიდერი, გერმანული ლევერკუზენის "ბაიერის" ფორვარდი ანდრეი ვორონინი თანამემამულე ჟურნალისტებს მომავალ მატჩზე ესაუბრა. ვორონინი მედიის წარმომადგენლებისთვის იმითაც იყო საინტერესო, რომ ის, ასე თუ ისე, მაინც იცნობს საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერს.




ვორონინი მძიმე მატჩს ელის

**- რამდენად შეეფერება სიმართლეს, რომ უკრაინის ნაკრებს ევრო 2008-ის შესარჩევ მატჩებზე მოტივაცია არა აქვს?**

- ეს სიცრუეა. ჩვენ ვცდილობთ დავივიწყოთ მსოფლიო ჩემპიონატზე მიღწეული წარმატება. ახლა მთლიანად მომავალ მატჩებზე ვართ კონცენტრირებული.

**- ბლოხინმა თუ დაუსახა გუნდს მიზანი?**

- რა თქმა უნდა, ჯგუფში პირველი ან მეორე ადგილი უნდა დავიკავოთ.

**- პირველი ადგილის დაკავება უკრაინის ნაკრების მთავარი მიზანი არ არის?**

- ჩვენ წინაშე ყოველთვის მაქსიმალური ამოცანები იყო დასახული. თუმცა კონკრეტულად ამ შესარჩევ ციკლში ნაკრებისთვის მეორე ადგილის დაკავებაც მისაღები იქნება.

**- რატომ არ დგას გუნდის წინაშე პირველი ადგილის დაკავების ამოცანა?**

- არ ვიცი. მწვრთნელს ჰკითხეთ. ისე, ასეთ შეკითხვებს არ უნდა სვამდეთ. თავადაც იცით, რომ ძალიან რთული ჯგუფია. მსოფლიო ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი ჩვენს ჯგუფში ასპარეზობს. ასე რომ, მეორე ადგილი სრულიად მისაღებია.

**- საქართველოს ნაკრებს წინა შესარჩევ ციკლშიც ეთამაშეთ. რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე ამ გუნდმა?**

- საქართველოს ნაკრები ჩვენთვის ყოველთვის უხერხული მეტოქე იყო. ამ გუნდის ყველა ფეხბურთელი ევროპულ კლუბებში თამაშობს, თანაც გუნდი ძალიან ტექნიკურია. ამას დავუმატოთ, რომ გუნდს სათავეში კლაუს ტოპმიოლერი უდგას. ვფიქრობ, საქართველოს ნაკრების წინაშე სერიოზული ამოცანებია. დარწმუნებული ვარ, უამრავ პრობლემას შეგვიქმნიან.

**- რა იციან გერმანიაში კლაუს ტოპმიოლერის შესახებ?**

- ძალიან კარგი მწვრთნელია. "ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა. ტოპმიოლერს გერმანიაში იცნობენ და აფასებენ.

**- როგორ გგონიათ, შეძლებს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრებთან ერთად წარმატების მიღწევას?**

- ძნელი სათქმელია. ცხადია, შეეცდება ეს გააკეთოს. დარწმუნებული ვარ, საქართველორს ნაკრებს ახლებურად აათამაშებს.

**- საქართველოს ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი გერმანიაში თამაშობს. მათ თუ იცნობთ?**

- რა თქმა უნდა. ძალიან კარგი ფეხბურთელები არიან. ვფიქრობ, ეს უჩემოდაც კარგად იცოდით.

**- მათ თუ შეეხმიანეთ მატჩის წინ, რამეზე ხომ არ გისაუბრიათ?**

- არა, კონტაქტი არ გვქონია.

**- შეიძლება თუ არა უკრაინის ნაკრები ჯგუფის ფავორიტად მივიჩნიოთ?**

- ვფიქრობ, შეიძლება. საფრანგეთისა და იტალიის ნაკრებს ცოტა ხნის წინ ვეთამაშეთ. არც მუნდიალზე გვიჩვენებია ურიგო შედეგი.

# ავსტრიაში - სრული შემადგენლობით

დღეს ავსტრიაში საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის B ჯგუფში შესარჩევი ციკლის მორიგ მატჩს გამართავს. ჩვენი მეტოქე ავსტრიის ნაკრებია და ქართველთათვის ეს გადამწყვეტი მატჩია. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ვატო ნაცვლიშვილმა გვითხრა კიდეც, ფინეთი ავსტრიაზე ძლიერი კია, მაგრამ თუ ავსტრიაში არ მოვიგეთ, ელიტურ დივიზიონში აღზევებაზე ფიქრი ძნელი იქნებაო.

მატჩის წინ გორდონ ჰერბერტის გუნდს საკმაოდ სერიოზული პრობლემა ჰქონდა. როგორც იცით, საქართველო-ლუქსემბურგის მატჩში ზაზა ფაჩულია მოედნიდან გააძევეს და გუშინ ფიბას დისციპლინარულ კომიტეტს ქართველი ვარსკვლავის საქმე უნდა განეხილა. იყო საშიშროება, რომ ზაზას დღევანდელი მატჩის გამოტოვება მოუწევდა, თუმცა, ეტყობა, კალათბურთის მამები ჩვენ მიმართ კეთილად არიან განწყობილი და კალათბურთელს ფულადი ჯარიმა აკმარეს. ასე რომ, ფაჩულია დისკვალიფიკაციას გადაურჩა და ის დღეს ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში იქნება.




ფაჩულია ავსტრიაში უთამაშებლობას გადაურჩა.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

რაც შეეხება თავად მატჩს. მართალია, კვირას საქართველოს ნაკრებმა საკმაოდ იოლად დაამარცხა ლუქსემბურგის ნაკრები, მაგრამ აშკარად გამოჩნდა, რომ თუ ჩვენები თამაშს არ მოუმატებენ, ავსტრიისა და, მით უმეტეს, ფინეთის ნაკრებ გუნდებთან ძალიან გაუჭირდებათ. ჩავთვალოთ, რომ ლუქსემბურგთან გამართული მატჩი ქართველი კალათბურთელებისთვის კარგი ვარჯიში იყო და გადამწყვეტ შეხვედრებში ჩვენი ნაკრები იმ კალათბურთს აჩვენებს, რომელიც მას ეკადრება.

შეგახსენებთ, რომ ავსტრიასთან გამართული მატჩის შემდეგ ნაკრები თბილისში დაბრუნდება და 9 სექტემბერს სპორტის სასახლეში ისლანდიის გუნდს უმასპინძლებს. შემდეგ კი ჰერბერტის ბიჭებს ფინეთის ნაკრებთან მოუწევთ ძალის მოსინჯვა.

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



## ქარის ელექტროსადგური ნახევარი მილიონი სახლისთვის

ჩინეთის უმსხვილესი ნახშირმომპოვებლის, სამრეწველო კომპანიების ჯგუფ "შენჰუას" ერთ-ერთი შტო, ქალაქ დუნტაის (შანხაიდან ჩრდილოეთით მდებარეობს) მახლობლად ქვეყანაში უდიდეს, მსოფლიოში კი ერთ-ერთ უდიდეს ქარის ელექტროსადგურს აშენებს.

ქარის უზარმაზარი ტურბინების კომპლექსის საერთო სიმძლავრე 200 მეგავატი იქნება, რითაც, ჩინური კომპანიის გათვლებით, დაახლოებით ნახევარი მილიონი ბინა დაკმაყოფილდება. გარდა ამისა, კომპანია ახლო მომავალში ქარის აღნიშნული ელექტროპარკის გაფართოებას აპირებს, რის შემდეგაც მისი საერთო სიმძლავრე ათას მეგავატს (ერთ გიგავატს) მიაღწევს.

ჩინეთისთვის, რომელიც წარმოებული ელექტროენერგიის 70 პროცენტზე მეტს ნახშირის წვით გამოიმუშავებს, აღნიშნულ პროექტს დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, გაიზრდება ელექტროენერგიის წარმოება. მეორეც, გაიზრდება ქვეყნის ელექტროენერგეტიკაში ენერგიის განახლებადი რესურსების გამოყენების ხვედრითი წილი. თანაც, ქვეყანა ნაკლებად იქნება დამოკიდებული ენერგიის ერთ რომელიმე წყაროზე.

ცნობისათვის, ორი წლის წინ ჩინეთში სულ 43 ქარის ელექტროსადგური მუშაობდა, რომელთა მთლიანი სიმძლავრე მხოლოდ 760 მეგავატი იყო. ეს კი ქვეყანაში გამომუშავებული ელექტროენერგიის ერთ პროცენტზე ნაკლები იყო. ამჟამად ქარის ენერგია ჩინეთს 1.26 გიგავატი ელექტროენერგიით ამარაგებს, 2010 წელს კი ქარისგან მიღებული ელექტროენერგიის მთლიანი სიმძლავრე 5 გიგავატს (5 მილიარდ ვატს) მიაღწევს.

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3444 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9821 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4754 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7460 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8152 |
| 1 | ბულგარული ლევი | BGL | 1,1476 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3008 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3050 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2440 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4344 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3358 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1984 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1502 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3272 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1901 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2533 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3998 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5785 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1803 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4767 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3143 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2761 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5649 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5866 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0653 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1130 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4426 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5163 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4213 |
| 10 | უკრაინული გრივნა | qUAG | 3,4816 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8093 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0392 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1390 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4435 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2407 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4201 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0795 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2199 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2245 |




# საქართველო ნომერ პირველი რეფორმატორია

### გატარებული რეფორმების რაოდენობა - ქვეყნის წარმატებულობის ინდიკატორი?

დიანა ჩაჩუა

*მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ახალი ერთობლივი ანგარიშის მიხედვით, საქართველო საუკეთესო რეფორმატორი ქვეყანაა. საქართველომ მდგომარეობის გაუმჯობესება "ბიზნესის წარმოების" შესახებ კვლევის მიერ შესწავლილი 10 სფეროდან 6 სფეროში შეძლო. შედეგად, საქართველო ზოგად რეიტინგში 112-ე ადგილიდან 37-ზე დაწინაურდა და ეს საქართველოს ხელისუფლებას უახლოს დღეებში საკუთარი თავის "დაპიარების" კიდევ ერთი კარგ შესაძლებლობას მისცემს. რამდენად არის გატარებული რეფორმების რაოდენობა ქვეყნის წარმატებულობის მთავარი ინდიკატორი? ეს ის მთავარი კითხვაა, რომლის დასმასაც კვლევის ავტორისთვის "24 საათი" აუცილებლად შეეცდება.*




B2

# საუკეთესო შანსი ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის

*ამ ბოლო დროს, როგორც მსოფლიო, ისე ქართულ პრესაში მრავალი ექსპერტის წერილი დაიბეჭდა, რომლებიც ენერგოშემცველებს, მათი ექსპლოატაციის დღევანდელ პირობებს და პერსპექტივებს ეხება. ეს გასაგებიცაა. თუ რა ძნელია ამ ნედლეულის გარეშე ეროვნული მეურნეობის განვითარება, დღეს უკვე არა ერთი და ორი ქვეყნის მაგალითზე მტკიცდება.*
*ასეთ წერილებს შორის, ჩვენი აზრით, მაინც გამოირჩევა ამერიკელი ექსპერტის მარტინ ვოლფის წერილი, რომელიც ბოლო დროს დასავლეთის პრესაში დაიბეჭდა.*
*გთავაზობთ მის თარგმანს.*

**2003 წელს მთელ მსოფლიოში კომერციული სახით მოხმარებული ენერგია შემდეგი წყაროებიდან წარმოდგებოდა:**
**ნავთობი იძლეოდა მთელი ენერგიის 35,4 პროცენტს, ბუნებრივი გაზი - 23,7 პროცენტს, თხევადი გაზი - 2,7 პროცენტს, ქვანახშირი - 23,9 პროცენტს, წყლის ენერგია - 6,5 პროცენტს, ატომური ენერგია - 6,4 პროცენტს, ხოლო განახლებადი სახის ენერგიის წყაროები - 1,4 პროცენტს.**



B4

# ფოლადის რომანტიკოსი

### დიდი ოლიგარქი და არშემდგარი პოლიტიკოსი ალექსეი მორდაშოვი

გოჩა ქიმუცაძე

*მიმდინარე წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და თრილერის სიუჟეტით მიმდინარე ბიზნესგარიგება მსოფლიოს უმსხვილესი მეტალურგიული კონცერნის, ინდური Mittal Steel-ის მიერ მისი მთავარი კონკურენტის, ევროპული Arcelor-ის შთანთქმა გახლდათ. ამ გარიგების განხორციელება რამდენიმე თვის განმავლობაში იმიტომ გაიწელა, რომ Mittal Steel-ს რუსული "სევერსტალის" სახით ღირსეული მეტოქე გამოუჩნდა. ყოვლისშემძლე ლაკშმი მიტალთან შერკინება ალექსეი მორდაშოვმა გაბედა და, მართალია, დამარცხდა, მაგრამ 7,6 მილიარდი დოლარით Forbes-ის რეიტინგში 64-ე, უმდიდრეს რუსთა შორის კი მეშვიდე ადგილზე მყოფმა ბიზნესმენმა თავი ყველას კარგად დაგვამახსოვრა.*

- **მერე რა, რომ რომანტიკული პიროვნებაა, რომ უბრალო ადამიანური სისუსტეები ახასიათებს, ორი ელენა, არაყი და სამთო სპორტი უყვარს და ლაკშმი მიტალი ვერ დაამარცხა. ფაქტია, რომ ალექსეიმ თავისი ფოლადის ბიზნესი მშვენივრად ააწყო და დიდძალი ფულიც იშოვნა.**
- **როგორც ალექსეის მტრები ხითხითებენ, პუტინს მორდაშოვი "თიხისფეხებიან ფოლადის კოლოსად" მოუნათლავს.**



B3

## სათამაშო ბიზნესიდან შემოსავლები შემცირდა

2006 წლის იანვარ-აგვისტოში სათამაშო ბიზნესიდან მობილიზებულმა შემოსავლებმა 6 მილიონ 536,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებელს 199,9 ათასი ლარით, ანუ 3,2 პროცენტით აღემატება. იმის მიუხედავად, რომ სათამაშო ბიზნესიდან მობილიზებული შემოსავლები საპროგნოზო მაჩვენებელს აღემატება, გასულ წელთან შედარებით ის 1 მილიონ 396,8 ათასი ლარით ნაკლებია. 2005 წელს ანალოგიურ პერიოდში აღნიშნული სექტორიდან მიღებულმა შემოსავლებმა 7 მილიონ 933,7 ათასი ლარი შეადგინა. ცნობისთვის, სათამაშო ბიზნესის წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში 0,6 პროცენტია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აგვისტოში მოზიდულმა საგადასახადო შემოსავლებმა 141 მილიონი ლარი შეადგინა

აგვისტოში მოზიდულმა საგადასახადო შემოსავლებმა 141 მილიონი ლარი შეადგინა და 22,3 მილიონი ლარით, ანუ 19 პროცენტით აღემატება საპროგნოზო მაჩვენებელს, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 29 მილიონით მეტია. საგადასახადო დეპარტამენტში აცხადებენ, რომ შემოსავლების ზრდა საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებამ განაპირობა.

მათივე ინფორმაციით, შემოსავლებში დამატებული ღირებულების გადასახადისგან მიღებული შემოსავლები - 34 მილიონ 694 ათასი ლარი - სჭარბობს გასულ წელს დღ-გდან მობილიბლმა შემოსავლებმა 5 მილიონი ლარით ნაკლები შეადგინა.

8 მილიიონი ლარით გაიზარდა 2006 წლის აგვისტოში გასულ წელთან შედარებით საშემოსავლო გადასახადმა და 21 მილიონ 970, 4 ათასი ლარის ნაცვლად 30 მილიონ 68,2 ათასი ლარით განისაზღვრა. რაც შეეხება სოცაილურ გადასახადებს საბიუჯეტო და სამეურნეო ორგანიზაციებიდან, მათი მოცულობა 41 მილიონი 200,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც 37 მილიონ 720,3 ათასი ლარით მეტია გასულ წელს დაფიქსირებულ ანალოგიურ მაჩვენებელზე. **ჯი-ეიჩ-ენი.**

## იანვარ-აგვისტოს ბიუჯეტი 126,8 მილიონი ლარით გადაჭარბებით შესრულდა

რვა თვის განმავლობაში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა და გრანტებმა. 2 მილიარდ 670,8 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 126,8 მილიონი ლარით, ანუ 5 პროცენტით აღემატება საპროგნოზო მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ ეს თანხა 32,8 პროცენტით მეტია 2005 წლის შესაბამის პერიოდში მობილიზებულ თანხებთან შედარებით. საგადასახადო შემოსავლების კუთხით მობილიზებულია 1 მილიარდ 949,9 მილიონი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 მილიარდ 853.7 მილიონი ლარი) 105,2 პროცენტია.

აქედან საბაჟო დეპარტამენტის წილი 837,6 მილიონი ლარია, ანუ დაგეგმილზე 49,2 მილიონი ლარით მეტი, ხოლო საგადასახადო დეპარტამენტის კი - 1 მილიარდ 112,4 მილიონი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელს 47,1 მილიონი ლარით აღემატება. კაპიტალური შემოსავლის სახით მობილიზებულია 283,9 მილიონი ლარი, რაც დაგეგმილს 5 მილიონი ლარით, ანუ 1,8 პროცენტით აღემატება. რაც შეეხება არასაგადასახადო შემოსავლებს, მათი მოცულობა 358,7 მლნ ლარით განისაზღვრება, რაც საპროგნოზო მაჩვენებელზე 20,6 მილიონი ლარით ანუ 6,1 პროცენტით მეტია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## რვა თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2 მილიარდ 219,7 მილიონ ლარი დაიხარჯა

მიმდინარე წლის რვა თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2 მილიარდ 219.7 მილიონ ლარი დაიხარჯა. აქედან ყველაზე მეტი თანხა - 449.6 მილიონი ლარი - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს ერგო. მათ შორის საპენსიო უზრუნველყოფას - 281.3 მილიონი ლარი, ჯანდაცვის პროგრამებს - 70 მილიონი ლარი, სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციას - 30.5 მილიონი ლარი. ამის შესახებ "ჯი-ეიჩ-ენს" საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს.

უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს დახმარების სახით 8,8 მილიონი ლარი გამოეყო, ხოლო ელექტროენერგიის შეღავათებისთვის კომპენსაციებს კი - 9.3 მილიონი ლარი.

ენერგეტიკის სამინისტროსთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან რვა თვის განმავლობაში 165,7 მილიონი ლარი გადაირიცხა, რისი ძირითადი ნაწილიც, 105 მილიონი ლარი, ელექტროენერგიით და ბუნებრივი აირით მომარაგების უზრუნველყოფასა და ტარიფების შენარჩუნებას მოხმარდა. რაც შეეხება სარეაბილიტაციო ღონისძიებებს, მათზე 41,7 მილიონი ლარი დაიხარჯა. სერიოზული დაფინანსებით (105.3 მილიონი ლარი) სარგებლობს საგზაო დეპარტამენტიც. მხოლოდ ნატახტარი-ალაიანის მონაკვეთის რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია 29,8 მილიონი ლარი ჯდება. განათლების სფეროს 208,1 მილიონი ლარი ერგო, მათ შორის, ვაუჩერიზაციის პროგრამას - 124,8 მილიონი ლარი, ხოლო სასწავლო დაწესებულებების რეაბილიტაციას კი - 36 მილიონი ლარი. იუსტიციისა და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროების ანგარიშზე 42,9 და 34,2 მლნ ლარი გადაირიცხა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისთვის გამართულ აქუციონზე 879 002 ლარის მობილიზება მოხერხდა

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით გამართულ აუქციონში მონაწილე 18 მეწარმედან 15 გამარჯვებულად გამოცხადდა. აუქციონის შედეგად შემოსულმა თანხამ 879 002 ლარი შეადგინა.

ცნობისთვის, აუქციონზე გამოტანილი იყო თექვსმეტი ობიექტი სიღნაღის, ხაშურის, თერჯოლის, ჭიათურის, საჩხერის, ტყიბულის, თელავის, მცხეთის, სენაკის, ნინოწმინდის, წალკის, ბოლნისის და ამბროლაურის რაიონებში. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ენერგეტიკის სამინისტრო "თბილსრესის" სრულ რეაბილიტაციას იწყებს

ენერგეტიკის სამინისტრო ლერმონტოვის N10-ში მდებარე სს "თბილსრესის" სრულ რეაბილიტაციას იწყებს, რომლისათვისაც სამინისტროს ბიუჯეტიდან 4 მილიონი ლარია გამოყოფილი. ამის შესახებ "ჯი-ეიჩ-ენს" ენერგეტიკის სამინისტროში განუცხადეს. სს "თბილსრესზე" სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებაზე ტენდერი უკვე გამოცხადდა. როგორც სამინისტროში აცხადებენ, სამუშაოები სწრაფად ჩატარდება და "თბილსრესის" სრული რეაბილიტაცია ოქტომბრის ბოლოს დასრულდება. შეგახსენებთ, რომ სს "თბილსრესი" 120 მგვტ ენერგიას გამოიმუშავებს და მას გარკვეული სარეაბილიტაციო სამუშაოები წინა წლებშიც ჩაუტარდა. **ჯი-ეიჩ-ენ**

# საქართველო ნომერ პირველი რეფორმატორია

პირველი გვერდიდან

მოკლედ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ახალი ერთობლივი კვლევის შესახებ: მსოფლიოში საუკეთესო 10 რეფორმატორი ქვეყნის სია, შესაბამისი თანამიმდევრობით, ასე გამოიყურება: საქართველო, რუმინეთი, მექსიკა, ჩინეთი, პერუ, საფრანგეთი, ხორვატია, გვატემალა, განა და ტანზანია.

აქვე ინფორმაცია განსჯისათვის: აღნიშნული რეიტინგის შედგენისას შემდეგი ფაქტორები იქნა გათვალისწინებული: რა დრო და დანახარჯების გაწევაა საჭირო ბიზნესის დასაწყებად, რომ მთავრობის მიერ დაწესებული წესები შესრულდეს, რამდენად მარტივია ბიზნესის ყოველდღიური წარმოება, ვაჭრობა, დაბეგვრა და ბიზნესის დახურვა. რაც შეეხება ისეთ ცვლად პარამეტრებს, როგორებიცაა მაკროეკონომიკური პოლიტიკა, ინფრასტრუქტურის ხარისხი, ვალუტის სტაბილურობა, ინვესტორის მიერ ამ ქვეყნის ბიზნესგარემოს აღქმა ან კრიმინალური მდგომარეობა - ეს ფაქტორები აღნიშნული რეიტინგის დათვლისას გათვალისწინებული საერთოდ არ ყოფილა.

მაინც რის ხარჯზე მიაღწია ამ ათმა ქვეყანამ დღევანდელ შედეგს? ანგარიშში ვკითხულობთ: რეფორმატორებმა გაამარტივეს ბიზნესის მარეგულირებელი წესები, გააძლიერეს საკუთრებაზე უფლებები, შეამცირეს საგადასახადო ტვირთი, უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახადეს კრედიტები და შეამცირეს ექსპორტირებისა და იმპორტირების რისკი.

საქართველოში მდგომარეობა "ბიზნესის წარმოების" შესახებ კვლევის მიერ შესწავლილი 10 სფეროდან ექვს სფეროში გაუმჯობესდა. **"საქართველოში 2000 ლარიდან 200 ლარამდე შემცირდა იმ მინიმალური კაპიტალის ოდენობა, რომელიც ბიზნესის დასაწყებად არის აუცილებელი. კომპანიების რეგისტრაცია 2005-დან 2006 წლამდე პერიოდში 20%-ით გაიზარდა. საბაჟოზე და საზღვრის დაცვის სისტემაში განხორციელებულმა რეფორმებმა გაამარტივა საზღვრის გადაკვეთის პროცედურები. 2004 წელს ადმინისტრაციულ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას 54 დღე სჭირდებოდა, ხოლო დღეისათვის იგივეს მხოლოს 13 დღე სჭირდება. გარდა ამისა, საქართველომ გაამარტივა საპროცესო კანონმდებლობა სასამართლოებისათვის, დანერგა სპეციალიზირებული კომერციული სანქციები და გაატარა აპელირების პროცესის რეფორმა. მარტივი კომერციული დავის გადასაჭრელად საჭირო დრო 375 დღიდან 285 დღემდე შემცირდა. ამასთან, საქართველომ ხელფასის ოდენობის 31-დან 20 პროცენტამდე შეამცირა სოციალური შენატანების განაკვეთი (რომელთაც კომპანიები იხდიდნენ), რითაც დამქირავებელს სამუშაოზე ახალი თანამშრომლების აყვანა გაუმარტივა,"** - ვკითხულობთ კვლევაში.

**"უდავოდ აუცილებელია კიდევ მეტი პროგრესის მიღწევა. დსთ-ს ქვეყნებისათვის ძალიან კარგი იქნებოდა ახალი საწარმოებისა და სამუშაო ადგილების შექმნა, რაც აუცილებლად მოხდებოდა ბიზნესისადმი უფრო კეთილგანწყობილი კანონმდებლობის არსებობის შემთხვევაში,"** - განაცხადა მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტმა და საფინანსო და კერძო სექტორის განვითარების სფეროში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მთავარმა ეკონომისტმა მაიკლ კლაინმა.

საინტერესოა, ნიშნავს თუ არა კვლევაში ათვლის წერტილად აღებული რეფორმების რიცხობრივი რაოდენობა იმას, რომ ქვეყანა უკეთესობისკენ მიდის? ამ კითხვაზე შარშანდელი კვლევის ერთ-ერთი ავტორი სიმეონ ჯანკოვი აცხადებდა, რომ **"არა, ეს ინდიკატორად არ გამოდგება."** ექსპერტი დიდ ყურადღებას აქცევდა იმ ფაქტორს, რომ წინა კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში ინვესტორების დაცვის მხრივ არც ერთი რეფორმა არ გატარებულა. **"ჩემი სუბიექტური აზრით, თუ მთავრობა სხვა სექტორებში აწარმოებს რეფორმებს, აქაც მოხდება რეფორმირება და თუკი საქართველოში ასეთი რეფორმა არ იქნება გატარებული, ეს, რა თქმა უნდა, უარყოფითად იქნება აღქმული,"** - აცხადებდა თავის დროს სიმეონ ჯანკოვი. აღსანიშნავია, რომ წლევანდელი კვლევის მხიედვითაც, ინვესტორების დაცვის მხრივ კვლავ არანაირი რეფორმა არ გატარებულა.

### სომხეთი კვლავ მოწინავეა

საქართველოსთან ერთად რეგიონში სომხეთიც სერიოზული რეფორმატორი აღმოჩნდა, რომელმაც ოთხი მნიშვნელოვანი რეფორმის გატარება შეძლო. დსთ-ს წევრ სახელმწიფოებს შორის, მინიმუმ ერთი რეფორმა მაინც იქნა გატარებული სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, მოლდოვაში, რუსეთში და უკრაინაში. ტაჯიკეთში რეფორმები საერთოდ არ გატარებულა, ხოლო უზბეკეთში ბიზნესის წარმოება გართულდა. დსთ-ს 9 ქვეყანაში მარეგულირებელ სფეროში გატარებულმა 24-მა რეფორმამ იურიდიული და ადმინისტრაციული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად კომპანიების მიერ დასახარჯი დრო, გასაწევი ხარჯები და გადასალახი ბარიერები შეამცირა.

გარდა ამისა, კვლევაში "ბიზნესის წარმოება 2007", ბიზნესის წარმოების სიმარტივის მიხედვით მსოფლიოს 175 ქვეყნის რეიტინგია წარმოდგენილი. წინა წელთან შედარებით, წლევანდელმა კვლევამ 20-ით მეტი ქვეყანა მოიცვა.

კერძოდ, დსთ-ს წევრ სახელმწიფოებს შორის, ყველაზე საუკეთესო მაჩვენებლები სომხეთს (34), საქართველოს (37) და ყაზახეთს (62), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებლები ტაჯიკეთს (133) და უზბეკეთს (147) აქვთ. მაგალითად, ყაზახეთის რეიტინგი, გასულ წელთან შედარებით, 20 ადგილით ამაღლდა. რუსეთს ამ ორ ჯგუფს შორის შუალედური (96-ე) ადგილი უჭირავს, რითაც სამი პუნქტით ჩამორჩება ჩინეთს, თუმცა უსწრებს ბრაზილიასა და ინდოეთს. უკრაინა და ბელარუსი ერთმანეთის მიყოლებით მსოფლიო რეიტინგში 128-ე და 129-ე ადგილებზე არიან.

"ბიზნესის წარმოების" შესახებ ანგარიშში ნათქვამია, რომ ამ რეგიონში, ბიზნესის განვითარების გზაზე მდგომ ბარიერებს შორის ნელი და ბიუროკრატიული სავაჭრო რეჟიმები და მაღალი და რთული საგადასახადო სისტემები უნდა აღინიშნოს. **"მაგალითად, ყაზახეთში საქონლის ექსპორტს 93 დღე და 14 დოკუმენტის გაფორმება სჭირდება. ბელარუსში საგადასახადო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად პერსონალმა - 1 188 საათი, ხოლო კომპანიებმა თავიანთი კორპორაციული შემოსავლის 186 პროცენტი უნდა დახარჯონ,"** - ნათქვამია კვლევაში.

ცხრილი 1.2
რეიტინგი ბიზნესის წარმოების სიმარტივის მიხედვით

| 2007 რანგი | 2006 რანგი | ქვეყანა | 2007 რანგი | 2006 რანგი | ქვეყანა | 2007 რანგი | 2006 რანგი | ქვეყანა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | სინგაპური | 60 | 58 | კირიბათი | 119 | 113 | ირანი |
| 2 | 1 | ახალი ზელანდია | 61 | 56 | სლოვენია | 120 | 115 | ალბანეთი |
| 3 | 3 | აშშ | 62 | 57 | პალაუ | 121 | 122 | ბრაზილია |
| 4 | 4 | კანადა | 63 | 82 | ყაზახეთი | 122 | 119 | სურინამი |
| 5 | 6 | ჰონგ-კონგი, ჩინეთი | 64 | 70 | ურუგვაი | 123 | 120 | ეკვადორი |
| 6 | 5 | გაერთიანებული სამეფო | 65 | 78 | პერუ | 124 | 134 | ხორვატია |
| 7 | 7 | დანია | 66 | 60 | უნგრეთი | 125 | 125 | კაპო-ვერდე |
| 8 | 9 | ავსტრია | 67 | 72 | ნიკარაგუა | 126 | 121 | ფილიპინები |
| 9 | 8 | ნორვეგია | 68 | 95 | სერბეთი | 127 | 127 | დასავლეთის სანაპირო და ღაზა |
| 10 | 10 | ირლანდია | 69 | 61 | სოლომონის კუნძულები | 128 | 132 | უკრაინა |
| 11 | 12 | იაპონია | 70 | 64 | მონტენეგრო | 129 | 124 | ბელარუსი |
| 12 | 11 | ისლანდია | 71 | 75 | სალვადორი | 130 | 135 | სირია |
| 13 | 14 | შვედეთი | 72 | 65 | დომინიკა | 131 | 126 | ბოლივია |
| 14 | 13 | ფინეთი | 73 | 63 | გრენადა | 132 | 129 | გაბონი |
| 15 | 16 | შვეიცარია | 74 | 66 | პაკისტანი | 133 | 130 | ტაჯიკეთი |
| 16 | 15 | ლიტვა | 75 | 74 | პოლონეთი | 134 | 138 | ინდოეთი |
| 17 | 17 | ესტონეთი | 76 | 67 | სუაზილენდი | 135 | 131 | ინდონეზია |
| 18 | 19 | ტაილანდი | 77 | 68 | არაბეთის გაერთ ემირატ. | 136 | 133 | გაიანა |
| 19 | 18 | პუერტო რიკო | 78 | 73 | იორდანია | 137 | 139 | ბენინი |
| 20 | 20 | ბელგია | 79 | 76 | კოლუმბია | 138 | 143 | ბჰუტანი |
| 21 | 21 | გერმანია | 80 | 77 | ტუნისი | 139 | 136 | ჰაიტი |
| 22 | 22 | ნიდერლანდები | 81 | 79 | პანამა | 140 | 137 | მოზამბიკი |
| 23 | 23 | კორეა | 82 | 69 | იტალია | 141 | 156 | კოტ დიუვარი |
| 24 | 31 | ლატვია | 83 | 80 | კენია | 142 | 150 | ტანზანია |
| 25 | 25 | მალაიზია | 84 | 83 | შეისელები | 143 | 142 | კამბოჯა |
| 26 | 26 | ისრაელი | 85 | 85 | სენტ კიტსი და ნევისი | 144 | 141 | კომოროსი |
| 27 | 27 | წმინდა ლუჩია | 86 | 87 | ლიბანი | 145 | 140 | ერაყი |
| 28 | 24 | ჩილე | 87 | 86 | მარშალის კუნძულები | 146 | 152 | სენეგალი |
| 29 | 28 | სამხრ. აფრიკა | 88 | 81 | ბანგლადეში | 147 | 151 | უზბეკეთი |
| 30 | 30 | ავსტრია | 89 | 89 | შრი ლანკა | 148 | 146 | მავრიტანია |
| 31 | 29 | ფიჯი | 90 | 104 | ყირგიზეთი | 149 | 148 | მადაგასკარი |
| 32 | 32 | მავრიტანია | 91 | 84 | თურქეთი | 150 | 157 | ეკვატორიული გვინეა |
| 33 | 33 | ანტიგუა და ბაბუდა | 92 | 94 | მაკედონია | 151 | 154 | ტოგო |
| 34 | 37 | სომხეთი | 93 | 108 | ჩინეთი | 152 | 147 | კამერუნი |
| 35 | 47 | საფრანგეთი | 94 | 102 | განა | 153 | 145 | ზიმბაბვე |
| 36 | 34 | სლოვაკეთი | 95 | 91 | ბოსნია და ჰერცოგოვინა | 154 | 161 | სუდანი |
| 37 | 112 | საქართველო | 96 | 97 | რუსეთი | 155 | 166 | მალი |
| 38 | 35 | საუდის არაბეთი | 97 | 96 | ეთიოპია | 156 | 155 | ანგოლა |
| 39 | 38 | ესპანეთი | 98 | 101 | იემენი | 157 | 149 | გვინეა |
| 40 | 45 | პორტუგალია | 99 | 100 | აზერბაიჯანი | 158 | 158 | რუანდა |
| 41 | 36 | სამოა | 100 | 90 | ნეპალი | 159 | 164 | ლაოსის სდრ |
| 42 | 39 | ნამიბია | 101 | 93 | არგენტინა | 160 | 170 | ნიგერი |
| 43 | 62 | მექსიკა | 102 | 92 | ზამბია | 161 | 153 | ჯიბუტი |
| 44 | 42 | სენტ ვინსენტი და გრენადა | 103 | 88 | მოლდოვა | 162 | 159 | ავღანეთი |
| 45 | 41 | მონგოლეთი | 104 | 98 | ვიეტნამი | 163 | 171 | ბურკინა ფასო |
| 46 | 40 | კუვეიტი | 105 | 99 | კოსტა რიკა | 164 | 144 | ვენესუელა |
| 47 | 43 | ტაივანი, ჩინეთი | 106 | 105 | მიკრონეზია | 165 | 165 | ეგვიპტე |
| 48 | 44 | ბოცვანა | 107 | 103 | უგანდა | 166 | 160 | ბურუნდი |
| 49 | 71 | რუმინეთი | 108 | 109 | ნიგერია | 167 | 162 | ცენტრ. აფრიკის რესპუბლიკა |
| 50 | 48 | იამაიკა | 109 | 111 | საბერძნეთი | 168 | 163 | სიერა ლეონე |
| 51 | 46 | ტონგა | 110 | 106 | მალავი | 169 | 167 | სან-ტომე და პრინსიპი |
| 52 | 50 | ჩეხეთის რესპ. | 111 | 107 | ჰონდურასი | 170 | 168 | ერითერია |
| 53 | 49 | მალდივები | 112 | 110 | პარაგვაი | 171 | 169 | კონგო რესპ. |
| 54 | 59 | ბულგარეთი | 113 | 118 | გამბია | 172 | 172 | ჩადი |
| 55 | 52 | ომანი | 114 | 116 | ლესოტო | 173 | 173 | გვინეა-ბისაუ |
| 56 | 51 | ბელიზი | 115 | 117 | მოროკო | 174 | 174 | ტიმორ-ლესტე |
| 57 | 53 | პაპუა ახალი გვინეა | 116 | 123 | ალჟირი | 175 | 175 | კონგოს დემ. რესპ. |
| 58 | 54 | ვანუატუ | 117 | 114 | დომინიკის რესპუბლიკა | | | |
| 59 | 55 | ტრინიდადი და ტობაგო | 118 | 128 | გვატემალა | | | |

### დანარჩენი სამყარო

ორი სიტყვით ზოგადი რეიტინგის მოწინავე ქვეყნებზეც ვთქვათ:

მთელს მსოფლიოში საუკეთესო ეკონომიკური გარემო ბიზნესის წარმოების სიმარტივის მიხედვით ასეა გადანაწილებული: სინგაპური, ახალი ზელანდია, აშშ, კანადა, ჰონგ-კონგი (ჩინეთი), გაერთიანებული სამეფო, დანია, ავსტრალია, ნორვეგია, ირლანდია, იაპონია, ისლანდია, შვედეთი, ფინეთი, შვეიცარია, ლიტვა, ესტონეთი, ტაილანდი, პუერტო რიკო, ბელგია, გერმანია, ნიდერლანდები, კორეა, ლატვია, მალაიზია, ისრაელი, სანტა ლუჩია, ჩილე, სამხრეთ აფრიკა და ავსტრია.

2005-2006 წლებში, მთელს მსოფლიოში ყველაზე პოპულარული რეფორმა ბიზნესის დაწყების პროცესის გამარტივებისაკენ მიმართული ცვლილებების განხორციელება იყო. მსოფლიოს 43-მა ქვეყანამ გაამარტივა პროცედურები, შეამცირა ხარჯები და დაგვიანებები. მეორე, ყველაზე პოპულარული რეფორმა, რომელიც 31 ქვეყანაში განხორციელდა, საგადასახადო განაკვეთების შემცირება და გადასახადების გადახდისას ადმინისტრაციული ბარიერების შესუსტება იყო.

**"რამდენიმე ქვეყანაში, როგორებიცაა, მაგალითად, მალი და მოზამბიკი, ამჟამად კერძო კომპანიები ქვეყნისათვის ყველაზე მეტად საჭირო რეფორმების გამოკვეთაში მონაწილეობენ. იცნობენ რა ბიზნესის პრაქტიკულ მხარეს, ისინი მდგომარეობის შეფასებისას ახალ საზომებს იყენებენ. ბიუროკრატიაში გამჯდარი კულტურა, რომ ბიუროკრატმა უკარნახოს ბიზნესმენს, თუ რა სჯობია ბიზნესისათვის, ნელ-ნელა მივიწყებას ეცემა. ამასთან ერთად, წარსულს ბარდება (მცირდება) საკანონმდებლო სფეროში ჩატარებული რეფორმების შედეგების გაზომვის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება,"** - ნათქვამია კვლევაში.

და ბოლოს, ბიზნესის წარმოების შესახებ ანგარიში 5000-ზე მეტმა ადგილობრივმა ექსპერტმა შექმნა. ესენი ბიზნესკონსულტანტები, იურისტები, ბუღალტრები, მთავრობის თანამდებობის პირები და მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები არიან. ყველა მონაცემი, მეთოდოლოგია და თანამონაწილე სპეციალისტების სია შეგიძლიათ შემდეგ ინტერნეტ გვერდზე იხილოთ: http://www.doingbusiness.org

## ღვინის მწარმოებელი ქარხნები ყურძენს საკუთარი ვენახებიდან მიიღებენ

კახეთში რთველი დაიწყო და ის ოქტომბრის შუა რიცხვებამდე გასტანს. ღვინის მწარმოებელი ქარხნები ყურძენს, ძირითადად, საკუთარი ვენახებიდან მიიღებენ. "კომპანია "შუმს" საკუთარი ვენახები აქვს და საკმაო მოსავალიც მოდის. კახელი გლეხებისაგან წინა წლებთან შედარებით ცოტას შევიძენთ, რადგანაც რუსეთში ექსპორტს ვეღარ ვახორციელებთ და, შესაბამისად, ღვინოს ძველებურად აღარ ვაწარმოებთ," - განუცხადა სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" კომპანია "შუმის" დირექტორმა გია ქურდოვანიძემ.

კომპანის GWS-ი კი გლეხებისაგან მიზერული რაოდენობის ყურძნის შეძენას აპირებს. რაოდენობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ თავად რა მოსავალს აიღებენ საკუთარი ვენახებისაგან. "წელს გლეხებისაგან ყურძნის სოლიდური რაოდენობის შეძენას აღარ ვაპირებთ," - აცხადებს "ჯი-ეიჩ-ენთან" GWS-ის მთავარი მეღვინე გიორგი სამანიშვილი. როგორც კახეთის მხარის ადმინისტრაციაში ირწმუნებიან წელს ოფიციალური მოთხოვნა გლეხებიდან ყურძნის შესყიდვაზე რამდენიმე კომპანიას აქვს დაფიქსირებული და ისინი, სავარაუდოდ, მაღალი ხარისხის 23 ტონა ყურძენს შეიძენენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## კახეთში ერთ კილოგრამი მაღალი ხარისხის თეთრი ყურძენი - 45, დაბალი ხარისხის 20-25 თეთრი ღირს

კახეთში მოწეული ყურძნის რეალიზაციის პრობლემა არ არსებობს, განაცხადა კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილემ თემურ ლამაზოშვილმა. ლამაზოშვილის ინფორმაციით, ყურძნის ფასს თავად ბაზარი არეგულირებს. ის კომპანიები, რომელთაც ღვინის წარმოება სურთ, მაღალი ხარისხის ყურძენს შეიძენენ და, შესაბამისად, შედარებით მაღალ თანხასაც გადაიხდიან. ხოლო სპირტის საწარმოებლად დაბალი ხარისხის ყურძენიც მისაღებია, რომელიც იაფიც ღირს. ლამაზოშვილის ინფორმაციით, დღეისათვის კახეთში ერთი კილო მაღალი ხარისხის თეთრი ყურძენი 45 თეთრი ღირს, ხოლო შედარებით დაბალი ხარისხისა კი - 20-25 თეთრი ფასობს. "ღვინის მწარმოებელ ქარხნებს განაცხადი უკვე გაკეთებული აქვთ და ისინი 23 ტონა საუკეთესო ჯიშის ყურძენს შეიძენენ. ამას დამატებული კონიაკისათვის დასამზადებელი ყურძენი," - განაცხადა კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილემ თემურ ლამაზოშვილმა. თელავში 20 სექტემბერს კონცენტრატების ქარხანა გაიხსნება და წელს 25 ტონა ყურძნის შესყიდვას მოახერხებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აგვისტოში სამომხმარებლო ფასები 1,4 პროცენტით შემცირდა

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2006 წლის აგვისტოში, ივლისთან შედარებით, სამომხმარებლო ფასები 1,4 პროცენტით შემცირდა, არასასურსათო საქონელზე - 0,7 პროცენტით, ხოლო მომსახურების სფეროში ფასები 0,1 პროცენტით გაიზარდა. მიმდინარე წლის აგვისტოში სამომხმარებლო ფასები გაიზარდა ხილზე 12,0 პროცენტით, და რძის, ყველისა და კვერცხის ჯგუფებზე - 5,0 პროცენტით, თუმცა სამომხმარებლო ფასების ინდექსის შემცირება ბოსტნეულის 11,8 პროცენტით, ხორცისა და ხორცის პროდუქტების - 3,0 პროცენტით, თევზეულის - 1,3 პროცენტით, შაქრისა და სხვა საკონდიტრო ნაწარმის - 0,5 პროცენტით, ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის 0,1 პროცენტით შემცირებამ განაპირობა, - განმარტავენ სტატისტიკის დეპარტამენტში. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2006 წლის აგვისტოში, 2005 წლის დეკემბერთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების საერთო დონე 6,0 პროცენტით გაიზარდა. ასევე აგვისტოში, ივლისთან შედარებით, ფასების მატება დაფიქსირდა საწვავზე. კერძოდ, სამომხმარებლო ფასები ბენზინზე 23 პროცენტით გაიზარდა, ხოლო დიზელის საწვავზე - 1,8 პროცენტით, რაც, შესაბამისად, ტრანსპორტის ჯგუფზე 0,5 პროცენტით და საცხოვრებელი სახლის, წყლის, ელექტროენერგიის, აირისა და საწვავის ჯგუფზე 0,6 პროცენტით ზრდა განაპირობა. **მედიანიუსი**

# ქვეყანაში ტურისტთა ნაკადი გაიზარდა

ტურიზმი ქვეყნისთვის მომგებიანი დარგი გახდა. თუ 2003 წელს დარგიდან ბიუჯეტში შესული შემოსავლების 10-პროცენტიანი ზრდა აღინიშნა, მიმდინარე წელს მოსალოდნელია, ეს მაჩვენებელი 3-ჯერ გაიზარდოს. საკურორტო სეზონი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ მიუხედავად ამისა, გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარემ საბა კიკნაძემ ასეთი შეფასება გააკეთა. მან 6 თვის შედეგები შეაჯამა.

წლევანდელ საზაფხულო სეზონზე ტურისტების რაოდენობა ბოლო სამი წლის მაჩვენებლებთან შედარებით საგრძნობლად გაზრდილია - როგორც ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობით, ასევე შიდა ტურიზმის განვითარების დინამიკითაც. ქვეყნის შიგნით დამსვენებელთა ძირითადი ნაკადი საზაფხულო საკურორტო ადგილებში გადანაწილდა. საქართველოს მოქალაქეთა დიდმა ნაწილმა წელს აჭარის რეგიონში, ზღვისპირა კურორტებზე დაისვენა. თუმცა, არც მაღალმთიანი კურორტები იყო ნაკლებად აქტუალური. კიკნაძის განცხადებით, შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად გაზრდილია საქართველოში შემოსულ ვიზიტორთა რაოდენობაც. რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი ტურისტი წელს ევროპიდან ჩამოვიდა. სტატისტიკური მონაცემებით, დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსულ ტურისტებს შორის ყველაზე დიდი რაოდენობით სომეხი დამსვენებელი დაფიქსირდა.

გასულ წელს აჭარაში 200 ათასი ტურისტი შევიდა და ეს მაჩვენებელი წელს სამჯერ გაიზარდა. ბუნებრივია, ტურიზმი - ეს არ არის სარგებელი და შემოსავლები მხოლოდ სასტუმროებისა და დასასვენებელი სახლების მესაკუთრეებისთვის. ტურისტთა ნაკადის მატებასთან ერთად ქვეყანაში საწვავის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების, რძისა და რძის პროდუქტების (განსაკუთრებით, ნაყინის) მოხმარება გაიზარდა. გაიზარდა საჰაერო და რკინიგზის სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა ნაკადის გადაზიდვების რაოდენობა.

სამომავლო გეგმები ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით უკვე ცნობილია. დეპარტამენტს, ქვეყნის ტურისტული და საინვესტიციო რესურსების წარმოჩენის მიზნით, 2007 წლის ივნისისათვის დაგეგმილი აქვს საქართველოს წარდგენა სხვადასხვა ქვეყნების ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაზე. მსგავს გამოფენებში საქართველო, უკვე რამდენიმე წელია, რეგულარულად მონაწილეობს. **24 საათი**



## ვენესუელა და ჩინეთი ნავთობს ერთად მოიპოვებენ

ვენესუელას პრეზიდენტმა უგო ჩავესმა განაცხადა, რომ მისმა ქვეყანამ და ჩინეთმა ერთობლივი პროექტების დასაფინანსებლად საინვესტიციო ფონდი შექმნეს. პირველ ეტაპზე ამ მიზნისათვის ორი ქვეყნის მთავრობას 5 მილიარდი დოლარის გამოყოფა აქვთ განზრახული, აქედან 3 მილიარდი ჩინეთის წილი იქნება.

ჩავესის თქმით, ფონდის სახსრები, ძირითადად, მიმართული იქნება ჩინეთის სახელმწიფო ნავთობკომპანიასთან ერთად მდინარე ორინოკოს აუზში ნავთობის საბადოების აღმოჩენისა და ამოქმედებისაკენ. გარდა ამისა, კარაკასი და პეკინი რკინიგზის მშენებლობასა და ავტომშენებელი ქარხნების აგებას აპირებენ.

როგორც ცნობილია, ჩავესი აშშ-ს პოლიტიკის მძაფრი მოწინააღმდეგეა. მისი განცხადებით, ვენესუელასა და ჩინეთს შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარება შეერთებული შტატების ჰეგემონიის შერყევისაკენაა მიმართული. ამ დროისათვის ვენესუელა ჩინეთს ყოველდღიურად 150 ათას ბარელ ნავთობს აწვდის. სავარაუდოდ, წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი 200 ათას ბარელამდე გაიზრდება.

## იტალია ეკოლოგიურად სუფთა საწვავის მოპოვებაზე მუშაობს

იტალიაში წლის ბოლომდე ბიოდიზელის საწვავის წარმოება, შესაძლოა, 38,8%-ით გაიზარდოს. ევროპალატის პროგნოზით, ამ კატეგორიის საწვავის მოცულობა 550 ათას ტონამდე გაიზრდება.

ბიოდიზელის საწვავისთვის იტალიელი მწარმოებლები, ძირითადად, იმპორტირებული პალმის, რაფსისა და მზესუმზირის ზეთებს იყენებენ. ამიტომ ადგილობრივი ფერმერები სუბსიდიების გაზრდას მოითხოვენ. მათი განმარტებით, სასურველია ერთ ჰექტარზე დამატებითი დაფინანსება 45 ევრომდე გაიზარდოს. ეს საჭიროა იმ ზეთოვანი კულტურის მოსაყვანად, რომლებიც ბიოდიზელის საწარმოებლად გამოიყენება.

## რუსეთმა საქართველოს ენერგეტიკული პრობლემები შესაძლოა, კვლავ შეუქმნას

ზამთარში ენერგეტიკული მდგომარეობის გართულების რეალური საშიშროება არსებობს, რადგან საქართველოს ენერგეტიკა კვლავ რუსეთზეა დამოკიდებული, - აცხადებს ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში გია ხუხაშვილი.

მისივე თქმით, ბუნდოვანი სიტუაციაა, აგრეთვე, შექმნილი ენერგოსადისტრიბუციო და გენერაციული კომპანიების პრივატიზებაში. ბოლო პერიოდში მოხდა დიდი სიმძლავრის მქონე ჰესების გაყიდვა, თუმცა მყიდველებთან კონტრაქტები ჯერ კიდევ არ არის გაფორმებული, რამაც შესაძლოა, ელექტროენერგიის წარმოებაში შეფერხება გამოიწვიოს.

ექსპერტის თქმით, ასევე გასაკვირია ის ფაქტიც, რომ ენერგოგენერაციისა და სადისტრიბუციო კომპანიების უმრავლესობა რუსული კორპორაციების ხელში აღმოჩნდა. ელექტროენერგიის მსგავსად, გაზის მოწოდებაშიც პრობლემებია მოსალოდნელი, რადგან გაზის უდიდესი ნაწილიც რუსეთიდან შემოდის.

მისივე განმარტებით, რუსეთი თავად ყიდულობდა ბუნებრივ აირს თურქმენეთიდან. თურქმენეთი გაზის გაძვირებას აპირებს 50 დოლარით 1000 კუბურ მეტრზე, ამიტომ 2007 წლის 1 იანვრიდან საქართველოსთვის გაზის მოწოდების ტარიფის გაძვირებაა მოსალოდნელი .

# ფოლადის რომანტიკოსი

პირველი გვერდიდან



### ჩუბაისის გაწვრთნილი

ალექსეი მორდაშოვი დაიბადა 1965 წლის 26 სექტემბერს ვოლოგდის ოლქის ქალაქ ჩერეპოვეცში. მამამისი ალექსანდრე და დედა ნადეჟდა ადგილობრივ მეტალურგიულ კომბინატში მუშაობდნენ და, რა გასაკვირია, რომ შვილი მშობლების კვალს დაადგა, თუმცა, მათგან განსხვავებით, რიგითი მუშა როდი გამოვიდა.

სკოლის ფრიადზე დამთავრების შემდეგ ალექსეიმ ლენინგრადის საინჟინრო-ეკონომიკურ ინსტიტუტში ჩაბარა. იქ მისი ლექტორი ანატოლი ჩუბაისი გახლდათ, რომელსაც მორდაშოვი ძალიან მოეწონა და ინსტიტუტის წითელ დიპლომზე დამთავრების შემდეგ კათედრაზე დაიტოვა. გარდა პროგრამით გათვალისწინებული საგნებისა, ჩუბაისმა თავის მომავალ კოლეგას ბიზნესის მიხვეულ-მოხვეული გზებით ძრომაც ასწავლა. მოკლედ, მორდაშოვი სამეცნიერო და ბიზნეს-წრეებში აღმოჩნდა და კლუბ "პერესტროიკას" წევრიც გახდა.

1988 წელს მორდაშოვმა ჩერეპოვეცის მეტალურგიულ კომბინატში უფროს ეკონომისტად მუშაობა დაიწყო, მალე ეკონომიკის განყოფილების ბიუროს და სარემონტო-მექანიკური საამქროს შრომის ორგანიზაციის უფროსად დაწინაურდა. 1990 წელს კომბინატის მთავარი განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილედ დაინიშნა და ავსტრიაში სტაჟირება გაიარა.

მორდაშოვის წინსვლა არ შენელებულა და 1992 წელს პრივატიზაციის პერიოდის დასაწყისში იგი ჩერეპოვეცის მეტალურგიული კომბინატის, რომელიც ერთი წლის შემდეგ შპს "სევერსტალად" გადაკეთდა, ფინანსურ დირექტორად დაინიშნა. მაშინდელმა გენერალურმა დირექტორმა იური ლიპუხინმა მეტალურგიული გიგანტის პრივატიზების ჩატარება 27 წლის მორდაშოვს მიანდო.

მანაც ჩუბაისისაგან ნასწავლი კარგად გამოიყენა, შვილობილი კომპანია "სევერსტალ-ინვესტი" შექმნა, რომლის 76 პროცენტი პირადად მას ეკუთვნოდა და შემდეგ "სევერსტალის" აქციების თანდათანობით შეძენა დაიწყო. ამგვარად, მორდაშოვმა ხელში ჩაიგდო აქციების 16 პროცენტი და კიდევ 80 პროცენტზე კონტროლი დაამყარა. ლიპუხინი იძულებული გახდა, კაბინეტი დაეტოვებინა და შპს "სევერსტალის" დირექტორი და ბატონპატრონი ალექსეი გახდა.

მორდაშოვის მიერ ჩატარებულ ამ პრივატიზაციას რუსულ პრესაში მაშინ "პრიხვატიზაცია" უწოდეს, თავად ალექსეიმ კი განაცხადა: მერე რა, თუ კომბინატი ოდესღაც მთელმა ქვეყანამ ააშენა, მთავარია, რომ მას ახლა პატიოსანი მეპატრონე გამოუჩნდა.

მალე "სევერსტალის" აქციონერთა საბჭომ მმართველი კომპანია "სევერსტალ გრუპის" შექმნის გადაწყვეტილება მიიღო, რომლის გენერალური დირექტორი მორდაშოვი გახდა. გარდა ამისა, 21-ე საუკუნის დასაწყისში იგი მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის შესვლისა და საბაჟო კონტროლის სამთავრობო სამუშაო ჯგუფის წევრი გახდა და მედლებითაც დააჯილდოეს.

### ძალა და სისუსტე

მოკლედ, მორდაშოვმა გაილაღა. იგი გახლავთ რუსეთისა და ევროკავშირის მეწარმეთა მრგვალი მაგიდის წევრი და რუსეთსა და გერმანიას შორის ურთიერთთანამშრომლობის სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე. მან შექმნა "სევერსტალის" რამდენიმე შვილობილი კომპანია, რომლებიც კვიპროსში დარეგისტრირებულ Newdeal Investment Ltd-ში გააერთიანა. გარდა ამისა, იგი ფლობს დიდი დიამეტრის მილების მწარმოებელი კომპანია "ალიანს 1420"-ის ნახევარს, "შორეული აღმოსავლეთის პორტის" 60 პროცენტს, ტუაფსეს პორტის 25, ტაგანროგის პორტის 10 და სანკტ-პეტერბურგის პორტის 90 პროცენტს, კოლომენსკის თბომავალმშენებელი ქარხნის 51, რიგის ვაგონმშენებელი ქარხნის 50 და ულიანოვსკის მანქანათმშენებელი ქარხნის 60 პროცენტს.

თავისთავად ცხადია, მორდაშოვს ახლო ურთიერთობა აქვს რუსეთის უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებთან. მისი მთავარი ლობისტები ე.წ. "მოსკოველი პეტერბურგელები" არიან. მორდაშოვის განსაკუთრებით გამორჩეულ მფარველებად და პარტნიორებად ითვლებიან ძმები ანატოლი და ანდრეი ჩუბაისები, ალექსანდრ კაზაკოვი და ვლადიმირ კოგანი. ბოლო დროს ალექსეის ძალიან დაუტკბა რომან აბრამოვიჩი.

ცხადია, მორდაშოვს არც მოწინააღმდეგეები აკლია. მისი მთავარი მტერი 10,7 მილიარდით რუსეთის მესამე უმდიდრესი ადამიანი, "ნოვოლიპეცკის მეტალურგიული კომბინატის" მფლობელი ვლადიმირ ლისინია. ისინი ერთმანეთს მას შემდეგ გადაეკიდნენ, რაც რუსეთის უმსხვილესი ქვანახშირის კომპანია "კუზბასუგლე" ვერ გაიყვეს. "ურალის სამთო-მეტალურგიული კომპანიის" თავკაცს ისკანდერ მახმუდოვს კი მორდაშოვი იმიტომ მტრობს, რომ მასთან თავის დროზე პირველი ცოლი ღალატობდა. აქვე აღვნიშნოთ, რომ მორდაშოვი მეორედ გახლავთ დაქორწინებული, პირველი ქორწინებიდან ერთი ვაჟი ჰყავს, მეორედან კი - ორი.

ცნობილი ოლიგარქი ოლეგ დერიპასკა თავის დროზე მორდაშოვის მოკეთედ ითვლებოდა, მაგრამ მათ შორის ურთიერთობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც "სევერსტალმა" ზავოლჟკის მოტორების ქარხანა იყიდა, რომელიც "გაზ"-ის მთავარი მიმწოდებელი გახლავთ და რომელზეც დერიპასკა კბილებს ილესავდა.

ბოლო დროს მეტალურგიული ქარხნებისა და პორტების გარდა, მორდაშოვი ხის გადამამუშავებელი წარმოებებითაც დაინტერესდა. იგი თანდათანობით ყიდულობს ფირმა "სვეზას" აქციებს და მალე მას მთლიანად ხელში ჩაიგდებს. გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც რუსული გიგანტის "გაზპრომისათვის" მილების მიწოდებაზე კონტრაქტი გააფორმა, თავად გაზის მონოპოლისტ კომპანიაში ფეხის მოკიდებასაც ცდილობს.

მიუხედავად დიდი ამბიციებისა, მორდაშოვისაგან პოლიტიკოსი მაინც არ გამოვიდა. იმასაც კი ამბობდნენ, რომ პუტინი მას მიხაილ კასიანოვის შემცვლელად მოიაზრებდა, მაგრამ პრეზიდენტს თურმე მისი არცთუ მყარი ხასიათის შესახებ ჩასჩურჩულეს, უამბეს, როგორ ღალატობდა ცოლი, რომელიც შემდეგ ქონების გაყოფას სასამართლოთი ითხოვდა და რომელსაც ალექსეი ალიმენტს არ უხდის; რომ რომანტიკული მორდაშოვი კვლავ დარდობს მასთან განშორებას და რომ მეორე ცოლი პირველთან გარეგნული მსგავსების და იმის გამო შეარჩია, რომ მასაც ელენა ჰქვია. როგორც ალექსეის მტრები ხითხითებენ, პუტინს მაშინ თავი გადაუქნევია და მორდაშოვი "თიხისფეხებიან ფოლადის კოლოსად" მოუნათლავს.

თუმცა, მორდაშოვის ბიოგრაფიის გაცნობისას ამას ნამდვილად ვერ იტყვი. მერე რა, რომ რომანტიკული პიროვნებაა, რომ უბრალო ადამიანური სისუსტეები ახასიათებს, ორი ელენა, არაყი და სამთო სპორტი უყვარს და ლაკშმი მიტალი ვერ დაამარცხა. ფაქტია, რომ ალექსეიმ თავისი ფოლადის ბიზნესი მშვენივრადააწყო და დიდძალი ფულიც იშოვნა.

## რუსეთი, ბულგარეთი და საბერძნეთი ტრანსბალკანური ნავთობსადენის მშენებლობაზე შეთანხმდნენ

ათენში რუსეთის, ბულგარეთისა და საბერძნეთის შესაბამისმა უწყებებმა ტრანსბალკანური ნავთობსადენის მშენებლობის დეტალებზე ისაუბრეს. როგორც გადაწყდა, ნავთობსადენი ბურსა-ალექსანდროპოლისი რუსულ ნავთობს ხმელთაშუა ზღვით, ბოსფორისა და დარდანელის სრუტის გავლით გაატარებს. "ეს პროექტი მნიშვნელოვანია არა მარტო მასში მონაწილე პროექტებისთვის, არამედ მთლიანად ევროპის ეკონომიკის ენერგეტიკული უზრუნველყოფისთვის. პარტნიორი ქვეყნებისთვის მკაცრ პირობებს არ ვაწესებთ, მაგრამ მაინც გვირჩევნია, ურთიერთობა უკვე ნაცად პარტნიორებთან გვქონდეს," - აღნიშნავს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი. ტრანსბალკანური ნავთობსადენით ნავთობი ნოვოროსიისკის ნავთობბაზიდან გადმოიქაჩება, ბულგარეთში პორტ ბურგასში გაივლის, შემდეგ საბერძნეთის ალექსანდროპოლისის გავლით ეგეოსის ზღვაში გადავა და საზღვარგარეთის ნავთობის ბაზრებზე მოხვდება ნავთობსადენის სიგრძე 312 კილომეტრია, რომელიც წელიწადში 35-დან 50-მდე მილიონი ტონა ნავთობის გატარებას შეძლებს. ნავთობსადენის მშენებლობაზე, დაახლოებით, 700 მილიონი დოლარი დაიხარჯება. როგორც ვარაუდობენ, ნავთობსადენის მშენებლობა 2007 წელს დაიწყება.

## აშშ-ს ბირჟაზე კლებაა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა კორპორაციულმა ინფორმაციებმა მოახდინა. კერძოდ, ნავთობის გაიაფებასთან ერთად შემცირდა ნავთობკომპანიების აქტივები, ამასთან, გავრცელდა ინფორმაცია კორპორაცია Intel-ის მიერ უახლოეს მომავალში 10 ათასი სამუშაო ადგილის შემცირების შესახებ და მოიკლო Microsoft-ის აქციების ღირებულებამ.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,02 პროცენტით, 11.450,47 პუნქტამდე შემცირდა. 0,25 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.187,67 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,06 პროცენტით, 1.310,18 პუნქტამდე მოიკლო.

## ნავთობის ფასმა მნიშვნელოვნად მოიკლო

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 67,9 დოლარი, Light-ის მარკის ნავთობი კი 68,31 დოლარი/ბარელი ღირდა, რაც უკანასკნელი 15 კვირის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია.

ნავთობის გაიაფების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი 4 სექტემბერს აშშ-ში საავტომობილო სეზონის დასრულების გამო ნავთობპროდუქტებზე, განსაკუთრებით კი, ბენზინზე მოთხოვნილების ზრდის და, შესაბამისად, შესყიდვების შემცირების მოლოდინი გახლავთ. გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ აშშ-ში ნედლი ნავთობის მარაგი შარშანდელთან შედარებით 6,2 პროცენტით მეტია, რასაც ჩრდილოეთ ატლანტიკაში შტორმული აქტივობის გამო მექსიკის ყურეში "შავი ოქროს" სტაბილური მოპოვება განაპირობებს.

ყოველივე ამის შედეგად, "ოპეკის კალათის" ფასმაც მოიკლო და 64,38 დოლარი/ბარელი შეადგინა, რაც ბოლო ათი კვირის მინიმუმია და სულ ოდნავ ჩამოუვარდება 2006 წლის ყველაზე დაბალ მაჩვენებელს - 64,36 დოლარი/ბარელს, რომელიც 22 ივნისს დაფიქსირდა.

შეგახსენებთ, რომ ტერმინი "ოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17.

1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური "ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი "კალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა.

"ოპეკის კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 71,71 დოლარი/ბარელი 2006 წლის 14 ივლისს დაფიქსირდა.

## ძვირფასი ლითონების ფასმა მოიმატა

გუშინ ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქრო 637,6 დოლარამდე გაძვირდა, რაც უკანასკნელი 12 დღის განმავლობაში დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელი გახლავთ. ვერცხლი 13,25 დოლარი/უნცია ღირდა, რაც სამთვიანი მაქსიმუმია, პლატინა კი 1276 დოლარი/უნციამდე, შვიდნახევარკვირიან მაქსიმუმამდე გაძვირდა. რაც შეეხება პალადიუმს, მოგების ფიქსაციის გამო მისმა ფასმა 348, დოლარი/უნციამდე მოიკლო, რაც სამი სესიის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია.

ექსპერტთა აზრით, მიუხედავად ნავთობის გაიაფებისა, ძვირფას ლითონებზე ფასების ზრდა მსოფლიოში კვლავინდებურად არსებულმა მძიმე გეოპოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა. მოგეხსენებათ, ამგვარ სიტუაციაში ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონები მთავარი საინვესტიციო საშუალებაა.

## ესტონეთის ევროს ზონაში შესვლა გადაიდო

ინფლაციასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ესტონეთი ევროზე 2009-1010 წლამდე ვერ გადავა. როგორც ცნობილია, ევროკავშირის იმ ქვეყნებში, რომლებიც ევროს ზონაში შესვლის კანდიდატები არიან, ინფლაცია 1,5 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. ესტონეთი კი ამ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. მსოფლიოს სავალუტო ფონდის პროგნოზით, ესტონეთში ინფლაცია კლებას 2007 წლიდან დაიწყებს, როცა ნავთობის მსოფლიო ფასების ზრდის გავლენა შემცირდება. სავარაუდოდ, ინფლაცია 2007 წლის ბოლოსთვის 4 პროცენტს ჩამოცდება. შეგახსენებთ, რომ აპრილში ესტონეთის მთავრობამ განაცხადა, რომ 2007 წლის 1 იანვარს ქვეყანა ევროს ზონაში ვერ შევიდოდა. მოგეხსენებათ, ამ დროისთვის იგეგმებოდა ესტონეთში, სლოვენიასა და ლიტვაში ევროს შემოღება. საბოლოოდ, ამ სამი ქვეყნიდან, გეგმის მიხედვით ევროზე მხოლოდ სლოვენია გადავა, რომლის ეკონომიკა მაასტრიხტის კრიტერიუმებს სრულად აკმაყოფილებს.

## რუსეთში ნავთობის მოპოვება გაიზარდა

2006 წლის იანვარ-აგვისტოში რუსეთის ფედერაციაში ნავთობის მოპოვებამ, გაზის კონდენსატთან ერთად, 318,149 მლნ ტონა შეადგინა. ეს მონაცემები გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2,5%-ით მეტია. მარტო აგვისტოში რუსეთში წარმოებულ იქნა 41,27 მლნ ტონა ნედლეული.

რუსული ნავთობის ექსპორტი შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში იანვარ-აგვისტოს თვეების განმავლობაში 4,8%-ით გაიზარდა, 140,378 მლნ ტონამდე.

## ჯენერალ მოტორსი შესყიდვების ხარჯებს ამცირებს

მიუხედავად გადაუმუშავებელი ნედლეულის ფასის უსაშველოდ ზრდისა, “ჯენერალ მოტორსი” იმედოვნებს, რომ შესყიდვების ღირებულებას წლის ბოლომდე ორი მილიარდი დოლარით შეამცირებს.

ამერიკულმა ავტოგიგანტმა მასშტაბური რესტრუქტურიზაცია მას შემდეგ დაიწყო, რაც გაჭიანურებულ ფინანსურ კრიზისს შარშანდელი ფინანსური წლის 10.6 მილიარდდოლარიანი ზარალით დასრულება მოჰყვა. რესტრუქტურიზაციის გეგმით, დაიხურა (ან დაიხურება) 14 ქარხანა და სამუშაოს დაკარგავს კომპანიის 30 000 თანამშრომელი. მარტო ქარხნების დახურვითა და სამუშაო ადგილების თითქმის მეოთხედით შემცირებით, დაახლოებით 4 მილიარდი დოლარი დაიზოგება.

საერთოდ, “ჯენერალ მოტორსი” შესყიდვებზე წლიურად 86 მილიარდ დოლარს ხარჯავს, თუმცა ქარხნების დახურვისა და წარმოების რესტრუქტურიზაციის შედეგად, შესყიდვებზე ხარჯების შემცირება გახდება შესაძლებელი. პარალელურად, გადახედვის პროცესშია მიმწოდებლებთან გაფორმებული მოკლევადიანი კონტრაქტები.

“ჩვენი სტრატეგია ორ მიმართულებას ითვალისწინებს. ერთი გათვლილია დროის მოკლე მონაკვეთზე, მეორე კი - დროის ხანგრძლივ მონაკვეთზე. პირველ შემთხვევაში, ჩვენი მიზანია საუკეთესო ნაწილების და მაკომპლექტებლების შეძენა მინიმალურ ფასში. მეორე შემთხვევაში კი ჩვენი მიზანი შესყიდვების მოქნილი სისტემის შექმნას ითვალისწინებს, რომლის მეშვეობითაც შორეულ პერსპექტივაში, ერთსა და იმავე მაკომპლექტებელ ნაწილებს სხვადასხვა მოდელებზე გამოვიყენებთ. საბოლოო ჯამში, ამით შესყიდვების ფასების კიდევ უფრო შემცირება უნდა შევძლოთ,” - ამბობს ანდერსონი, ვინც, თურმე, ერთ დროს შვედეთის არმიის ოფიცერი ყოფილა, მერე კი “ჯენერალ მოტორსის” ევროპული შტოს მენეჯერი გახდა და მალე მსოფლიოს ავტოინდუსტრიის ლიდერის ხელმძღვანელობაში გადაინაცვლა.

უნდა ითქვას, რომ “ჯენერალ მოტორსი” თავისი ავტომობილებისთვის ნაწილების დაახლოებით 32 პროცენტს ყიდულობს ისეთ ქვეყნებში (მექსიკა, ბრაზილია, სამხრეთ კორეა, ჩინეთი, რუსეთი და ტაილანდი), სადაც წარმოება უფრო იაფი ჯდება. შედარებისთვის, ანალოგიური მაჩვენებელი 2002 წელს მხოლოდ 20 პროცენტს შეადგენდა.

იმავდროულად, “გენერლები” ჩრდილოეთ ამერიკაში განლაგებული ქარხნებისთვის, მაკომპლექტებლების დიდ ნაწილს (დაახლოებით 95 პროცენტს) ისევ ჩრდილოეთ ამერიკაში (აშშ, კანადა, მექსიკა) ყიდულობენ. სწორედ აქ ხედავს ანდერსონი ორი მილიარდი დოლარის დაზოგვის შესაძლებლობას. ის ამბობს, რომ ეს პროცენტული მაჩვენებელი მალე მნიშვნელოვნად შემცირდება და გაიზრდება შესყიდვების მოცულობა ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ტაივანი, ტაილანდი, სამხრეთ კორეა და რუსეთი.

“ბევრი ფიქრობს, რომ ჩვენ გავზრდით შესყიდვებს ჩინეთში, მაგრამ ამაზე აქცენტის გაკეთება არ ივარგებს, რადგან თვითონ ჩინეთის ბაზარი დიდი ტემპით იზრდება და ჩვენთვის უფრო პრიორიტეტული იქნება, თუ ჩინური მაკომპლექტებლებით მხოლოდ იმ ავტომობილებს ავაწყობთ, რომლებიც იქვე უნდა დარჩეს. სხვა შემთხვევაში გარკვეული შეფერხებებია მოსალოდნელი, რაც წარმოებისთვის წამგებიანი იქნება,” - ამბობს ანდერსონი.

ყველაზე მეტ მაკომპლექტებელს “გენერლები” მექსიკაში ყიდულობენ. მეზობელ ქვეყანაში შეძენილი ნაწილების საერთო ღირებულება წლიურად 9.3 მილიარდ დოლარს აღწევს, რაც ჩრდილო-ამერიკული ქარხნებისთვის მთლიანი შესყიდვების დაახლოებით 16 პროცენტია. ამ მაჩვენებლით მექსიკა “ჯენერალ მოტორსისთვის” მაკომპლექტებლების მეორე უდიდესი მიმწოდებელი ქვეყანაა. თუმცა, ანდერსონი თვლის, რომ ეს საკმარისი არაა და რომ მექსიკაში შესყიდვების მნიშვნელოვნად გაზრდაა შესაძლებელი.

ამერიკული ავტოგიგანტისთვის მაკომპლექტებლების მექსიკაში შეძენა უფრო მომგებიანიცაა, ვიდრე ჩინეთში, რადგან ოკეანის გაღმიდან მიღებული ნაწილების ღირებულების დაახლოებით ათი პროცენტი მათი ტრანსპორტირების ხარჯებზე მოდის.

ანდერსონს მნიშვნელოვნად მიაჩნია ისიც, რომ მომავალში “გენერლებმა” უნდა შეძლონ თავიანთი მოდელებისთვის ურთიერთშენაცვლებადი მაკომპლექტებლების წარმოების ორგანიზება. მას მაგალითად მოჰყავს საავტომობილო სავარძლების წარმოება - “ჯენერალ მოტორსი” 26 სხვადასხვა ტიპის და კონსტრუქციის სავარძლებს აწარმოებს, როცა მისი მთავარი კონკურენტი, იაპონური გიგანტი “ტოიოტა” მხოლოდ ორი ტიპის სავარძლებს სჯერდება.

## ამინდი

| | 6/09 | 7/09 | 8/09 |
|---|---|---|---|
| კიევი | 16 | 21 | 21 |
| რიგა | 18 | 17 | 23 |
| ვილნიუსი | 16 | 18 | 21 |
| მოსკოვი | 16 | 15 | 16 |
| მინსკი | 15 | 21 | 23 |
| პარიზი | 30 | 34 | 22 |
| რომი | 34 | 32 | 31 |
| ლონდონი | 25 | 18 | 15 |
| მადრიდი | 33 | 28 | 29 |
| ბონი | 30 | 22 | 22 |
| ვარშავა | 20 | 21 | 28 |
| ათენა | 31 | 30 | 30 |
| ბერნი | 28 | 27 | 22 |
| ამსტერდამი | 24 | 27 | 20 |
| ოსლო | 20 | 15 | 13 |
| ანკარა | 27 | 25 | 28 |
| ვარნა | 29 | 27 | 26 |
| დელი | 47 | 50 | 50 |
| ტოკიო | 30 | 31 | 34 |
| კოპენჰაგენი | 18 | 19 | 18 |
| ბაქო | 28 | 24 | 24 |
| ერევანი | 33 | 32 | 33 |
| ასტანა | 18 | 19 | 23 |
| ჰელსინკი | 17 | 17 | 18 |
| დუბლინი | 17 | 17 | 15 |
| ლისაბონი | 32 | 27 | 24 |
| პრაღა | 25 | 28 | 29 |
| სოფია | 26 | 28 | 28 |
| ბუდაპეშტი | 27 | 30 | 31 |
| ბუხარესტი | 30 | 31 | 32 |

# საუკეთესო შანსი ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის

პირველი გვერდიდან



შიშს სამყაროს დასასრულის შესახებ დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი მრავალი რელიგიის შემადგენელ ელემენტად იქცა. ამგვარი ფატალისტურ მოსაზრებას ახალ დროში, ანუ XIX საუკუნის დასაწყისში, სული ჩაბერა ინგლისელმა მოაზროვნემ თომას მალთუსმა. კერძოდ, იგი წერს: "დედამიწის ადამიანური პოტენციალი იმდენად აღემატება სასურსათო პოტენციალს, რომ ადამიანთა მოდგმას ასე თუ ისე ნაადრევი დაღუპვა ელის". მალთუსის პროგნოზი სწორი არ აღმოჩნდა: იმ დროის შემდეგ დედამიწაზე მცხოვრები ადამიანთა რაოდენობა ექვსჯერ და მეტჯერ გაიზარდა, ხოლო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა თითქმის გაორმაგდა.

ამიტომ დაისვა კითხვა: გამართლდება თუ არა დღევანდელი ნეომალთუსიანების პროგნოზები ენერგეტიკასთან დაკავშირებით?

პასუხი მოკლე და კონკრეტულია: არა. უფრო მეტიც, მომავალი, თუნდაც რომ რაიმე უჩვეულო ზომები არ იქნეს მიღებული ჩვენი პლანეტის მკვიდრთა მიერ, ეკუთვნის ნავთობს, ბუნებრივ გაზს და უპირველეს ყოვლისა, "ძველ ხელმწიფეს - ქვანახშირს", ანუ სახელდობრ იმ საწვავს, რომლითაც სამრეწველო რევოლუცია დაიწყო. როგორც ჩანს, ამან მალთუსის მომხრეების შეშფოთება უფრო სხვა კუთხით უნდა გამოიწვიოს, კერძოდ, მათი, ვისაც დედამიწაზე გლობალური დათბობის ეშინია.

წინამდებარე წერილის მიზანია კაცობრიობის ენერგოშემცველებით დაკმაყოფილების პრობლემის განხილვა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ბოლო მოხსენების თანახმად, 2050 წლამდე ენერგოშემცველებზე კომერციული მოთხოვნა შესაძლოა გაორმაგდეს - და ამ პროგნოზს მეცნიერები საკმაოდ ფრთხილად და მოზომილად მიიჩნევენ. თუ დავუშვებთ, რომ დედამიწის ერთ მოსახლეზე მოთხოვნილება მიაღწევს დაახლოებით იმ დონეს, რამდენსაც დღეს საშუალოდ შეადგენს მისი მოხმარება დიდ ბრიტანეთში, მაშინ გამოყენებული ენერგიის მოცულობა ოთხჯერ და მეტჯერ გაიზრდება.

ახლა იმაზე დავფიქრდეთ, თუ როგორ და რა ფასად შეიძლება მოიპოვოს კაცობრიობამ მთელი ეს დამატებითი ენერგია.

2003 წელს მთელ მსოფლიოში კომერციული სახით მოხმარებული ენერგია შემდეგი წყაროებიდან წარმოდგებოდა:

**ნავთობი იძლეოდა მთელი ენერგიის 35,4 პროცენტს, ბუნებრივი გაზი - 23,7 პროცენტს, თხევადი გაზი - 2,7 პროცენტს, ქვანახშირი - 23,9 პროცენტს, წყლის ენერგია - 6,5 პროცენტს, ატომური ენერგია - 6,4 პროცენტს, ხოლო განახლებადი სახის ენერგიის წყაროები - 1,4 პროცენტს.**

ისმება კითხვა: დროის გასვლასთან ერთად შემოაკლდება თუ არა კაცობრიობას ეს ენერგია? პასუხი უარყოფითია - არა. ყოველ შემთხვევაში, მიმდინარე საუკუნის შუა ხანებამდე მაინც და იქნებ უფრო გრძელვადიან პერსპექტივაშიც ამ მხრივ რაიმე პრობლემები არ გვექნება.

თუმცა ისიც მართალია, რომ ნავთობის უკვე ცნობილი საბადოები ამჟამინდელი მოხმარების დონეზე საკმარისი იქნება მხოლოდ 40 წლის მანძილზე, ხოლო თუ ეს დონე ამაღლდება, რაც ალბათ ეჭვს არ იწვევს, მაშინ მათი რეზერვები მაინც და მაინც დიდი უსაფრთხოების გრძნობას არ უნდა იწვევდეს.

არსებობს თეორია “ნავთობის მოხმარების პიკისა”, რომლის მომხრეთა აზრითაც, უკვე მიღწეულია ნავთობის მოპოვების რეკორდული დონე. მე მათ ფატალისტებს ვუწოდებ. მათი ანალიზი არასწორ მონაცემებს ეყრდნობა. მათი აზრით, მსოფლიომ უკვე გამოიყენა არსებული მარაგების ნახევარზე მეტი და ამიერიდან მისი ამოღება ყოველდღიურად შემცირდება.

თუმცა, ექსპერტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ნავთობის გამოკვლეული მარაგები ძალზე ცოტას გვეუბნება მათ შესაძლო მოცულობაზე და რომ მაღალი ფასებისა და ახალი ტექნოლოგიების წყალობით შესაძლებელი გახდება




ნავთობის მოპოვების გაზრდა უკვე ექსპლოატირებულ მინდვრებზეც, სადაც მიჩნეულია, რომ მისი მარაგი სადაცაა იწურება (რომ აღარაფერი ვთქვათ ახალ საბადოებზე). გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჯერ კიდევ ექსპლოატაციას ელის ნავთობის სავარუდო საბადოები და მარაგები.

მაშასადამე, თუ დავუშვებთ, რომ მიკვლეულ-დადასტურებული ნავთობის მოპოვებამ თავის მწვერვალს მიაღწია, ამით ნავთობის ეპოქა მაინც არ სრულდება. პრობლემა უფრო მის ფასს ეხება. ერთ ბარელ ნავთობზე 70 აშშ დოლარის პირობებში ჩვენ ნავთობის საბადოების პოტენციალი უზარმაზარი გვეჩვენება. ბევრი ექსპერტი იმასაც ფიქრობს, რომ გაცილებით დაბალი ფასიც კი გამოიწვევს ნავთობის მიწოდების გაზრდას მსოფლიო ბაზარზე. ამასთან, ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ ნავთობის რეზერვების ამოწურვა სრულიადაც არ მოასწავებს მაღაროებში მოპოვებული საწვავის მარაგების ამოწურვას. გაზის და განსაკუთრებით ქვანახშირის მარაგები ხომ ჯერ ძალზე მასშტაბურია. ზოგს ასეთი შეხედულება მაინც და მაინც ღირებულად არ მიაჩნია, რადგან ფიქრობს, რომ ნავთობი თითქმის ერთადერთი მაღალხარისხიანი ენერგიაა ტრანსპორტისათვის (რომელზედაც მთელი მოხმარებული ენერგიის მეხუთედზე მეტი მოდის). თუმცა ისინი ვერ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ ტექნოლოგიურად შესაძლებელია ქვანახშირისა და გაზის გარდაქმნა სინთეტიკურ გაზად, ხოლო შემდეგ მისგან თხევადი საწვავის მიღება. აქ საქმე მხოლოდ ასეთი ტექნოლოგიის ღირებულებაშია. ცხადია, იგი დღეს მოპოვებულ ნავთობზე ძვირი დაჯდება, მაგრამ ვფიქრობთ, კომერციული თვალსაზრისით მისი ფასი მაინც მისაღები იქნება.

ახლა დგება სხვა, არა ნაკლებ აქტუალური საკითხი: როგორ როლს ითამაშებს ასეთ “ბიზნეს” სცენარში ატომური და განახლებადი ენერგია? ერთი შეხედვით ისე ჩანს - თითქოს მეორეხარისხოვანს. აქ ყველაზე დიდი მნიშვნელობა რამდენიმე პრობლემას ენიჭება. განსაკუთრებული ისაა, რომ განახლებადი ენერგიის მიღება საკმაოდ ძვირი ჯდება. ამასთან, ატომურ ენერგიას საკმაოდ საკამათო ხასიათი აქვს.

დავუშვათ, მსოფლიო მოთხოვნა საუკუნის შუა ხანებამდე მართლაც გაორმაგდა. დავუშვათ ასევე, რომ ენერგიის მიღება მაღაროებიდან, წყლის და ატომური ელექტროსადგურებიდან ერთსა და იმავე დონეზე შენარჩუნდა. ასეთ შემთხვევაში ენერგიის მიღების მასშტაბები განახლებადი წყაროებიდან 70 ჯერ მაინც უნდა გაიზარდოს. ცხადია, ამის მიღწევა არც თუ ისე ადვილია. ამისათვის საჭირო იქნება უდიდესი ძალისხმევა, როგორც კომერციული წრეების, ისე მთავრობების მხრიდან.

ენერგიის განახლებად წყაროებთან დაკავშირებულია ისეთი პრობლემები, როგორებიცაა მათი გამოყენების უსაფრთხოება, მათი წარმოების მოცულობების გაზრდა და ასევე ამისათვის აუცილებელი ხარჯები. ენერგიის მოხმარების დღევანდელი დონის თუნდაც ნახევრის შესანარჩუნებლად საჭირო იქნებოდა დაახლოებით 100 მლნ ქარის ელექტროსადგური (თანაც ასეთ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ, რომ მათი მუშაობა სტაბილური იქნება). რაც შეეხება ნიადაგის ზედაპირის დიდი მასივების გამოყენებას ბიომასის მისაღებად, ეს გზა შედარებით შეზღუდულია, რადგანაც იგი ჯერ ერთი, სასურსათო პროდუქციის საწარმოებლად გამოიყენება და მეორეც, აუცილებელია გარემო პირობების დაცვა.

ასეთ შემთხვევაში, აქტუალური ხდება მზის ენერგიის გამოყენება: დედამიწის ზედაპირზე ამჟამად მოღწეული მზის ენერგია 6000 ჯერ აღემატება დღეს კაცობრიობის მიერ მოხმარებულ ენერგიას. სამწუხაროდ, ამ სფეროში დიდ ბარიერებს ჰქმნის მზის ენერგიის აუცილებელი კონცენტრაციის მიღწევა და მისი გამოყენების მაღალი ღირებულება.

სწორედ ამ სიძნელეების შედეგია, რომ დღემდე მზის ენერგიის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის მხოლოდ 0,004 პროცენტს შეადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახის ენერგიას შეეძლო სრულად უზრუნველეყო ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელი ენერგიის გამომუშავება.

ლოგიკურად ისმება კითხვა: ჩვენი სამყაროს მომავალი, რომლის კომერციულ მიზნებსაც ამჟამად ძირითადად მაღაროს ენერგია უზრუნველყოფს, საფრთხის წინაშე ხომ არ დგას?

თუ მხედველობაში მხოლოდ მაღაროებში მოპოვებული ენერგია გვექნება პასუხი, რა თქმა უნდა, დადებითია: დიახ, ამ მხრივ სამყაროს მომავალი საფრთხეშია. მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მარაგების “ლომის წილი” იქ არ მდებარეობს, სადაც მათ უმეტესობას მოიხმარენ. ეს ძირითადად ეხება უკვე მიკვლეულ მარაგებს. მაგალითად, მიკვლეული ნავთობის რეზერვების 3/5 ნაწილი ახლო აღმოსავლეთში მდებარეობს. ამასთან, ბუნებრივი გაზის უდიდესი ნაწილიც მომხმარებლამდე გაზის მილებით მიედინება. მათგან განსხვავებით, ქვანახშირის მარაგების დიდი ნაწილი იქაა, სადაც მისი გამოყენება ხდება.

იმ მთავრობებმა, რომლებსაც აფიქრებთ საკუთარი ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება, უნდა იფიქრონ ენერგიის წყაროების დიფერენცირებაზე.

**ამბროსი გრიშიკაშვილი**
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

## ბუში საწვავის ალტერნატიული სახეობების შექმნაზე მუშაობის გაფართოებას ითხოვს

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ელექტროენერგიისა და საავტომობილო საწვავის ალტერნატიული სახეობების შექმნაზე მუშაობის გააქტიურობა მოითხოვა.

როგორც ბუშმა შრომის დღესთან დაკავშირებულ დღესასწაულზე გამოსვლისას აღნიშნა, უცხოურ ნავთობზე დამოკიდებულება ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

"პრობლემა ის არის, რომ ამერიკა ნავთობს ისეთი რეგიონებიდან იღებს, სადაც ისინი არ უყვართ. სირთულეების ასაცილებლად საჭიროა ატომური ენერგიის მოხმარების გაფართოება," - აცხადებს ბუში. მისივე კატეგორიული მოთხოვნით, შესაბამისმა სტრუქტურებმა ალტერნატიული საწვავის შექმნაზე უნდა იმუშაონ.

## ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გასაყიდად რამდენიმე ობიექტი გამოაქვს

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო საპრივატიზაციოდ გამოტანილ კიდევ ხუთ ობიექტზე ტენდერს ჩაატარებს

პირველი გასაყიდი ლოტია სარწყავი ქსელის 18 620 მ-ის გამოუყენებელი თუჯის მილები, რომელიც დედოფლისწყაროს რაიონში, სოფ. სამწყაროში მდებარეობს. მისი საწყისი გასაყიდი ფასია 42 ათასი დოლარი.

დანარჩენი ოთხი ობიექტი გარდაბნის რაიონში მდებარეობს. ესენია: რუსთავის სატუმბი სადგურის შენობა, რომლის საწყისი გასაყიდი ფასია 8400 დოლარი; კოჯრის ვეტუბნის შენობა, სოფ. ტაბახმელაში, მისი საწყისი გასაყიდი ფასია 2200 დოლარი; ხის დამამუშავებელი საამქრო სოფელ ვაზიანსა და სოფელ თელეთში მექანიკური საამქრო, რომელთა საწყისი გასაყიდი ფასებია, შესაბამისად, 6700 და 1600 დოლარი.

ამ ობიექტებზე ყიდვის მსურველთა განცხადების მიღება 7 აგვისტოს დაიწყო და დღეს დასრულდება;

სარწყავი ქსელის თუჯის მილებზე ტენდერი კონკურსის წესით დედოფლისწყაროში, კოსტავას ქ. N42-ში ჩატარდება. ხოლო დანარჩენი ობიექტები გარდაბანში, აღმაშენებლის ქ.N127-ში, აუქციონის წესით გაიყიდება. **მედიანიუსი**

## სები საქართველოში საწვავზე ფასების კლებას ვარაუდობს

მსოფლიო ბაზრებზე არსებული სიტუაციის შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ საწვავის ფასებმა საქართველოშიც დაიკლოს, რაც როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ სამომხმარებლო ფასების ინდექსის კლებაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს. ასეთ პროგნოზს აკეთებს საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი დავით ამაღლობელი.

მისი შეფასებით, მსოფლიო ბაზრებზე პოზიტიური სიმპტომები სასაქონლო ჯგუფების ფასებზე, სავარაუდოდ, გაგრძელდება. მით უფრო, რომ ნედლი ნავთობის ფასი უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში შემცირდა (4 სექტემბრის მდგომარეობით, 1 ბარელი ნავთობის ფასი 68 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს).

რაც შეეხება საქართველოში არსებულ მდგომარეობას, აგვისტოში სამომხმარებლო ფასების კლება დაფიქსირდა. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, აგვისტოში, ივლისთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების საერთო დონე 0.4 პროცენტით შემცირდა.

“აგვისტოში სამომხმარებლო ფასების შემცირება მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გამკაცრებამ და მსოფლიო ბაზრებზე არსებულმა შედარებით სტაბილურმა ფასებმა განაპირობა," - აღნიშნავს დავით ამაღლობელი.

მისივე თქმით, მოსალოდნელია, რომ ეს ტენდენცია წლის ბოლომდე გაგრძელდეს. მომავალ თვეებში წლიური ინფლაციის მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდება, რასაც ფულად-საკრედიტო და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის კიდევ უფრო გამკაცრება შეუწყობს ხელს," - მიიჩნევს ამაღლობელი. **ინტერპრესნიუსი**